პალიტრა მედია

# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
21 მარტი ორშაბათი 2011
№065 (13362) ფასი 60 თეთრი

## ქართული რაგბი განასახიერებს იმას, როგორი შეიძლება იყოს საქართველო:

# გონი ღონი ძალი ერი



8-9

შაბათს სოჭში. რუსეთი-საქართველო 9:15. მამუკა გორგოძე შეუჩერებელი იყო

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო (www.msy.gov.ge)

ქართული ფეხბურთი

ეროვნული ნაკრები

# ჯანოს გარდა ყველა ჯანზეა
## თუმცა ესეც თბილისში ვნახოთ



სამშაბათს, 15 მარტს გავრცელდა ინფორმაცია, რომ **ჯანო ანანიძე** ამსტერდამის „აიაქსთან“ ევროპის ლიგის მერვედფინალურ განმეორებით მატჩს გამოტოვებდა. მართლაც, მოსკოველებმა 3:0 მოიგეს და ევროპის ლიგის თასისთვის ბრძოლა ანანიძის დაუხმარებლად განაგრძეს. კოჭის ტრავმის გამო ახალგაზრდა ქართველ ნახევარმცველს ინდივიდუალური პროგრამით ავარჯიშებდნენ და არ ტვირთავდნენ, ჩვენ კი გვქონდა იმედი, რომ ჯანო საქართველოს ნაკრების შეკრებამდე მომჯობინდებოდა და 26 მარტს ხორვატიასთან, 29-ში კი ისრაელთან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში ითამაშებდა.

სამწუხაროდ, ჯანომ არა მხოლოდ "აიაქსი" "გამოტოვა", არამედ დღეს ნიჟნი ნოვგოროდის "ვოლგასთანაც" ვერ ითამაშებს და დიდია ალბათობა, ხორვატია-ისრაელის ნაკრებების წინააღმდეგაც ვერ ვიხილოთ.

ეს უსასიამოვნო ინფორმაცია ხორვატიასთან მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე მოსკოვის "სპარტაკის" ოფიციალურ ვებგვერდთან საუბარში კლუბის მთავარმა მწვრთნელმა და გენერალურმა დირექტორმა **ვალერი კარპინმა** გაავრცელა: *"99 პროცენტით შემიძლია ვთქვა, რომ "ვოლგასთან" ჯანო ანანიძე ვერ ითამაშებს. "როსტოვთან" პირველი ტურის შეხვედრაში ჯანოს კოჭის მყესები გაუწყდა".*

კოჭის მყესების გაწყვეტა საკმაოდ რთული ტრავმაა და სწრაფად ვერ განიკურნება. და მაინც, ჩამოვა თუ არა ჯანო სანაკრებო შეკრებაზე? ვითარებაში გასარკვევად ფეხბურთის ფედერაციის პრესატაშე **ლაშა დვალიშვილს** დავუკავშირდით.

*"ჯანო შეკრებაზე მოდის. სავარაუდოდ, კოჭის ტრავმით ვერც ხორვატიასთან ითამაშებს და ვერც ისრაელთან, მაგრამ საბოლოო პასუხი მხოლოდ ანანიძის თბილისში ჩამოსვლის შემდეგ გვეცოდინება. "* – გვითხრა დვალიშვილმა.

გუშინ "ჯენოამ" სერია A-ს მორიგი ტურის შეხვედრა სტუმრად გამართა "ბოლონიასთან". საქართველოს ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძე** 18-კაციან განაცხადშიც არ შეიყვანეს, რაც მოსალოდნელიც იყო: მატჩამდე გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **დავიდე ბალარდინიმ** განაცხადა, რამდენიმე წამყვანი მოთამაშე (მათ შორის კალაძეც ახსენა) "ბოლონიასთან" ვერ ითამაშებს, რადგან გამოფიტულები არიანო. ცხადია, კაპიტნის მდგომარეობით დავინტერესდით.

*"კალაძე შეკრებაზე ჩამოდის და მის ტრავმაზე არანაირ ინფორმაციას არ ვფლობთ. საერთოდ, ჯანოს გარდა, ყველა გამოძახებული ფეხბურთელი ჯანზეა და მატჩისთვის მოემზადება"*, - გვითხრა დვალიშვილმა.

ამასობაში, გუშინ ნაკრების ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე", რომლის რეაბილიტაციაც ორიოდე დღის წინ დასრულდა, ეროვნული გუნდის შეკრება დაიწყო. გარემონტდა საცხოვრებელი კორპუსი, კვების ბლოკი და, რაც მთავარია, ბაზას საკუთარი ხარისხიანი მოედანი ელირსა. მოკლედ, "ბასა" ფეხბურთელთა მისაღებად მზად არის.

გუშინ საღამოს იქ უცხოეთში მოთამაშე ლეგიონერები (გურამ კაშია, ალექსანდრე იაშვილი, ჯაბა კანკავა, სანდრო გურული) და საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე 12 ფეხბურთელი გამოცხადდა. ნაკრები სრული შემადგენლობით 22 მარტს შეიკრიბება. ამ დღეს რუსეთის პრემიერლიგის ფეხბურთელებს ელიან.

დღეს "ბასა" მედიის წარმომადგენლებისთვის გაიხსნება და გარემონტებული სანაკრებო ბაზის დათვალიერების საშუალება მოგვეცემა. აქვე გაიმართება მომავალ მატჩებთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თემურ ქეცბაიას პრესკონფერენციაც.

**მერაბ მამულაშვილი**

საქართველოს ჩემპიონატი XXVI ტური

# დრამა ქართლში
## ნუ ეტყვით სპარტაკს, ბოლო [illegible]

20.03. გორი. ქართლი.
400 მაყურებელი

**სპარტაკი 2**
**ტორპედო 2**

1:0. მეტრეველი (28, ბარაბაძის პასით), 2:0. მეტრეველი (47), 2:1. საბანაძე (81. დოლიძის პასით), 2:2. საბანაძე (90)

| სპარტაკი 4-4-2 | ტორპედო 4-5-1 |
|---|---|
| ხომერიკი | მიგინეიშვილი |
| მამუჩიშვილი | გ. სეთურიძე |
| ალავიძე | მაჭავარიანი |
| ბოიომო | ს. თოლუა |
| ჭაფოძე | ჩიკვილაძე |
| მ. ჯიშკარიანი | გ. დოლიძე |
| მგელაძე | გიგაური |
| ვ. ბოლქვაძე | ქებაძე |
| დეკანოიძე | ბაკურაძე |
| მ. ბარაბაძე | მაისურაძე |
| მეტრეველი | მეგრელაძე |
| მწვრთნელი | მწვრთნელი |
| ბ. კვარაცხელია | გ. გიგატაძე |

**სპარტაკი**
63. დეკანოიძე - **უბრეხელიძე**
74. ბოლქვაძე — **კილასონია**
83. მგელაძე — **კაკაშვილი**
*სათადარიგოები: დაუშვილი, თუხარელი, ბუზალაძე, ლობჟანიძე*

**ტორპედო**
40. მაჭავარიანი — **დ. ფოფხაძე**
46. მაისურაძე — **საბანაძე**
63. გიგაური — **დ. კირკიტაძე**
*სათადარიგოები: ქვილითაია, გოცირიძე, დათუნაიშვილი, თარხნიშვილი*

გაფრთხილება: **მიგინეიშვილი (58), ბოლქვაძე (58)**
მსაჯი: **ჯ. ხორავა (ხობი)**

ამ მართლაც საინტერესო მატჩში დაძაბული პაექრობა მთელი თამაშის განმავლობაში არ შეწყვეტილა, ორივე კართან არაერთი სახიფათო მომენტი შეიქმნა და ლამაზი გოლებიც გავიდა. უშელავათო ბრძოლაში ტრავმის გამო რამდენიმე ფეხბურთელი იძულებული გახდა, ნაადრევად დაეტოვებინა მოედანი, მობურთალთა შორის მცირე შეკამათებაც მოხდა. მოკლედ, ყველაფერი იყო საიმისოდ, რომ „ქართლის“ სტადიონზე შეკრებილ პუბლიკას მოსვლა არ ენანა.

მართალია, გუნდები ტოლსწორობდნენ, მაგრამ მოგებას სპარტაკელები უფრო იმსახურებდნენ. ისინი უფრო გააზრებულად, პრაგმატულად ირჯებოდნენ და მათი არც ერთი სათამაშო რგოლი უხეშ შეცდომებს არ უშვებდა. პირველ ტაიმში კი ქუთათურთა ყველაზე სუსტი რგოლი დაცვა იყო. **ზვიად მეტრეველსაც** მეტი რა უნდოდა, მიადგა და დაუნდობლად არბია. მას მე-7 წუთზევე შეეძლო გატანა, როდესაც **დეკანოიძის** ფლანგურ ჩაწოდებულს დაუხვედრა თავი. დარტყმული ზუსტი, მაგრამ სუსტი გამოდგა. ათ წუთში **ბარაბაძემ** მოზომილი გადაცემით გაიყვანა ზვიადი დასარტყმელ პოზიციაზე და რომ არა მისი წამიერი დაყოვნება, შესაძლოა, ანგარიში გახსნილიყო. თუმცა ამ დაყოვნებამ გოლი მხოლოდ რამდენიმე წუთით გადადო, მასპინძელთა ერთ-ერთი სწრაფი კონტრშეტევისას ისევ ბარაბაძის შესანიშნავი პასით, პლუს საკუთარი სისწრაფის წყალობით მეტრეველმა მეურვეც ჩამოიტოვა და წინ გამოსულ მიგინეიშვილსაც აჯობა - 1:0. ქუთათურები გაშვებული გოლის მერე უფრო მონდომებით ათამაშდნენ. ცოტა ხანში მათგან ერთ-ერთი ყველაზე აქტიურის, **გრიგოლ დოლიძის** სტანდარტულისას შორი მანძილიდან კარისკენ ჩაწოდებული ბურთი უხეიროდ მოიგერია „სპარტაკის“ გოლკიპერმა, დამატებულზე კი ხარიხამ იხსნა ცხინვალელები. 39-ე წუთზე მეტრეველი კიდევ ერთხელ დაუსხლტა მცველებს, ოღონდ ამჯერად მიგინეიშვილს ველარ აჯობა, მეკარის მოგერიებულს ბურთს ბარაბაძემ დაამატა, თუმცა იმერელთა მეკარემ ისევ იმარჯვა. **გიგატაძემაც** ცენტრალური მცველი **მაჭავარიანი** შესვენებამდე შეცვალა. ტაიმი კი მოულოდნელად კინაღამ ავტოგოლით დასრულდა - **მამუჩიშვილმა,** ბურთს რომ კუთხურზე იგერიებდა, საკუთარი კარის ხარიხას გაარტყა იგი...

» მე-3 გვერდზე

U 21

# თამაში იყოს და არაბი იყოს

დღეს, გამთენიისას საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ავსტრიაში გაემგზავრა, სადაც 23-29 მარტს ქალაქ კლაგენფურტში ოთხთა ტურნირ „ალპე ადრიაზე“ ისრაელის, რუმინეთისა და ალბანეთის 21-წლამდელებს ეთამაშება.

ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ოთარ გაბელიამ** კლაგენფურტში ოცკაციანი შემადგენლობა წაიყვანა:

მეკარეები: **გიორგი მაკარიძე („ლე მანი“, საფრანგეთი), თორნიკე ზარქუა („დინამო“, თბილისი).**

მცველები: **ლევან კაკუბავა („დინამო“, თბილისი), მამუკა კობახიძე („ზესტაფონი“), გიორგი ოთარაშვილი („სპარტაკი“, ცხინვალი), ივანე კანდელაკი (უგუნდო), დავით ხოჭოლავა („საბურთალო“).**

ნახევარმცველები: **ნიკა კვეკვესკირი, გიორგი თექთურმანიძე (ორივე - „დინამო“, თბილისი), თორნიკე თარხნიშვილი ("ტორპედო", ქუთაისი), ნიკა ძალამიძე („ვიძევი“, პოლონეთი), ნიკა აფაქიძე („ბაია“, ზუგდიდი), თორნიკე ოქრიაშვილი („ილიჩივეცი“, უკრაინა), დავით კაკულია („ოლიმპია“, მოლდოვა).**

თავდამსხმელები: **გიორგი ილურიძე („ანჟი“, რუსეთი), ირაკლი ქობალია („ბაია“, ზუგდიდი), ირაკლი კვეკვესკირი („პეჩი“, უნგრეთი), თემურ შარაშენიძე („დიორი“, უნგრეთი), გიორგი ჭანტურია („ვიტესი“, ჰოლანდია), ირაკლი შეყილაძე („ემპოლი“, იტალია).**

წინასწარ დასახელებულთა სიაში ერთი ცვლილებაა: ბათუმის "დინამოს" მცველ **გიორგი კაჭკაჭიშვილის** ნაცვლად გაბელიამ ქუთაისის "ტორპედოს" ნახევარმცველი **თორნიკე თარხნიშვილი** მიიწვია.

გამგზავრებამდე ოთარ გაბელიას ინტერვიუ ჩამოვართვით:

- ავსტრიაში თბილისი-სტამბოლი-ლუბლიანა-ვენის რეისით მივფრინავთ, შემდეგ კი დაახლოებით ერთი საათი დაგვჭირდება კლაგენფურტში ავტობუსით ჩასასვლელად. ეს ქალაქი იტალია-სლოვენია-ავსტრიის საზღვარზე მდებარეობს. 21 მარტს დავისვენებთ, ბიჭებს საღამოს მხოლოდ მსუბუქად ვავარჯიშებთ.

**- გამგზავრებამდე სიაში ცვლილება რამ გამოიწვია?**

- გიორგი კაჭკაჭიშვილი დაშავდა და თარხნიშვილით შევცვალეთ. თორნიკე საინტერესო ფეხბურთელია და ამიტომაც გვყავდა სარეზერვო სიაში. კაჭკაჭიშვილი ბევრისთვის უცნობი მოთამაშეა, მაგრამ მე პირადად მომწონს, ნიჭიერი ცენტრალური მცველია და ამიტომაც მსურდა ავსტრიაში მენახა. ახლა ძიების პროცესში ვართ და ყველა კანდიდატს უნდა დავაკვირდეთ.

შემადგენლობის შესარჩევად სელექცია მიმდინარეობს და ჯერ კიდევ არ ჩამოვყალიბებულვართ, საბოლოოდ ვის დავეყრდნობით. ბირთვი მეტ-ნაკლებად გარკვეულია, შემდგომში ანანიძის, ყენიასა და მჭედლიძის დამატების იმედიც გვაქვს.

შემადგენლობაში ადგილი არავის აქვს გარანტირებული. სელექციას ავსტრიული ტურნირის შემდეგაც განვაგრძობთ. მაგალითად, 26 აპრილს საუდის არაბეთში ამხანაგურ მატჩზე გვიწვევენ.



ოთარ გაბელია

თავად დაინტერესდნენ და დიდი შანსია, დავთანხმდეთ.

**- თქვენი აზრით, არაბებთან შეხვედრა სასარგებლო იქნება?**

- რა თქმა უნდა, რადგან სპარინგპარტნიორების დეფიციტია და თითოეული ამხანაგური შეხვედრა გუნდის შეთამაშებასა და ოპტიმალური შემადგენლობის შერჩევას შეუწყობს ხელს. შემდეგი შეხვედრა, სავარაუდოდ, აგვისტოში მოლდოვასთან გვექნება.

» მე-4 გვერდზე

# იმფერო, ამფერო და ისევ ფრე

20.03. ზესტაფონი. დ. აბაშიძე.
2000 მაყურებელი

**ზესტაფონი 0**
**სიონი 0**

| ზესტაფონი 4-4-2 | სიონი 4-2-3-1 |
|---|---|
| რ. კვასხვაძე | ლეგაშვილი |
| ალადაშვილი | ნ. კვასხვაძე |
| ხიდეშელი | სვანიძე |
| გ. ონიანი | დ. ლომაია |
| ელიავა | ორბელაძე |
| აფციაური | ქუცურუა |
| დაუშვილი | ნოზაძე |
| ძარია | გოგობერიშვილი |
| გრიგალაშვილი | ადამაშვილი |
| დვალი | ჩირიკაშვილი |
| გელაშვილი | ჯიქია |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი |
| გ. გეგუჩაძე | ხ. ქასრაშვილი |

**ზესტაფონი**
62. დვალი - **წინამძღვრიშვილი**
69. აფციაური - **გორგიაშვილი**
79. გელაშვილი - **ბაბუნაშვილი**
*სათადარიგოები: მეშველიანი, კობახიძე, ფოფხაძე, გრუიცა*

**სიონი**
67. ჯიქია - **ისიანი**
72. გოგობერიშვილი - **გ. ოქროპირიძე**
84. ადამაშვილი - **მ. ოქროპირიძე**
*სათადარიგოები: მიქავა, რეხვიაშვილი, ლ. ჩხეტიანი, ქორიძე*

გაფრთხილება: **ჩირიკაშვილი (38), ალადაშვილი (45), ლომაია (84)**
არბიტრი: **გ. ვადაჭკორია (თბილისი)**

როგორც ჩანს, „ზესტაფონმა“ გოლების მარაგი „ბაიასთან“ 6:1 მოგებულ შეხვედრაში ამოწურა. მას შემდეგ ფეროელებს მეტოქეთა კარის აღება ძალიან უჭირთ. სამ მატჩში გატანილი ერთადერთი გოლი და ორი ნულოვანი ფრე შინ აუტსაიდერებთან ჩემპიონობის მაძიებელი გუნდისთვის ვერაფერი შედეგია. „ზესტაფონს“ მორიგი წაფორხილება ლიდერობის დაკარგვად არ დასჯდომია, მაგრამ მდგომარეობა კი გაირთულა - ზურგს უკან კონკურენტების სუნთქვა უფრო მკაფიოდ ესმის... ამ წყვილში „ზესტაფონი“ უპირობო ფავორიტად ითვლებოდა. ისედაც რთულ სატურნირო მდგომარეობაში მყოფ „სიონს“, მატჩამდე საკადრო პრობლემებიც მიეძალა. ბოლნისელებმა ორი მეკარეც მოისაკლისეს **(მირზა მერლანი, მინდია ბობლიაშვილი), გივი დიდავაც** და **მიხეილ კობაურიც**. ამიტომაც ლიდერთან ურთულეს შეხვედრაში კარის დაცვა მესამე მეკარეს, საქართველოს 17 წლამდელთა ნაკრების წევრ **დავით ლეგაშვილს** მიანდეს. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მოვალეობას შესანიშნავად გაართვა თავი და ერთი-ორჯერ გუნდი გოლისგანაც იხსნა... ქვემოქართლელები „ზესტაფონის“ წინააღმდეგ ახალმა მთავარმა მწვრთნელმა **ხვიჩა ქასრაშვილმა** გაიყვანა. იგი ადრე სწორედ იმერულ გუნდში მუშაობდა და „ზესტაფონს“ არცთუ ტკბილად დაშორდა.

» მე-3 გვერდზე

დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს“ მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზებით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოლი ფეხბურთის პურია. ქობალი მეგრულად პურია

20.03. ზუგდიდი. გ. თუთბერიძე. 600 მაყურებელი

**ბაია 1**
**კოლხეთი 0**

1:0 ქობალია (63)

| ბაია 4-1-4-1 | კოლხეთი 4-5-1 |
|---|---|
| სომხიშვილი | ძაგანია |
| აფაქიძე | ცხვიტარია |
| აქუბარდია | ინწკირველი |
| რ. ონიანი | მახვილაძე |
| გამრეკლიძე | გელაჭეიშვილი |
| ვართაგავა | გოგონაია |
| სიხარულია | გავაშელიშვილი |
| რიგვავა | გვალია |
| ლომია | გულუა |
| წურწუმია | სიჭინავა |
| ქობალია | წიქარიშვილი |
| მთ: მწვრთნელი | მთ: მწვრთნელი |
| ე. ქომეთიანი | ს. ფილია |

**ბაია**

58. რიგვავა – **ეხვაია**
85. სიხარულია – **შონია**
89. ქობალია – **ჩანგელია**

*სათადარიგოები: მაქაცარია, ქვარცხავა, სვირავა, კუკავა*

**კოლხეთი**

26. გულუა – **მდივნიშვილი**
68. გავაშელიშვილი – **კვერენჩხილაძე**
78. სიჭინავა – **სამადაშვილი**

*სათადარიგოები: ლობჟანიძე, მეგრელიშვილი, ბარამიძე, მოისწრაფიშვილი*

გაფრთხილება: **სიჭინავა (18), გამრეკლიძე (67)**
არბიტრი: **ხვიჩა გაგნიძე** (გორი)

ლიდერებთან თითო ქულის გამორჩენით შეგულიანებულ ფოთელებს გასავრდნი ზონიდან თავის დაღწევის შანსი გაუჩნდათ. ზუგდიდშიც, ცხადია, ქულის აღება სურდათ, თუმცა თამაში ისე წარიმართა, ზღვისპირელებს სამი ქულის აღებაც შეეძლოთ.

პირველ ტაიმში „კოლხები" მთლიანად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე ზრუნავდნენ. აშკარა იყო, ატალახებულ მინდორზე ერთი გოლი გადაწყვეტდა შეხვედრის ბედს და ასეც მოხდა. "ბაიას" ფეხბურთელებმა პირველი ხიფათი მე-6 წუთზე შექმნეს, თუმცა **ლომიას** ძლიერად დარტყმული ბურთი მცველებმა კუთხურზე მოიგერიეს. ცოტა ხანში **სიხარულიას** ჩაწოდებულ ბურთს ზუგდიდელთა ფორვარდი **ქობალია** აკრობატული ნახტომით გამოეხმაურა და „მაკრატელათი" სცადა გოლის გატანა, თუმცა კარს მცირედით ააცილა.

ამასობაში ფოთელებიც დაფაცურდნენ და კოლხთა მცველმა **გოგონაიამ** თავური დარტყმით საკუთარი გუნდი კინალამ დააწინაურა, მაგრამ **სომხიშვილმა** ბურთი კუთხურზე გადააგდო. სტუმართა გაძალიანებას მასპინძლებმა კონტრშეტევებით უპასუხეს, თუმცა ტაიმი მაინც უგოლოდ დაასრულეს.

მეორე ტაიმში სტუმრებმა აქტიურად დაიწყეს და ორჯერ საგოლე მომენტიც შექმნეს, თუმცა დაბოლოება შედეგიანი არ გამოუვიდათ. ფაზისელები ამ აქტიურობით კინალამ დაისაჯნენ, რომ არა **ძაგანიას** ჩინებული თამაში კონტრიერიშისას: მან **აფაქიძის** სახიფათო დარტყმულ ბურთს თითების ნაკვრით უცვალა მიმართულება. იმავე **აფაქიძის** თავური ხარიხას მცირე მანძილით გადაევლო. მეორე ტაიმში თითქოს მოდუნებულმა **ქობალიამ** ზუსტად გაისროლა და 63-ე წუთზე თავური დარტყმით საკუთარ გუნდს სამი ქულა შესძინა. გაშვებული ბურთის შემდეგ ფოთელებმა თამაში მეტოქის ნახევარზე გადაიტანეს, მაგრამ ანგარიშის გასათანაბრებლად არც ძალა ეყოთ და არც დრო.

**ლაშა გოგილავა**
ზუგდიდიდან

20.03. რუსთავი. ფოლადი. 500 მაყურებელი

**ოლიმპი 4**
**სამტრედია 0**

1:0 მოდებაძე (13, კვახაძის პასით), 2:0 დ. ბოლქვაძე (36), 3:0 პავლიაშვილი (59), 4:0 დ. ბოლქვაძე (68, პავლიაშვილის პასით)

| ოლიმპი 4-4-2 | სამტრედია 4-1-4-1 |
|---|---|
| ბათიაშვილი | კეკელიძე |
| მურველაშვილი | ნინუა |
| რეხვიაშვილი | გოგია |
| კვახაძე | ხუმარაშვილი |
| დობროვოლსკი | კირთაძე |
| ქავთარაძე | ცხადაია |
| რაზმაძე | რუხაია |
| დ. ბოლქვაძე | გ. მიქაბერიძე |
| გენაძე | ბურჯანაძე |
| პავლიაშვილი | ჩხიკვაძე |
| მოდებაძე | გოგიშვილი |
| მწვრთნელი: | მწვრთნელი |
| თ. მაისურაძე | ლ. ანჯაფარიძე |

**ოლიმპი**

60. ქავთარაძე - **იაშვილი**
64. გენაძე - **ლ. სეთურიძე**
71. მოდებაძე - **გორდეზიანი**

*სათადარიგოები: ბათიაშვილი, ტყემალაძე, ქემოკლიძე, გ. ჭელიძე*

**სამტრედია**

46. გოგიშვილი - **ხვადაგიანი**
46. ბურჯანაძე - **სუთიძე**
78. ნინუა - **ა. შენგელია**

*სათადარიგოები: ბანძავა, დვალიშვილი*

გაფრთხილება: მურველაშვილი (80)
არბიტრი: **გიორგი დოგრაშვილი (ქუთაისი)**

... ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრაში, 29 სექტემბერს რომ ჩატარდა, „ოლიმპმა" პირველ ტაიმშივე „დაამთავრა" თამაში — მეტოქის კარში სამი უპასუხო გოლი გაიტანა. სამივე გოლის ავტორი მასპინძელთა ცენტრფორვარდი **ირაკლი მოდებაძე** გახლდათ და, სხვათა შორის, ეს იყო ამ ჩემპიონატის პირველი „ჰეთ-თრიქიც". მოდებაძემ იმის შემდეგაც არაერთხელ გამოიჩინა თავი და სრულიად დამსახურებულად აცხადებს კიდეც ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობაზე პრეტენზიას. მოდებაძეს გუშინაც ჩინებული შანსი ჰქონდა, პირველ წრეში ნაჩვენები შედეგი გაემეორებინა ან გაეუმჯობესებინა, მაგრამ მხოლოდ და

# „ცალკარა" საჩუქარი

მხოლოდ ერთი გოლი მიუმატა თავის აქტივს. არადა, ჯერ მარტო პირველ ტაიმში... 5 ურეალურესი მომენტი ჰქონდა, მაგრამ ფატალურად არ უმართლებდა: ორჯერ სტუმართა მეკარემ იყოჩაღა, ერთხელ მცირე მანძილით ააცილა, თითოთითოჯერ კი ბურთი ხარიხასა და ძელს გაარტყა. თუმცა, გუშინდელ „ცალკარაში" ანგარიში სწორედ მოდებაძემ გახსნა მოხდენილი თავური დარტყმით. ამ ეპიზოდში არანაკლებ ქებას იმსახურებდა „ოლიმპის" კაპიტანი **ალექსანდრე კვახაძე**, ვინც თანაგუნდელს, როგორც იტყვიან, ბურთი თავზე დაასვა. ეს ყველაფერი მე-13 წუთზე მოხდა, თუმცა ყველაზე უცნაური ის იყო, რომ მასპინძლებმა... მანამდე ვერ შეძლეს გოლ(ებ)ის გატანა, არადა საამისოდ, სულ მცირე, ხუთი (!) შანსი ჰქონდათ და ვერ გამოიყენეს. ეგ კი არა, დიდი შანსი იყო, XXII ჩემპიონატის ყველაზე სწრაფი გოლი გვენახა: მატჩის დაწყებიდან რამდენიმე წამი იყო გასული, **გიორგი მურველაშვილმა** მარჯვენა ფლანგიდან სტუმართა საჯარიმოში გამჭოლი გადაცემა რომ გააკეთა, მაგრამ **ილია პავლიაშვილმა** ახლო მანძილიდან არაზუსტად დაარტყა. ამის მერე რამდენჯერმე შეეძლო გოლის გატანა გიორგი ქავთარაძეს, თუმცა უშედეგოდ. ...„ოლიმპის" ახალგაზრდა ახალწვეულს ილია პავლიაშვილს ამ შეხვედრაში აქტიურობა მეორე ტაიმში დაუფასდა, როცა **ირაკლი მოდებაძის** წამოწყებული კომბინაცია ზუსტი დარტყმით დაამთავრა. პავლიაშვილმა თავისი გუნდის ბოლო გოლშიც აქტიური მონაწილეობა მიიღო, და მისი ზუსტი პასის მერე **დავით ბოლქვაძემ** „დუბლის" შესრულება შეძლო. „ოლიმპის" გამოცდილი ნახევარმცველის პირველი გოლი კი, მართლაც, ეფექტური გამოვიდა: ბოლქვაძე ცრუ მოძრაობით მეტოქის რამდენიმე ფეხბურთელს გაცდა, ამის მერე, „სამტრედიის" მეკარე „მოძრაობაზე დაიჭირა" და ბურთიც დაუცველ კუთხეში ზუსტად გაგზავნა. ჰო, მართლაც „ცალკარა" თამაში გამოვიდა და ყველაზე უცნაურ-საკვირველი ის იყო, ჩემპიონობის ერთ-ერთ ფავორიტს მეტოქე რომ, ფაქტობრივად... წინააღმდეგობას არ უწევდა. თამაშისას (და მანამდეც) რუსთავში გუშინ საკმაოდ ცხელოდა და, შესაძლოა, ამის გამოც ვერ მოახერხა „ოლიმპმა"... ბევრად უფრო შთამბეჭდავი სხვაობით გამარჯვება; არადა, ვინც გუშინდელ მატჩს დაესწრო, ყველა დაგვეთანხმება, რომ მასპინძლებს სულ თავისუფლად შეეძლოთ... ასტრონომიული ანგარიშითაც მოეგოთ; კიდევ ვიმეორებთ: მეტოქე, ფაქტობრივად, წინააღმდეგობას არ უწევდა „ოლიმპს" და „სამტრედიას" კართან რაც მომენტები შეიქმნა, იმათი ჩამოთვლა მართლაც შორს წაგვიყვანს. გასაგებია, რომ გუნდს სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვს, ამას საკადრო პრობლემებიც დაემატა (სტუმართა განაცხადში მხოლოდ 16 ფეხბურთელი იყო), მაგრამ როცა ფეხბურთელი, „გადაბმულად" ერთი-ორ პასსაც ვერ გააკეთებს, როცა მეტოქის კარის მიმართულებით თუ კარში ერთი-ორჯერ დაარტყამ, ასეთი გუნდის მომავალი, რაღა თქმა უნდა, ბუნდოვანი უნდა იყოს...

...4:0-ის მერე თამაში, ფაქტობრივად, დაწყნარდა. უფრო ზუსტად, იმის შემდეგ, რაც მოდებაძემ მოედანი დატოვა და ამჯერად ყველაზე დიდ ინტერესს **სანდრო იაშვილის** გამოჩენა იწვევდა. სამწუხაროდ, „ოლიმპის" ცნობილ ახალწვეულს ფატალურად არ გაუმართლა: მეტოქის ერთ-ერთ ფეხბურთელთან შეჯახებისას ფეხი იტკინა და მოედანი ნაადრევად დატოვა. მასპინძლებმა მატჩის ბოლო წუთები ათი კაცით ჩაამთავრეს, მაგრამ „სამტრედია" რომ თუნდაც პრესტიჟის გოლის გამტანი არ იყო, ამაში, ფაქტობრივად, ყველა დარწმუნებული იყო, ვინც გუშინ ჩემპიონისა და ბუტსაიდერის დაპირისპირებას თვალი მიადევნა. ჩემპიონი კი შემთხვევით არ გვიხსენებია: ამ ტურში „ზესტაფონის" კიდევ ერთმა „საჩუქარმა" „ოლიმპის" შანსები კიდევ უფრო გაამყარა და სანაკრებო პაუზის მერე განახლებული ჩემპიონატიც საკმაოზე მეტ ინტრიგას გვპირდება...

**გია ტუხაშვილი**
რუსთავი-თბილისი

| ად | გუნდი | თ | მ | ფ | წ | ბურთები გატ. | ბურთები გაშ. | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ზესტაფონი | 26 | 17 | 4 | 5 | 51 | 14 | 55 |
| 2 | ოლიმპი | 26 | 16 | 6 | 4 | 40 | 19 | 54 |
| 3 | დინამო | 24 | 13 | 7 | 4 | 35 | 12 | 46 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 25 | 12 | 2 | 11 | 28 | 29 | 38 |
| 5 | ბაია | 25 | 10 | 5 | 10 | 25 | 31 | 35 |
| 6 | ტორპედო | 26 | 8 | 9 | 9 | 17 | 17 | 33 |
| 7 | სიონი | 26 | 6 | 8 | 12 | 16 | 33 | 26 |
| 8 | სპარტაკი | 26 | 6 | 6 | 14 | 26 | 32 | 24 |
| 9 | კოლხეთი | 26 | 6 | 6 | 14 | 16 | 37 | 24 |
| 10 | სამტრედია | 26 | 5 | 5 | 16 | 20 | 50 | 20 |

| ბომბარდირები | გოლი (პენალტით) |
|---|---|
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 12 |
| წინამძღვრიშვილი (ზესტაფონი) | 11 (1) |
| მოდებაძე (ოლიმპი) | 11 (1) |
| დვალი (ზესტაფონი) | 10 |
| მეგრელაძე (ტორპედო) | 10 |

BG Bet Guru
http://bet.goli.ge
სრულიად უფასოდ !!!
ხარ აზარტული და გიყვარს ფეხბურთი ?
გამოიცანი თამაშების შედეგები და მოიგე !
- თითოეულ ჩემპიონატზე თვეში 100 ლარი
- Top 5 - ყოველკვირეული გათამაშება - საპრიზო ფონდი 250 ლარი!
- სეზონის ბოლოს 3000 ლარი, ან 'ელ კლასიკოზე' დასასწრები 2 ბილეთი!

# დრამა ქართლზე

« მე-2 გვერდიდან

მეორე ნახევარი უცნაური გოლით დაიწყო: მორიგი სწრაფი იერიშისას მეტოქის საჯარიმოში მცველთან ერთად აღმოჩენილმა მეტრეველმა მეტად მოუხერხებელი მდგომარეობიდან უცნაური ტრაექტორიით დაარტყა, ყველას და ალბათ მიგინეიშვილსაც ეგონა, რომ ბურთი კარს სცდებოდა, თუმცა გოლკიპერი მაინც გამოედევნა მას, მაგრამ ამაოდ - 2:0. ანგარიშში სხვაობა და ორივე გუნდის გარჯა გვაფიქრებინებდა, რომ „ტორპედო" მარცხისთვის იყო განწირული, თუმცა სტუმრები, განსაკუთრებით კი შეცვლაზე შესული **ნიკა საბანაძე,** ასე არ ფიქრობდნენ, ისინი გაშმაგებით ეკვეთნენ მეტოქეს და ერთხანს მოედანზე სიტუაციაც დაიძაბა. 58-ე წუთზე **ბოლქვაძე** და მიგინეიშვილი არბიტრმა ყვითლებით „დაამშვიდა". მალევე ბურთისთვის თავგანწირულ ბრძოლაში ერთმანეთს შეჯახებულმა დეკანოიძემ და **გიგაურმა** ველარ განაგრძეს თამაში. მორიგი ორთაბრძოლისას სპარტაკელი ბოლქვაძე ისე მოცელეს, რომ მოედნიდან ხელით გასაყვანი გახდა. ამ დროს შეხვედრის დასრულებამდე 15 წუთი რჩებოდა, „ტოროპედო", თუ არ ჩავთვლით **მეგრელაძისა** და საბანაძის დარტყმებს, მაინცდამაინც მწვავედ ველარ უტევდა და სპარტაკელებიც ოდნავ მოეშვნენ. სწორედ ამის გამო მანამდე საიმედოდ მოთამაშე „სპარტაკის" დაცვა შეცდა, დოლიძის ფლანგურ ჩაწოდებას ხეირიანად ვერ დაუხვდა და საბანაძემ ზუსტი თავურით ერთი ბურთი გაქვითა. დამატებულ მე-4 წუთზე კარიდან დაახლოებით 30 მეტრში მეგრელაძის ნაქცევითვის ჯარიმა დაინიშნა, რომელიც მანვე შეასრულა. აქ ალბათ „სპარტაკის" ქომაგებს გამოცდილი მეკარე **სოსო გრიშიკაშვილი** გაახსენდათ, რომელიც ტრავმის გამო ტოვებდა შეხვედრას. მეგრელაძის ჩაწოდებულზე კი მასპინძლეთა გოლკიპერმა ბურთი ვერ შეიმაგრა, შეცდომით კარგად ისარგებლა საბანაძემ და ქულის მომტანი გოლი გაიტანა. თამაში აქ დასრულდა.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

დინამოელებო – გაერთიანდით!
დინამოს გვერდით ყოფნა უკვე საამაყოა!
აქ 90 წუთი თავდადებაა!
გაწევრიანება – უფასოა
გულშემატკივრობა – სავალდებულო!
ჩვენ ვართ დინამო!
ჩვენ ვართ გლადიატორები!
დინამოს ფან-კლუბში გაწევრიანება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, ვისაც უყვარს ჩვენი გუნდი და შეუძლია 90 წუთის განმავლობაში დინამოს მე-12 ფეხბურთელად იქცეს. ფან-კლუბის წევრები უზრუნველყოფილნი იქნებიან მატჩზე დასასწრები ბილეთებით და ტრანსპორტირებით გასვლით მატჩებზე. გამორჩეულ ფანებს გადაეცემათ კლუბის მაისურები და სხვა ატრიბუტიკა.
დაგვიკავშირდით: 893 35-80-14 874 77-77-84

# იმფერო, ამფერო და ისევ ფრე

« მე-2 გვერდიდან

მისი ახლანდელი იმერული ვოიაჟი კი იღბლიანი გამოდგა - გათამაშების ლიდერთან მოპოვებული ქულა მის აქტივში ჩაიწერება. ბოლნელთა დამრიგებელმა დაცვით ტაქტიკას მიმართა, სტუმრებმა საჯარიმოს მისადგომები საიმედოდ ამოკეტეს და მეტოქეს ზოგჯერ სახიფათო კონტრშეტევებითაც პასუხობდნენ. **გია გეგუჩაძემ** კი ტრადიციულ 4-4-2 ტაქტიკას მიმართა. ზესტაფონელები უპირატესობას თავიდანვე დაეუფლნენ, მაგრამ რეალური სახიფათო მომენტი მხოლოდ 23-ე წუთზე შექმნეს, როცა საჯარიმოს გარედან **გრიგალაშვილის** უძლიერესი დარტყმა ლეგაშვილმა მოიგერია. ამ ეპიზოდიდან წუთი არ იყო გასული, **ძარიამ** ძელს რომ გაარტყა ბურთი. ამას **დვალის** არაზუსტი თავური მოჰყვა. 33-ე წუთზე კი თავად მასპინძლები გადაურჩნენ გოლს, **ჯიქია** ურტყამდა სახიფათოდ და მცირედით ააცილა. ტაიმის ბოლოს მასპინძლებს ანგარიშის გახსნა მართებდათ, მაგრამ **გელაშვილის** გამჭოლი გადაცემის შემდეგ ძარიამ ახლო მანძილიდან ააცილა.

მეორე ტაიმი გაცილებით უარესი სანახავი გამოდგა. ზესტაფონელები ბევრს უტევდნენ, მაგრამ რეალურ საგოლე მომენტებამდე საქმე არ მიდიოდა. 55-ე წუთზე დვალმა უკეთეს პოზიციაში მყოფ **აფციაურს** არ დაანება დარტყმა, თავად კი სიზუსტე დააკლდა. ფეროელებს ნერვიულობა უფრო და უფრო დაეტყოთ. ბოლნისელებმა მათი დაბნეულობით ისარგებლეს და ზედიზედ სამჯერ მწვავე შეტევა განახორციელეს. 61-ე წუთზე **ჩირიკაშვილის** შორეული დარტყმა ასცდა მიზანს. შემდეგ კი ორჯერ ჯიქიას მიეცა თავის გამოჩენის შანსი, ორივე შემთხვევაში მას ასისტენტობას ჩირიკაშვილი უწევდა, თუმცა ბოლნისელთა ფორვარდმა მეკარე **კვასხვაძის** წინააღმდეგობა ვერ დაძლია. გეგუჩაძემ შეცვლებს მიმართა, მოედანზე **წინამძღვრიშვილი, გორგიაშვილი** და **ბაბუნაშვილი** გამოჩნდნენ, მაგრამ, მასპინძლები კვლავ ქაოტურად უტევდნენ და მათი იერიშების განეიტრალება შესანიშნავად მოთამაშე სტუმართა დაცვას არ უჭირდა. 85-ე წუთზე წინამძღვრიშვილის სახიფათო თავური ასცდა მიზანს. მეტი დასამახსოვრებელი კი აღარაფერი მომხდარა. ბოლნისელებმა ქულით ძალიან გაიხარეს. ზესტაფონელი გულშემატკივრები კი საკუთარი გუნდის თამაშით უკმაყოფილებას ვერ მალავდნენ...

**დავით კოხრეიძე**
ზესტაფონიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქართული ფეხბურთი

ინტერვიუ

# გაბრიელ თებიძე: ქართულ უმაღლესს ევროპული გამოცდილება მირჩევნია



**ამ დღეების უმთავრესი საფეხბურთო თემა საქართველოს ეროვნული ნაკრების მოახლოებული მატჩებია, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ 17-წლამდელთა ნაკრები, რომელიც 25 მარტიდან საფრანგეთში გასამართ ელიტრაუნდში ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოსახვედრად ბრძოლას დაიწყებს.**

**იშვიათი გამონაკლისების გარდა, საქართველოს ეროვნულ თუ ასაკობრივ ნაკრებებს მეკარის პრობლემა ყოველთვის ჰქონდათ. ამ მხრივ სასიამოვნო გამონაკლისია ჩვენი 17-წლამდელთა ნაკრები, რომლის კარსაც გაბრიელ თებიძე იცავს. მის პერსპექტივაში გულშემატკივარი გასულ შემოდგომაზე თბილისში დარწმუნდებოდა, როცა ევროპის ჩემპიონატის პირველ შესარჩევ ეტაპზე თებიძემ სამივე მატჩი მაღალ დონეზე ჩაატარა და გუნდის წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანა.**

**ელიტრაუნდის წინ თებიძე იმედიანადაა განწყობილი და სჯერა საკუთარი თავისაც და გუნდისაც. ინტერვიუმდე ნაკრების თავკაცმა კობა ჟორჟიკაშვილმა გვითხრა, რომ მან თავი ესპანეთში გამართულ ამხანაგურ მატჩებშიც გამოიჩინდა და ჩვენი გუნდი გოლისგან რამდენიმეჯერ იხსნა.**

**- როგორ ფორმაში ხვდები ელიტრაუნდს?**

- ვფიქრობ, ასეთი მნიშვნელოვანი გამოცდისთვის კარგად ვარ მომზადებული ფიზიკურადაც და ფსიქოლოგიურადაც. მთავარია, რომ მაღალ დონეზე თამაშს უკვე შეჩვეულები ვართ. პირველ ეტაპზეც ძლიერ გუნდებთან გვქონდა საქმე და ესპანურმა შეკრებამაც დაგვარწმუნა, რომ გამარჯვების შანსი ყველასთან გვაქვს. მცირე ტრავმა მაწუხებდა და ამის გამო ოთხი დღე ვერ ვივარჯიშე, მაგრამ დაკარგული დრო მალევე ავინაზღაურე.

**- ისე მოხდა, რომ ესპანეთის შემდეგ ელიტრაუნდამდე ნაკრებს საკონტროლო მატჩი აღარ ჩაუტარებია. სათამაშო პრაქტიკის სიმცირეს ხომ არ უჩივი?**

- არა, რადგან "ოლიმპის" შემადგენლობაში ელიტლიგაში სისტემატურად ვთამაშობ. ბუნებრივია, სულ სხვაა სანაკრებო მატჩები, მაგრამ გუნდი ტონუსშია და დარწმუნებული ვარ, საფრანგეთში თავს არ შეირცხვენს. ყველაზე მნიშვნელოვანი შეკრება ურეკში გავიარეთ, სადაც მწვრთნელებმა დეტალურად აგვიხსნეს, რაზე უნდა გვემუშავა და ვფიქრობ, მათი დავალებები მაქსიმალურად შევასრულეთ.

**- ელიტრაუნდის სამი მეტოქიდან ერთის - ბელარუსის წინააღმდეგ უკვე გითამაშია.**

- ამ გუნდს გასულ ზაფხულს პალანგის თასზე დიდი ანგარიშით მოვუგეთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბელარუსები იმ მარცხისგან სათანადო დასკვნებს გამოიტანდნენ და საფრანგეთში გადახალისებულ და უფრო ძლიერ გუნდს ჩამოიყვანენ.

**- მთავარ კონკურენტად, ალბათ, საფრანგეთის ნაკრები მიგაჩნია.**

- ამ ქვეყნის საფეხბურთო ტრადიციებზე ლაპარაკი ზედმეტია. საფრანგეთს ჭაბუკებში ყოველთვის ძლიერი გუნდები ჰყავს, მაგრამ ყოველგვარი ფსიქოლოგიური წნეხის გარეშე ვითამაშებთ და ქართველი ქომაგის გახარებას შევეცდებით.

**- ელიტრაუნდს საფრანგეთთან შეხვედრით ვიწყებთ. ეს ფაქტი რამდენად სახარბიელოა ჩვენთვის?**

- არა მგონია, კალენდარს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდეს. დაე, ჯგუფის ფავორიტი თავიდანვე გამოიკვეთოს.

**- საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებზე რას იტყოდი?**

- თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ მგონია, რომ ყველა კომპონენტში მეტ-ნაკლებად კარგად ვარ მომზადებული. ბუნებრივია, სამუშაო და სასწავლი კიდევ ბევრია, მაგრამ მეკარისთვის საჭირო ყველა თვისება მაქვს. ვარ საკმარისად მაღალი, მაქვს თამაშის წაკითხვის უნარი, არც რეაქციით ვარ უკმაყოფილო და, რაც თანამედროვე მეკარისთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ფეხითაც ნორმალურად ვთამაშობ. გასაუმჯობესებელი მაქვს სწრაფი აზროვნების უნარი, ვგულისხმობ იმ ეპიზოდებს, როცა ვალდებული ვარ, ფეხით ბურთი პარტნიორს დროულად და გონივრულად გადავაწოდო.

**- ვიცით, რომ ესპანეთში გამართულ მატჩებს სხვადასხვა ევროპული კლუბის სელექციონერები ესწრებოდნენ. შენით ვინმე ხომ არ დაინტერესებულა?**

- კონკრეტულს ვერაფერს გეტყვით, მაგრამ არ არის გამორიცხული, მალე მართლაც აღმოვჩნდე რომელიმე ევროპული კლუბის ინტერესების სფეროში.

**-გირჩევნია, მალე ნახვიდე საზღვარგარეთ თუ ჯერ რომელიმე ქართულ უმაღლესლიგურ გუნდში დამკვიდრება გინდა?**

- ჩემი კარიერისთვის უკეთესი იქნება, რაც შეიძლება მალე გადავიდე ძლიერ ევროპულ კლუბში და იქ ეტაპობრივად გავხდე ძირითადი მეკარე, ვიდრე უფრო მალე დავიწყო საქართველოს ჩემპიონატში თამაში.

**ლევან ჯანეზაშვილი**

# თამაში იყოს და არაბი იყოს

« მე-2 გვერდიდან

ჯგუფში პირველი მატჩი 3 ივნისს ხორვატიასთან გვაქვს, მანამდე არცთუ დიდი დროა. ასე რომ, ახლა ჩვენ შედეგი ნაკლებად გვაინტერესებს, რადგან მთავარი კანდიდატების შერჩევაა.

**- რომელ პოზიციას მიიჩნევთ პრობლემურად და რომელშია შედარებით უკეთესი მდგომარეობა?**

- ეს ტურნირზე გამოჩნდება, დღევანდელი გადასახედიდან კი ისე ჩანს, რომ თავდასხმაში შედარებით უკეთესი არჩევანი გვაქვს, დაცვაში, განსაკუთრებით კი ფლანგებზე, შესაფერისი კანდიდატების შერჩევა შედარებით ჭირს.

**- ავსტრიაში ყველა ფეხბურთელი ითამაშებს?**

- რა თქმა უნდა. ტურნირი იმით არის კარგი, რომ ყველა ფეხბურთელზე დაკვირვების საშუალებას იძლევა. ზოგი მეტს ითამაშებს, ზოგი ნაკლებს, მაგრამ გავიგებთ, რეალურად ვის რა შეუძლია. სამწუხარო ისაა, რომ ავსტრიაში ყველა საინტერესო მოთამაშეს ვერ წავიყვანთ.

**- ნაკრების წინა თაობა უფრო შეთამაშებულიც იყო და მეტი საერთაშორისო გამოცდილებაც ჰქონდა, ზოგიერთს ეროვნულ ნაკრებშიც კი ჰქონდა ნათამაშები.**

- ეს ასეა, მაგრამ ამით ჩვენი ამოცანა არ შეიცვლება. ყველასთვის ცხადია, რომ უძლიერეს ჯგუფში მოვხვდით - ესპანეთი, ხორვატია, შვეიცარია და ესტონეთი სასურველი მეტოქეები არ არიან. ამის მიუხედავად, წინასწარ ხელების ჩამოყრა გაუმართლებელია. ბედს რომ შეგუებოდა, წინა შესარჩევ ციკლში ისლანდიის ნაკრები გერმანიასა და ჩეხეთთან წარმატებაზე ვერ იფიქრებდა, მაგრამ ორივე ჩამოიტოვა და ევროპის ჩემპიონატის მიღმა დატოვა. ან ფარერების ახალგაზრდული ნაკრების რუსეთთან მოგება გავიხსენოთ, რაც წარმოუდგენელი ჩანდა. რაღა სხვებზე ვილაპარაკოთ, თურქეთთან შეხვედრამდე საქართველოსაც ყველა აუტსაიდერად მიიჩნეოდა, რადგან თურქთა ამ თაობამ მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი დაიკავა. ჩვენ კი ორივე შეხვედრა მოვუგეთ და ევროპის ჩემპიონატის მიღმა დავტოვეთ. ასე რომ, ბრძოლა ყველასთან შეიძლება და გულშემატკივარიც ამას ითხოვს. ჩვენც ამას გპირდებით. კვალიფიციური მოთამაშეების დეფიციტი საგრძნობია, მაგრამ იმასაც ვერ ვიტყვით, რომ ამ თაობაში არჩევანი არ გვაქვს. შედარებით ნაკლებად გამოირჩევიან 1991 წელს დაბადებულები, 1990, 1992 და 1993-წლიანთა შორის კი ბევრი საინტერესო მოთამაშეა.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი



ალექსანდრე ამისულაშვილი (მარჯვნივ)

# სახიფათო ცნობები

## უნგრეთში რატიმ გაისროლა

მოსკოვიდან და გენუიდან არცთუ სასიამოვნო ცნობები მივიღეთ - „სპარტაკის" ოფიციალურ საიტთან საუბარში **ვალერი კარპინმა** 99%-ით გამორიცხა „ვოლგასთან" **ჯანო ანანიძის** თამაში. დაველოდოთ, რა მოხდება დღეს, „ვოლგასთან" მატჩი სწორედ დღესაა. „ბოლონიასთან" მატჩში ვერ ითამაშა ჩვენმა კაპიტანმა **კახა კალაძემ**, რომელიც გადაღლილი ყოფილა. შაბათს ხორვატიასთან ევრო 2012-ის საკვალიფიკაციო მატჩი გველის, კალაძისა და ანანიძის გარეშე კი შანსები შეგვიმცირდება.

რუსული პრემიერლიგის მე-2 ტური „კრასნოდარისა" და ნალჩიკის „სპარტაკის" მატჩით გაიხსნა. მასპინძელთა კაპიტანმა **ალექსანდრე ამისულაშვილმა** კვლავ საიმედოდ ითამაშა, თუმცა 88-ე წუთზე სტუმართა ფორვარდი საჯარიმოში წააქცია და ყვითელი ბარათი მიიღო. სტუმრებმა პენალტის გატანა ვერ შეძლეს, ასე რომ, „კრასნოდარმა" „მშრალად" მოიგო - 2:0. როგორც იქნა, სეზონი დაიწყო ნალჩიკელთა ქართველი ფორვარდისთვისაც - **დავით სირაძე** მოედანზე 58-ე წუთზე შევიდა და ორჯერ დაემუქრა კარს, ერთხელ საჯარიმო დარტყმით, ერთხელ კი - თავით. „ჩემპიონატმა" ამისულაშვილის თამაში 5,5 ბალით შეაფასა, სირაძისა - 5-ით.

გუშინ „რუბინმა" 2:0 მოუგო „ტერეკს", რომლის შემადგენლობაშიც სათადარიგო იყო **ლევან გვაზავა**. რუსეთის ქართული ლეგიონისთვის დღევანდელი დღე ყველაზე დატვირთული იქნება, რადგან „ვოლგა" და „ანჟი" დღეს ითამაშებენ.

დუბლების ჩემპიონატში „რუბინმა" ორი ქართული გოლის წყალობით 3:0 დაამარცხა „ტერეკი". მე-40 წუთზე **მერაბ ურიდიამ** გაიტანა, 78-ეზე კი **ავთანდილ ბრაჭულმა**. მასპინძელთა რიგებში კიდევ ერთმა ქართველმა ითამაშა - **საბა კვირკველიამ**.

ინგლისურ ჩემპიონშიპში **ზურაბ ხიზანიშვილის** „რედინგმა" სტუმრად 1:0 იმარჯვა. „როიალსის" ქართველმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა. 57-ე წუთზე ზურას თავური კინაღამ გოლად იქცა, მაგრამ მასპინძელთა მეკარემ თავგანწირვით ითამაშა. „სქაის" მკითხველები ზურაბის თამაშს 7 ბალით აფასებენ. „რედინგს" 57 ქულა აქვს და სულ 3 ქულით ჩამორჩება პრემიერლიგის საგზურის პლეი ოფის ზონას, თანაც თამაში რეზერვში აქვს.

საფრანგეთის ლიგა 2-ში **გიორგი მაკარიძის** „ლე მანი" სტუმრად „კლერმონს" 0:0 დაუზავდა და მე-3 ადგილამდე დაქვეითდა. გიორგი კვლავ სათადარიგო იყო, კარში კი **დიდიე ოვონო** იდგა.

მას შემდეგ, რაც ალექსანდრე ამისულაშვილმა „ქაისერისპორი" დატოვა, **შოთა არველაძის** გუნდის საქმეები უკან წავიდა - ქართველი მწვრთნელის გუნდი „ბეშიქთაშთან" სტუმრად 2:4 დამარცხდა. შოთას გუნდი უკვე მე-5 ადგილზეა.

პოლონურ ექსტრაკლასაში ლოძის „ვიძევმა" სტუმრად 1:0 მოუგო „პოლონიას". **ნიკა ძალამიძე** კვლავ გამორჩეული იყო თანაგუნდელებში, მაგრამ 77-ე წუთზე ტრავმა მიიღო და შეცვალეს.

უკრაინული პრემიერლიჰის 22-ე ტურში „კრივბასის" საყრდენმა ნახევარმცველმა **ჯაბა კანკავამ** 90 წუთი ითამაშა „მეტალისტთან" 0:0 დასრულებულ მატჩში. თამაშის შემდეგ „კრივბასის" მწვრთნელმა **იური მაქსიმოვმა** კანკავა შეაქო: *„ყოჩაღ, ჯაბა! მის თამაშთან დაკავშირებით შენიშვნები არა მაქვს - კაცმა ორი წელი ფეხბურთი ვერ ითამაშა და, ეტყობა, ახლა თამაში სწყურია".*

**ჯაბა ლიპარტიას** „ზარიამ" 1:0 მოუგო „ობოლონს", ჩვენებურმა შეუცვლელად ითამაშა. „სევასტოპოლი" ტრავმირებული **მათე ღვინიანიძის** გარეშე დაუხვდა „კარპატის" და 3:1 მოუგო. სტუმართა რიგებში 65-ე წუთზე **სანდრო გურული** გამოჩნდა. ზაპოროჟიეში „მეტალურგისა" და „ტავრიას" მატჩში (2:2) სასტარტო შემადგენლობაში გამოჩნდა **ვასილ გიგიაძე**, რომელმაც შეხვედრის პირველი ნახევარი ითამაშა. **თორნიკე ოქრიაშვილის** „ილიჩივეცი" კიევის „არსენალს" ესტუმრა და 1:3 დამარცხდა. თორნიკე მწვავედ უტევდა მარჯვენა ფლანგიდან, თუმცა თანაგუნდელები ვერ აიყოლია. მასპინძელთა რიგებში არ გამოჩენილა **სანდრო კობახიძე, ვლადისლავ ჩანგელია** კი სათადარიგო იყო.

უნგრეთის ჩემპიონატის მე-20 ტურში „დიორი ეტომ" **რატი ალექსიძის** გოლით მოუგო „ფერენცვაროშს" - 1:0. ქართველმა ერთ-ერთ ლიდერს 50-ე წუთზე გაუტანა. ჩვენებური 76-ე წუთზე შეცვალეს. სამწუხაროდ, სხვა ქართველი „ეტოს" განაცხადში არ ყოფილა (**თოთაძემ, შარაშენიძემ** და **განუგრავამ** სარეზერვო გუნდში ითამაშეს). ეს 32 წლის თავდამსხმელის მე-5 გოლია ჩემპიონატში. ისრაელში ლიდერმა „მაქაბიმ" 3:0 მოუგო აშკელონის „ჰაიფას", **ლადო დვალიშვილმა** 90 წუთი ითამაშა, მაგრამ გოლი არ გაუტანია, თუმცა მის ანგარიშზე საგოლე პასია. სერბეთში **გიორგი მერებაშვილის** „ვოივოდინამ" 3:0 მოუგო „ჩუკარიჩკის". ქართველი მე-60 წუთზე შეცვალეს.

საბერძნეთის სუპერლიგაში **დავით კვირკველიას** „პანიონიოსი" „ირაკლისს" ესტუმრა - 1:1. ჩვენებურმა ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე ითამაშა, მეორე ტაიმში კი ყვითელი ბარათი მიიღო, ისევე, როგორც **გიორგი შაშიაშვილმა**, მისი „ერგოტელისიც" სტუმრად 6-გოლიან თრილერში „ლარისას" დაუზავდა - 3:3. ჩვენებურმა სრულად ითამაშა. „ერგოტელისი" 33 ქულით მეათეა, ხოლო „პანიონიოსი" 31 ქულით მე-11.

სხვა ლიგებში მოასპარეზე ქართულ ლეგიონზე ამჯერად მხოლოდ გაკვრით დავწერთ - გოლები გაიტანეს: **ლევან კუტალიამ** (ზრინსკი, ბოსნია), **გაგა თიბილაშვილმა** (იმპულსი, სომხეთი) და **გიორგი კრასოვსკიმ** (ულისი, სომხეთი).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მწვრთნელი

# სანაია პროლიცენზიას აიღებს



**გელა სანაია** ამჟამად უმუშევარია, მაგრამ ახალი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული მწვრთნელი დროს უქმად არ კარგავს და საფეხბურთო განათლებას ილრმავებს. თბილისის "ლოკომოტივისა" და "სამტრედიას" ყოფილი თავკაცი დღეს უკვე კიევში იქნება, სადაც პროლიცენზიის კურსებს გაივლის.

*"სამწვრთნელო საქმიანობას მხოლოდ დროებით ვარ ჩამოშორებული. პროლიცენზიის აღება მტკიცედ მაქვს გადაწყვეტილი. როგორც იცით, საქართველოში ჯერ მისი მოპოვება ვერ ხერხდება და ამიტომაც კიევში პერიოდულად ვივლი. პირველი კურსი ექვსდღიანია. მომდევნო მეცადინეობებიც დაახლოებით ამ ხანგრძლივობისა იქნება. კურსები სანაკრებო პერიოდებისას ტარდება ხოლმე, რათა კლუბებში დასაქმებულ მწვრთნელებს ხელი არ შეეშალოთ. კიევის გარდა, ერთხელ დასავლეთ ევროპაშიც ჩავალ, გერმანიაში ან ჰოლანდიაში. სწავლების ღირებულებას - 8 ათას დოლარს და სხვა ხარჯებს მე ვფარავ"*, - გვითხრა სანაიამ.

პროლიცენზიას საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში დღეს მომუშავე მწვრთნელთაგან მხოლოდ ერთი - **გია გეგუჩაძე** ფლობს. მის გარდა, ქართველთაგან ყველაზე პრესტიჟული ლიცენზია მიღებული აქვთ საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელ **თემურ ქეცბაიას**, თურქული "ქაისერის" თავკაც **შოთა არველაძეს**, აზერბაიჯანულ "ინტერში" მომუშავე **კახა ცხადაძესა** და **გიორგი ჩიხრაძეს**, აგრეთვე დღეისთვის უმუშევარ **ვლადიმერ ხაჩიძეს**.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ინგლისი. პრემიერლიგა XXX ტური

# მთავარ როლში დავიდ ლუიზი

მოდი, თავიდან ის ამბავი მოვყვეთ, როგორ მოუგო კაცნაკლულმა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ბოლტონს“. გოლი შეცვლაზე შესულმა **დიმიტარ ბერბატოვმა** გაიტანა. მეორე ტაიმში, როდესაც **ჯონი ევანსმა სტიუარტ ჰოლდენის** წინააღმდეგ იუხეშა და მოედნიდან გააძევეს, მასპინძლები უკვე ძალიან ცუდად თამაშობდნენ, მაგრამ შემდეგ ასეთი რამ მოხდა: ბოლტონელმა **მეტიუ ტეილორმა** შესანიშნავი შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან და ამ ეპიზოდმა თითქოს რაღაც გარდატეხაო. თამაშის მიწურულს ბერბატოვმა **ნანის** ჩაწოდებული ბურთი „ბოლტონის“ კარში შეაგდო. თან ამ ეპიზოდში, ბოლტონელთა მეკარე **იუსი იაას კელაინენი** მისთვის უჩვეულოდ შეცდა - 35 წლის ფინელი ასეთ ეპიზოდებში, როგორც წესი, საიმედოა და ჩაწოდებულ ბურთებს ეუფლება.

ისე, ამ შეხვედრაში მოედანზე არანაკლებ საინტერესო ამბები ლოჟაში ხდებოდა. ჯერ ერთი ინგლისის ნაკრების მწვრთნელი **ფაბიო კაპელო** და „იუნაიტედის“ კაპიტანი **რიო ფერდინანდი** ერთმანეთთან ახლოს ისხდნენ (გეხსომებათ, რა ამბავი ატყდა როდესაც კაპელომ ნაკრების კაპიტნის სამკლავური **ჯონ ტერის** ფერდინანდის დაუკითხავად გადასცა) და



მეორე — „იუნაიტედის“ სექტორიდან თამაშს დონეცკის „შახტარის“ ბრაზილიელი თავდამსხმელი **დუგლას კოსტა** ადევნებდა თვალს. მისი ყიდვა მანჩესტერელებს უკვე მეორე წელიწადია უნდათ. თუმცა, ლოჟაში მთავარი ფიგურა მაინც სერ **ალექს ფერგიუსონი** იყო, რომელმაც ხუთთამაშიანი დისკვალიფიკაციის მოხდა დაიწყო. იქ, ტრიბუნაზე „იუნაიტედის“ თავკაცს ვერავინ უსაყვედურებდა იმის გამო, რომ შეხვედრის დასაწყისში, როდესაც **ხავიერ ერნანდესის** დარტყმული **გერი კეჰილის** მკლავს მოხვდა, მან მსაჯ **ენდი მარინერის** გადაწყვეტილება გააპროტესტა — ფერგი პენალტს ითხოვდა.

ზემოთ ევანსის უხეშობა ვახსენეთ. მატჩის შემდეგ „ბოლტონის“ მწვრთნელმა **ოუენ კოილმა** თქვა: „სტიუარტ ჰოლდენი საავადმყოფოში გახდა ნასაყვანი. მას მუხლზე ჭრილობა აქვს. იმედი გვაქვს, რომ ეს ჭრილობა ზედაპირულია“.

ევანსი რომ გასაგდები იყო, ფერგიუსონმაც აღიარა: „ორივე მოთამაშე ბურთისკენ აწეული ფეხით წავიდა და ევანსმა იმ ბიჭს ჩაარტყა. განზრახ არაფერი მომხდარა, მომხდარა, მაგრამ როდესაც ფეხს ასე სწევ, უკვე სახიფათოდ თამაშობ და ამ ეპიზოდის გამო მსაჯთან სასაყვედურო არაფერი მაქვს“.

და რა ქნა ამ დროს „იუნაიტედის“ მთავარმა კონკურენტმა „არსენალმა“? მხოლოდ და მხოლოდ ფრედ ითამაშა. ეს ვესტ ბრომვიჩში მოხდა, სადაც თავიდან მასპინძლები 2:0-ს იგებდნენ. ერთი სიტყვით, „ქარლინგის თასის“ ფინალში „ბირმინგემთან“ წაგების შემდეგ „მეთოფეების“ საქმე სულ უკან და უკან მიდის. მატჩის შემდეგ ლონდონელთა მწვრთნელმა **არსენ ვენგერმა** ასე თქვა:

„ცუდ მოედანზე მოგვიწია თამაშმა. ასეთ საფარზე ბურთის სწრაფად გათამაშება ძნელია, ასეთ დროს კი აქცენტი მტკიცე ხასიათსა და დაჟინებაზე უნდა გაგვეკეთებინა. როგორც ნახეთ, ჩვენ სწორედ ასე მოვიქეცით და ორბურთიანი ჩამორჩენა გამოვასწორეთ. თეორიულად ცხრილში კიდევ ორი ქულის ჩაწერა შეგვეძლო, ფსიქოლოგიურად კი არაფერი დაგვიკარგავს, პირიქით, ქულა შევიძინეთ. თამაშის წინ ბიჭებს ვუთხარი, რაც უნდა მოხდეს დაკარგული მაინც არაფერი იქნება-მეთქი. მას მერე, რაც ბოლო დროს გადაგვხდა, გონს მოსვლა ადვილი საქმე არ იყო“.

ლონდონურ დერბიში „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ „ვესტ ჰემს“ ვერ მოუგო, არადა ეს შეხვედრა ორივე გუნდისთვის აუცილებლად მოსაგებთა კატეგორიას განეკუთვნებოდა. ფრე „სფურზისთვის“, ოთხეულში მოსახვედრად კარგი შედეგი რასაკვირველია, არ იყო. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ **ჰარი რედნაპის** ბიჭებმა ცდა არ დააკლეს. **მაიკლ დოუსონმა, გარეთ ბეილმა** და **აარონ ლენონმა** ძელს მოარტყეს ბურთი **ჯერმაინ დეფომ** კი რამდენიმე ჩინებული შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან. დიდებულად ითამაშა „ვესტ ჰემის“ მეკარე **რობერტ გრინმა.**

და მაინც, რატომ ვერ მოიგეს „დეზებმა“? სტატისტიკა გვეუბნება, რომ ამ სეზონში მათ ჩემპიონთა ლიგის ექვსი შეხვედრის შემდეგ ვერ გაიმარჯვეს პრემიერლიგაში, რაც გამოუცდელობის ბრალი უნდა იყოს. ორ დიდ შეჯიბრებაში ძალთა განაწილებას ცოდნა და მიჩვევა უნდა.

მატჩის შემდეგ რედნაპმა დეფო დაიცვა. რომ თამაშის წინა ღამეს თავდამსხმელს ახლო ნათესავი გარდაეცვალაო.

„ჩვეულებრივ მას ასეთი მომენტებიდან გოლები გააქვს, - თქვა მწვრთნელმა. - ოჯახური ტრაგედია, რომ არ ჰქონოდა, რასაკვირველია ახლაც გაიტანდა. მართალი გითხრათ, ვფიქრობდი კიდეც, მეთამაშებინა თუ არა. რაც შეეხება შედეგს... ისეთი ფეხბურთი, ჩემმა ბიჭებმა რომ ითამაშეს მე ძალიან მიყვარს და ამიტომ დღეს შინ კმაყოფილი წავალ“.

„ვულვერჰემპტონი“ „ასტონ ვილას“ ბირმინგემში ესტუმრა და 1:0 მოუგო. ბურთი **მეტიუ ჯერვისმა** შეაგდო. ეს მისი მეხუთე გოლი გახლდათ მიმდინარე სეზონში. მარცხმა განსაკუთრებით „ვილას“ ფრანგ მწვრთნელ **ჟერარ ულიეს** გაურთულა მდგომარეობა. ბირმინგემელ ფანებს ტრიბუნაზე პლაკატი ჰქონდათ გამოფენილი, სადაც ეწერა: „ჩვენ გვინდა, რომ ულიე გააგდონ“.

„ბლექბერნისა“ და „ბლექპულის“ შეხვედრას **ჩარლი ადამის** ორი გოლის წყალობით სტუმრები 2:1-ს იგებდნენ, მაგრამ კანადელმა **დევიდ ჰოილეტმა**, რომელსაც ჯუნიორ ჰოილეტსაც ეძახიან, თამაშის სულ ბოლოს, მსაჯის წამატებულ წუთებზე, ანგარიში გაქვითა. მატჩის შემდეგ ბლექპულელთა მწვრთნელმა **იან ჰოლოუეიმ** მსაჯს დაატეხა რისხვა:

„ვფიქრობ, ამ შეხვედრაში მსაჯმა აურია. პირველი გოლი ჩვენ პენალტით გავიტანეთ. იყო პენალტი? ვფიქრობ, არა. მსაჯს ჩვენს სასარგებლოდ პენალტი არ უნდა დაენიშნა, თამაში კუთხურით უნდა გაგრძელებულიყო, მაგრამ ეს შეცდომა სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ ბოლო წუთებში მასპინძლების სასარგებლოდ ესტვინა და ის ჯარიმა დაენიშნა, რომლის წყალობითაც მასპინძლებმა ანგარიში გაათანაბრეს“.

„სტოკ სიტიმ“ „ნიუკასლს“ გადაურბინა. სტოკელებმა ოთხივე გოლი პირველ ტაიმში შეაგდეს. როგორც ჩანს, **ტონი პულისის** გუნდი საუცხოო ფორმაში შევიდა - ერთი კვირის წინ მან ასოციაციის თასის ნახევარფინაში დაიბევა ადგილი, ახლა კი „კაჭკაჭები“ დაამარცხა. სტოკელთა თამაში იმდენად სოლიდური იყო, რომ „ნიუკასლს“ შანსი არ ჰქონდა.

„უიგანმა“ 2:1 მოუგო „ბირმინგემს“. გამარჯვების გოლი, სრულიად მოულოდნელად, ჰონდურასელმა მცველმა **მეინორ ფიგეროამ** მსაჯის წამატებულ წუთებში გაიტანა. ცნობისთვის: ფიგეროასთვის ეს მესამე გოლი იყო მესამე წელიწადში.

„ევერტონმა“ იმავე ანგარიშით აჯობა „ფულჰემს“ - ასე მიულოცეს ლივერპულის გუნდის ფეხბურთელებმა თავიანთ მწვრთნელ **დევიდ მოიესს** „გუდისონ პარკზე“ ცხრა წლის გასრულება და მეათეს დაწყება.

კვირას კი „ლივერპულმა“ და „სანდერლენდმა“ ისე ითამაშეს, რომ ცხრილში პოზიცია არც ერთს შეუცვლია და არც მეორეს - მერსისაიდელებმა 2:0 მოიგეს, კვლავ მეექვსე ადგილზე არიან და იმედოვნებენ, რომ „ტოტენჰემს“ მომავალშიც დაუცდება ფეხი. ახლა „დეზებსა“ და მათ შორის სხვაობა 4 ქულაა. „სანდერლენდი“ მეცხრეზე დარჩა და გასავარდნთა ზონას 6 ქულით აღემატება, ასე რომ, **სტივ ბრუსის** გუნდი „წითლებთან“ შეხვედრის წინ უფრო ზემოთ ასვლაზე ფიქრობდა ვიდრე პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებაზე. სტუმრებს მოგებაში მსაჯი **კევინ ფრენდიც** დაეხმარა: 33-ე წუთზე **ჯონ მენსამ** საჯარიმოს მისადგომებთან ბურთი ვერ გააჩერა, ის **ჯეი სპირინგს** „უბოძა“, შემდეგ კი გამოეკიდა და წააქცია, მაგრამ... ხაზს გარეთ. სხვა საქმეა, რომ სპირინგი ინერციით საჯარიმოში წაიქცა. სხვათა შორის, ფრენდი თავიდან სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას აპირებდა და საჯარიმოს გარეთ ჯარიმას ნიშნავდა, მაგრამ მისმა ასისტენტმა თავი გამოიდო და თითი პენალტისკენ გაიშვირა. მეორე გოლი კი თამაშის ბოლოს **ლუის სუარესმა** მახვილი კუთხიდან შეაგდო. ასეთი გოლები ლამაზი სანახავი კი არის, მაგრამ თუ მეკარე არ შეცდა, არც გადის. ამ შემთხვევაში „შავი კატების“ 22 წლის ბელგიელი გოლკიპერი **სიმონ მინოლე** შეცდა...

ტურის ბოლო და უმთავრეს შეხვედრაში კი თვალნათლივ გამოჩნდა, რომ დიდძალი დანახარჯის და რეკლამის მიუხედავად „მანჩესტერ სიტი“ „ჩელსისთან“ ახლოს ვერ მიდის — დასავლეთლონდონელებმა ისტლენდელებს 2:0 მოუგეს და ცხრილში ადგილი გაუცვალეს. „ლურჯებმა“ ყველაფერში აჯობეს მოწინააღმდეგეს, ახალი შენაძენი, ბრაზილიელი **დავიდ ლუიზი** კი უბრალოდ შეუდარებელი იყო. ის დიდებულად თამაშობდა დაცვაშიც და გოლიც მან შეაგდო. თან, ლუიზმა თავურით გაიტანა მისივე მოპოვებული საჯარიმოდან ჩაწოდებული ბურთი. აი, რაც შეეხება **ფერნანდო ტორესს**, მას ჯერ კიდევ არ გაუტანია.

სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ „სიტის“ **კარლოს ტევესი** არ ჰყავდა.

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**

### მომდევნო ტური

2 აპრილი: ვესტ ჰემი-მანჩესტერ იუნაიტედი, ბირმინგემი-ბოლტონი, ევერტონი-ასტონ ვილა, ნიუკასლი-ვულვერჰემპტონი, სტოკ სიტი-ჩელსი, ვესტ ბრომვიჩი-ლივერპული, უიგანი-ტოტენჰემი, არსენალი-ბლექბერნი;

3 აპრილი. ფულჰემი-ბლექპული, მანჩესტერ სიტი-სანდერლენდი.

### შოტლანდია

პრემიერლიგა. XXX ტური

**კილმარნოკი-მოზერუელი 3:1**

**გოლები:** 0:1 სატონი (15), 1:1 პასკალი (24), 2:1 ჰემილი (44), 3:1 კელი (51)

**დანდი-ინვერნესი 1:0**

**გოლი:** 1:0 სუონსონი (43)

**ჰართსი-სტ. მირენი 3:2**

**გოლები:** 0:1 ჰიგდონი (15), 1:1 სკაცელი (55), 1:2 ჰოგდონი (69), 2:2 სტივენსონი (82), 3:2 სკაცელი (90)

**ჰემილტონი-სტ. ჯონსტონი 0:0**

**აბერდინი-რეინჯერსი გადაიდო**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სელტიკი | 28 | 21 | 4 | 3 | 61-17 | 67 |
| 2. რეინჯერსი | 27 | 21 | 2 | 4 | 60-24 | 65 |
| 3. ჰართსი | 30 | 18 | 4 | 8 | 44-28 | 58 |
| 4. დანდი | 29 | 12 | 10 | 7 | 38-33 | 46 |
| 5. კილმარნოკი | 30 | 13 | 6 | 11 | 46-36 | 45 |
| 6. მოზერუელი | 30 | 11 | 4 | 15 | 32-41 | 37 |
| 7. ინვერნესი | 30 | 9 | 9 | 12 | 39-38 | 36 |
| 8. სტ. ჯონსტონი | 29 | 8 | 9 | 12 | 18-34 | 33 |
| 9. ჰიბერნიანი | 29 | 9 | 5 | 15 | 31-45 | 32 |
| 10. აბერდინი | 29 | 9 | 4 | 16 | 31-47 | 31 |
| 11. სტ. მირენი | 29 | 5 | 7 | 17 | 24-48 | 22 |
| 12. ჰემილტონი | 30 | 2 | 10 | 18 | 17-50 | 16 |

**ბომბარდირები:** 21 – მილერი (რეინჯერსი); 15 - სემონი (კილმარნოკი); 13 - გუდვილი (დანდი), რუნი (ინვერნესი), სტოკსი (სელტიკი) ჰუპერი (სელტიკი); 11 – ბლექმენი (აბერდინი), სკაცელი (ჰართსი);

### ტოტენჰემი-ვესტ ჰემი 0:0

**ტოტენჰემი** (4-4-2): გომეში - ჩორლუკა (78. ჰატონი), დოუსონი, გალასი, ასუ-ეკოტო - ლენონი, სანდრო, მოდრიჩი, ბეილი - ვან დერ ვაარტი (72. პავლიუჩენკო), დეფო.

**ვესტ ჰემი** (4-5-1): გრინი - იაკობსენი, აპსონი, და კოსტა, ბრიჯი - ო'ნილი, პარკერი, ნობლი, ჰიცლშპერგერი, ბა - კ. კოული (78. ობინა).

**გაფრთხილება:** პარკერი, ნობლი, კოული, აპსონი (ყველა ვესტ ჰემი)

**კუთხური:** 6-2; **ჯარიმა:** 6-14; **კარში დარტყმა:** 31-10 (9-5); **თამაშგარე:** 1-0; **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 36 010

### ასტონ ვილა-ვულვერჰემპტ. 0:1

**ასტონ ვილა** (4-5-1): ფრიდელი - უოქერი, ჰერდი, კუელიარი, ბეიკერი (33. დელფი) - ოლბრაიტონი (61. აგბონლაჰორი), მაკოუნი, რიო-კოკერი (61. პირესი), ე. იანგი, დაუნინგი - ბენტი.

**ვულვერჰემპტონი** (4-4-2): ჰენესი - ფოული, ბერა, სტირმენი, ელოკობი - ჰემილი (65. ებანკს-ბლეიკი), მილიაში, ჰენრი, ჯერვისი (81. უორდი) - ო'ჰარა, დოილი.

**გოლი:** 0:1 ჯერვისი (38)

**გაფრთხილება:** ე. იანგი - სტირმენი, ელოკობი, ფოული

**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 17-19; **კარში დარტყმა:** 12-9 (2-3); **თამაშგარე:** 4-9; **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 38 965

### ბლექბერნი-ბლექპული 2:2

**ბლექბერნი** (4-3-3): რობინსონი - სალგადო, ნილსენი, სამბა, ოლსონი - ემერტონი (59. ფ. ჯონსი), ნზონზი (72. რობერტსი), ჯ. ჯონსი - მ.ბ. დიუფი (79. პედერსენი), ჰოილეტი, სანტა კრუსი.

**ბლექპული** (4-4-2): კინგსონი - ბეპტისტი, ივეტი, კეთკერტი, კრეინი - პანჩიონი, ადამი (88. საუთერნი), ვუგანი, ვერნი (81. რიდი) - გრენდინი (66. ფილიპსი), ტეილორ-ფლეტჩერი.

**გოლები:** 0:1 ადამი (25-პენ), 0:2 ადამი (29), 1:2 სამბა (49), 2:2 ჰოილეტი (90)

**გაფრთხილება:** ემერტონი - ტეილორ-ფლეტჩერი

**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 17-12; **კარში დარტყმა:** 26-9 (5-6); **თამაშგარე:** 1-3; **ბურთის ფლობა:** 55%-45%

**მაყურებელი:** 27 209

### მანჩესტერი-ბოლტონი 1:0

**მანჩესტერი** (4-4-2): ვან დერ სარი - ბრაუნი (45. ფაბიო), ევანსი, სმოლინგი, ევრა - ვალენსია, გიგზი, ქერიკი, ნანი - ერნანდესი (45. ბერბატოვი), რუნი.

**ბოლტონი** (4-4-2): იაასკელაინენი - სტეინსონი, უიტერი, გ. კეჰილი, რობინსონი - ელმანდერი, ჰოლდენი (78. ტეილორი), მუამბა (90. კლასნიჩი), მ. პეტროვი - კ. დევისი, სტარიჯი (60. ლი).

**გოლი:** 1:0 ბერბატოვი (88)

**გაძევება:** ევანსი (76-მანჩესტერი)

**კუთხური:** 12-5; **ჯარიმა:** 9-11; **კარში დარტყმა:** 16-13 (6-2); **თამაშგარე:** 4-0; **ბურთის ფლობა:** 57%-43%

**მაყურებელი:** 75 486

### სტოკი-ნიუკასლი 4:0

**სტოკი** (4-4-2): ბეგოვიჩი - უილსონი, ჰუთი, შოუკროსი, ჰიგინბოთემი - პენანტი (81. უაიტჰედი), დილეპი, უილანი, ეზერინგტონი (60. პაფი) - უოლტერსი, კ. ჯონსი (88. ფულერი).

**ნიუკასლი** (4-4-2): ჰარპერი - უილიამსონი, კემპბელი (66. ხონასი), კოლოჩინი - სიმპსონი, ტიოტე, ბარტონი, ნოლანი, სანჩესი (23. ფერგიუსონი) - ამეობი, ლოვენკრანდსი (61. რეინჯერი).

**გოლები:** 1:0 უოლტერსი (28), 2:0 პენანტი (46), 3:0 ჰიგინბოთემი (49), 4:0 ფულერი (90)

**გაფრთხილება:** ეზერინგტონი - ტიოტე

**კუთხური:** 3-7; **ჯარიმა:** 19-11; **კარში დარტყმა:** 7-15 (5-4); **თამაშგარე:** 5-2; **ბურთის ფლობა:** 38%-62%

**მაყურებელი:** 27 505

### ვესტ ბრომვიჩი-არსენალი 2:2

**ვესტ ბრომვიჩი** (4-5-1): კერსონი - რიდი, ოლსონი, მეიტე, შორი - ბრანტი, შარნერი (45. მ. ჩეხი), მულუმბუ, მორისონი, ტომასი - ოდემვინგე (75. ფორჩუნი).

**არსენალი** (4-4-2): ალმუნია - სანია, კოშელნი, სკილაჩი, კლიში - ნასრი, დენილსონი (45. შამახი), უილშირი, არშავინი - რემსი (58. ბენდტნერი), ვან პერსი.

**გოლები:** 1:0 რიდი (3), 2:0 ოდემვინგე (58), 2:1 არშავინი (70), 2:2 ვან პერსი (78)

**გაფრთხილება:** მეიტე - დენილსონი, კოშელნი, ნასრი

**კუთხური:** 2-7; **ჯარიმა:** 10-7; **კარში დარტყმა:** 4-17 (2-6); **თამაშგარე:** 5-3; **ბურთის ფლობა:** 25%-75%

**მაყურებელი:** 25 729

### უიგანი-ბირმინგემი 2:1

**უიგანი** (4-3-3): ალ ჰაბსი - ბოისი, ალკარასი, კოლდუელი, ფიგეროა - მაკარტი, უოტსონი, კლივერლი - ნ'ზოგბია (90. დიამე), მოზესი (64. სემონი), დი სანტო (64. როდალეგა).

**ბირმინგემი** (4-4-2): ფოსტერი - კარი, რ. ჯონსონი, ჟირანეკი (15. კ. დევისი), რიჯუელი - ლარსონი, გარდნერი, ფერგიუსონი, ბიუსეჟური (59. ბენტლი) - მაჩი (64. მარტინსი), ჯერომი.

**გოლები:** 0:1 რიჯუელი (6), 1:1 კლივერლი (25), 2:1 ფიგეროა (90)

**გაფრთხილება:** მოზესი, ალკარასი, ფიგეროა - კ. დევისი

**კუთხური:** 9-4; **ჯარიმა:** 13-14; **კარში დარტყმა:** 22-12 (10-5); **თამაშგარე:** 1-1; **ბურთის ფლობა:** 61%-39%

**მაყურებელი:** 16 421

### ევერტონი-ფულჰემი 2:1

**ევერტონი** (4-4-2): ჰოვარდი - ჰიბერტი, დისტინი, ჯეგიელკა, ბეინესი - კოულმენი, ფ. ნევილი, როდუელი (77. ბელიალეტდინოვი), ოსმანი - ტ. კეჰილი (69. ჰეიტინგა), საა (88. ბეკფორდი).

**ფულჰემი** (4-4-2): შვარცერი - ბეირდი, ჰანგელანდი, ჰიუზი, სალსიდო - დაფი (75. კაკუტა), ეტუჰუ (61. ზამორა), მერფი, დემპსი - ე. ჯონსონი (84. ე. გუდიონსენი), დემბელე.

**გოლები:** 1:0 კოულმენი (36), 2:0 საა (49), 2:1 დემპსი (62)

**გაფრთხილება:** ოსმანი, ჰიბერტი (ორივე ევერტონი)

**კუთხური:** 7-5; **ჯარიმა:** 15-19; **კარში დარტყმა:** 15-14 (5-2); **თამაშგარე:** 1-2; **ბურთის ფლობა:** 45%-55%

**მაყურებელი:** 33 239

### სანდერლენდი-ლივერპული 0:2

**სანდერლენდი** (4-5-1): მინოლე - ა. ფერდინანდი, ბრამბლი, მენსა, ბერდსლი - სესენიონი, ჰენდერსონი, მუნტარი (19. კეტერმოლი), რიჩარდსონი (23. მოლბრანკი), უილბეკი (61. ალ მუჰამადი) - ასამოა.

**ლივერპული** (4-4-2): რეინა - კარაგერი, აგერი, შკრტელი, გ. ჯონსონი - კუიტი, ლუკასი, სპირინგი, მეირელეში (84. მაქსი როდრიგესი) - სუარესი (89. ჯ. კოული), ქეროლი (72. ნგოგი).

**გოლები:** 0:1 კუიტი (33-პენ), 0:2 სუარესი (77)

**გაფრთხილება:** მენსა, კეტერმოლი, ბრამბლი - ლუკასი, სუარესი, კუიტი\

**გაძევება:** მენსა (82-სანდერლენდი)

**კუთხური:** 3-6; **ჯარიმა:** 11-9; **კარში დარტყმა:** 6-13 (1-7); **თამაშგარე:** 1-2; **ბურთის ფლობა:** 52%-48%

**მაყურებელი:** 47 207

### ჩელსი-მანჩესტერ სიტი 2:0

**ჩელსი** (4-3-3): ჩეხი - ივანოვიჩი, ტერი, დავიდ ლუიზი, ე. კოული - რამირესი, ესიენი, ლემპარდი - კალუ (77. ჟირკოვი), მალუდა (71. ანელკა), ტორესი (70. დროგბა).

**მანჩესტერ სიტი** (4-4-2): ჰარტი - რიჩარდსი, ლესკოტი, კომპანი, კოლაროვი - მილნერი (81. ა. ჯონსონი), ბერი, დე იონგი, სილვა - ი. ტურე (81. ბალოტელი), ჯეკო.

**გოლები:** 1:0 ლუიზი (78), 2:0 რამირესი (90)

**გაფრთხილება:** რამირესი, ლუიზი - მილნერი, დე იონგი, ბერი, კოლაროვი

**კუთხური:** 5-1; **ჯარიმა:** 14-13; **კარში დარტყმა:** 19-5 (3-1); **თამაშგარე:** 3-0; **ბურთის ფლობა:** 60%-40%

**მაყურებელი:** 41 741

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 30 | 18 | 9 | 3 | 64-30 | 63 |
| 2. არსენალი | 29 | 17 | 7 | 5 | 59-29 | 58 |
| 3. ჩელსი | 29 | 15 | 6 | 7 | 53-24 | 54 |
| 4. სიტი | 30 | 15 | 8 | 7 | 45-27 | 53 |
| 5. ტოტენჰემი | 29 | 13 | 10 | 6 | 41-34 | 49 |
| 6. ლივერპული | 30 | 13 | 6 | 11 | 41-36 | 45 |
| 7. ბოლტონი | 30 | 10 | 10 | 10 | 42-41 | 40 |
| 8. ევერტონი | 30 | 9 | 13 | 8 | 40-39 | 40 |
| 9. სანდერლენდი | 30 | 9 | 11 | 10 | 33-37 | 38 |
| 10. სტოკი | 30 | 11 | 4 | 15 | 36-38 | 37 |
| 11. ნიუკასლი | 30 | 9 | 9 | 12 | 44-45 | 36 |
| 12. ფულჰემი | 30 | 7 | 14 | 9 | 33-33 | 35 |
| 13. ბლექბერნი | 30 | 9 | 6 | 15 | 39-51 | 33 |
| 14. ასტონ ვილა | 30 | 8 | 9 | 13 | 37-51 | 33 |
| 15. ბლექპული | 30 | 9 | 6 | 15 | 45-60 | 33 |
| 16. ვესტ ბრომვიჩი | 30 | 8 | 9 | 13 | 41-56 | 33 |
| 17. ვესტ ჰემი | 30 | 7 | 11 | 12 | 36-49 | 32 |
| 18. ვულვზი | 30 | 9 | 5 | 16 | 35-49 | 32 |
| 19. ბირმინგემი | 29 | 6 | 13 | 10 | 28-41 | 31 |
| 20. უიგანი | 30 | 6 | 12 | 12 | 29-51 | 30 |

**ბომბარდირები:** 20 - ბერბატოვი (მანჩესტერ იუნაიტედი); 18 - ტევესი (მანჩესტერ სიტი); 11 - ბენტი (ასტონ ვილა), ნოლანი (ნიუკასლი), ვან პერსი (არსენალი), ქეროლი (ნიუკასლი);

### ინგლისი. ჩემპიონატი

XXXVIII ტური

**შეფილდი-ლიდსი 2:0**

გოლები: 1:0 ლიჩაი (55 ს.კ.), 2:0 რიისე (73)

**ბარნსლი-რედინგი 0:1**

გოლები: 0:1 მანსეტი (71)

**ბრისტოლი-ბარნლი 2:0**

1:0 პიტმენი (42), 2:0 მეინარდი (70)

**კრისტალ პალასი-დერბი 2:2**

გოლები: 0:1 პირსონი (6), 1:1 მოქსი (20), 1:2 უორდი (62), 2:2 ემბროუზი (88)

**დონკასტერი-ქუინზ პარკი 0:1**

გოლები: 0:1 ეფრეიმი (46)

**ჰალი-ნორვიჩი 1:1**

გოლები: 0:1 უიტბრეჲი (26), 1:1 ბარმბი (72)

**იფსვიჩი-სკანთორპი 2:0**

გოლები: 1:0 ედუარდსი (26), 2:0 ბალარდი (52)

**ლესტერი-პორტსმუთი 0:1**

გოლები: 0:1 ნაჯენტი (12)

**მიდლსბრო-უოტფორდი 2:1**

გოლები: 0:1 გრემი (28), 1:1 მაკდონალდი (33), 2:1 ტეილორი (44)

**მილუოლი-კარდიფი 3:3**

გოლები: 0:1 ბარკი (48), 1:1 ტროტერი (51), 2:1 ლისბი (62), 2:2 უიტინგემი (72), 2:3 ბარკი (79), 3:3 მორისონი (87)

**პრესტონი-ქოვენთრი 2:1**

გოლები: 1:0 ჰიუმი (23), 1:1 ბელი (71), 2:1 ელინგტონი (90)

**სუონსი-ნოტინგემი 3:2**

გოლები: 1:0 სინკლერი (21), 2:0 ბორინი (26), 2:1 ბოიდი (44), 3:1 ბორინი (56), 3:2 ანდერსონი (90)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ქუინზ პარკი | 38 | 21 | 13 | 4 | 60-23 | 76 |
| 2. ნორვიჩი | 38 | 18 | 13 | 7 | 62-47 | 67 |
| 3. სუონსი | 38 | 20 | 6 | 12 | 53-36 | 66 |
| 4. კარდიფი | 38 | 18 | 9 | 11 | 60-46 | 63 |
| 5. ლიდსი | 38 | 16 | 13 | 9 | 69-60 | 61 |
| 6. ნოტინგემი | 38 | 15 | 15 | 8 | 48-35 | 60 |
| 7. რედინგი | 37 | 14 | 15 | 8 | 60-42 | 57 |
| 8. ბარნლი | 37 | 15 | 12 | 10 | 53-46 | 57 |
| 9. უოტფორდი | 38 | 15 | 11 | 12 | 68-54 | 56 |
| 10. ჰალი | 38 | 14 | 14 | 10 | 42-38 | 56 |
| 11. ლესტერი | 38 | 16 | 7 | 15 | 56-56 | 55 |
| 12. მილუოლი | 38 | 14 | 12 | 12 | 51-40 | 54 |
| 13. პორტსმუთი | 38 | 15 | 9 | 14 | 50-48 | 54 |
| 14. ბრისტოლი | 38 | 14 | 8 | 16 | 50-54 | 50 |
| 15. იფსვიჩი | 38 | 14 | 7 | 17 | 48-49 | 49 |
| 16. ბარნსლი | 38 | 12 | 11 | 15 | 44-55 | 47 |
| 17. დერბი | 38 | 12 | 8 | 18 | 48-53 | 44 |
| 18. მიდლსბრო | 37 | 12 | 8 | 17 | 46-54 | 44 |
| 19. დონკასტერი | 38 | 11 | 11 | 16 | 49-67 | 44 |
| 20. ქოვენთრი | 38 | 11 | 9 | 18 | 41-50 | 42 |
| 21. კრ. პალასი | 38 | 10 | 9 | 19 | 37-59 | 39 |
| 22. შეფილდ იუნ. | 38 | 9 | 8 | 21 | 34-59 | 35 |
| 23. სკანთორპი | 38 | 10 | 4 | 24 | 33-68 | 34 |
| 24. პრესტონი | 37 | 7 | 10 | 20 | 42-65 | 31 |

**ბომბარდირები:** 23 - გრემი (უოტფორდი); 18 - ლონგი (რედინგი); 17 - სინკლერი (სუონსი); 16 - ბეკიო (ლიდსი), ჰოლტი (ნორვიჩი); 15 - ბოთროიდი (კარდიფი), შარპი (დონკასტერი) ტაარაბტი (ქუინზ პარკი);

### პირველი ლიგა. XXXVIII ტური

საუთჰემპტონი-შეფილდ უენსდი 2:0, ბრენტფორდი-ლეიტონი 2:1, კარლაილი-ბურნმუთი 1:0, დაგენჰემი-ჩარლტონი 2:1, ექსეტერი-იოვილი 2:3, ჰადერსფილდი-სუინდონი 0:0, ნოთს ქაუნთი-ბრისტოლი 0:1, ოლდჰემი-ბრაიტონი 0:1, პლიმუთი-როჩდეილი 0:1, ტრანმერი-კოლჩესტერი 1:0, უოლსოლი-ჰარტლპული 5:2.

### მეორე ლიგა. XXXVIII ტური

ეკრინგტონი-პორტ ვეილი 3:0, ოლდერშოტი-სტოკპორტი 1:0, ბერნეტი-მორქემბი 1:2, ბრედფორდი-ნორთჰემპტონი 1:1, ბარტონი-ჯილინგემი 1:1, ბერი-ჩელტენჰემი 2:3, მეკლსფილდი-თორგუელი 3:3, ოქსფორდი-ქრუ 2:1, შრუსბერი-უაიკომბი 1:1, სტივენიჯი-ლინკოლნი 2:1

### კონფერენსი. XXXIX ტური

ელტრინჩემი-ტემფორთი 2:0, ბათი-გრიმსბი 1:1, კემბრიჯი-იორკი 2:1, ისტბერნი-ბეროუ 0:1, ფლიტვუდი-ვრექსჰემი 1:0, ფორესტ გრინი-ნიუპორტი 0:0, ჰეიერსი-კეტერინგი 3:2, რაშდენი-საუთპორტი 2:2.

ესპანეთი. ლა ლიგა — XXIX ტური

# რეალის ძვირი დერბი

## სტატუს კვო შენარჩუნდა, რონალდო ისევ დაიმტვრა




რონალდო თვის ბოლომდე ვერ ითამაშებს

პრიმერას ლიდერებმა ერთნაირი სცენარით და ანგარიშით (2:1) მოიგეს დაძაბულობით აბსოლუტურად განსხვავებულ შეხვედრებში. თუკი „ბარსელონას“ დიდად არ გასჭირვებია „ხეტაფესთან“ სამი ქულის მოპოვება, „რეალს“ „ვისენტე კალდერონზე“ მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ მაინც **ჟოზე მოურინიოს** ბიჭებმა იმარჯვეს. ბომბარდირთა დავაში გალიდერებულებს კი მცირე „შემოქმედებითი“ კრიზისი აქვთ, ამ ტურში თავი ვერც **ლეო მესიმ** გამოიჩინა და ვერც **კრიშტიანო რონალდომ**, არადა, ორივემ ითამაშა...

„კამპ ნოუზე“ „ბარსას“ **დანი ალვეშის** ქვემეხისებურმა გასროლამ და **ბოიან კრკიჩის** გოლმა (რომელსაც რიკოშეტი დაეხმარა) მოაგებინა. „ხეტაფემ“ სულ ბოლოს, მატჩის მიწურულს გაიტანა ერთი, მაგრამ ძალიან კარგი გოლი. სულ ეს იყო, რაც მადრიდის გარეუბნის გუნდმა შეძლო. „რეალის“ ლეგენდა **მიჩელი** მშობლიურ კლუბს კონკურენტის დამუხრუჭებით ვერ დაეხმარა, თუმცა კი ცდა არ დაუკლია.

ორივე გუნდი მინდორზე **ერიკ აბიდალის** მხარდამჭერი მაისურებით გავიდა, „კამპ ნოუს“ ტრიბუნებზეც ბევრი ბანერი გამოეკიდათ, რომლებიც „ბარსას“ ფრანგი მცველის გამამხნევებელი მოწოდებებით იყო აჭრელებული. შეგახსენებთ, რომ აბიდალს ახლა არ ეფეხბურთება, ექიმებმა მას ღვიძლის სიმსივნე ამოკვეთეს.

მე-7 წუთზე პირველი საგოლე მომენტი ლეო მესის იმპროვიზაციას მოჰყვა - არგენტინელის საოცარი დარტყმა **ხორდი კოდინამ** მოიგერია. ათ წუთში ამას დანი ალვეშის გასროლა მოჰყვა, კარში ერთი კი არა ორი კოდინა, რომ მდგარიყო, ამ ბურთის ამლები არცერთი იყო. ტაიმის მიწურულამდე რომ არ გაიზარდა ანგარიში ამაში **ჩავი და დავიდ ვილია** არიან დამნაშავენი, განსაკუთრებით კი მეორე, რომელმაც ორი საგოლე მომენტი ქარს გაატანა.

მეორე ტაიმი ბრწყინვალედ დაიწყო ბოიან კრკიჩისათვის, რომლისთვისაც ეს მატჩი არ იყო რიგითი - 20 წლის ფორვარდი ლა ლიგაში მე-100 მატჩს ატარებდა და ბოიანმაც მესის პასით იუბილე გოლით აღნიშნა, თუმცა სტუმართა მეკარე თავისივე მცველმა დააბნია, რადგან რიკოშეტმა დარტყმულს მიმართულება უცვალა. ბოიანის გარდა ასეთ ასაკში 100 მატჩს მხოლოდ ორმა ფეხბურთელმა უწია - **რაულმა და ეჩებერიამ**. პირველი „რეალის“ ლეგენდა გახდა, მეორე - „ბილბაოსი“, ვნახოთ როგორ იქნება საქმე ბოიანის შემთხვევაში.

ამის შემდეგ თამაში მხოლოდ ერთხელ გამოცოცხლდა, როცა **ვიქტორ სანჩესმა** მარჯვნიდან ჩააწოდა და **მანუ დელ მორალმა** დაუმუშავებლად დაჰკრა ბურთს ფეხი - 2:1.

**ხოსეპ გვარდიოლა** (ბარსელონა): *„ძალიან გრძელი და მოვლენებით ალსავსე კვირა გვქონდა და ასეთ დროს კაცმა არ იცის, როგორ ითამაშებს გუნდი. გუნდმა კი მაინც კარგად ითამაშა, მისი რეაქცია მიმდინარე მოვლენებზე იყო ადეკვატური. ძალიან ბევრი საგოლე შანსი შევქმენით. ეგაა, ძალიან ცოტა გამოვიყენეთ. ერიკი ოპერაციის შემდეგ თავს კარგად გრძნობს. ერთ-ორ კვირაში თავად გვეწვევა ბაზაზე და მოგვინახულებს, მანამდე კი ჩვენ ვივლით მასთან. სამწუხაროდ, „ვილიარეალთან“ მატჩში ჩავი არ გვეყოლება, რომელმაც მე-5 ყვითელი ბარათი მიიღო, მაგრამ, არა უშავს, დაისვენებს მაინც“.*

**მიჩელი** (ხეტაფე): *„„ბარსელონა“ ჩემპიონია, ერთი დარჩა გადასაწყვეტი, როდის გაიფორმებს ეს გუნდი ტიტულს. ჩემი აზრით, ბიჭები მეტისმეტად უფრთხოდნენ „ბარსელონას“, რაც მეტოქეს თამაშს უიოლებდა. ერთია მხოლოდ, რომც მოგვემატებინა თამაშისთვის, დარწმუნებული ვარ, „ბარსა“ ერთი დონით უკეთეს ფეხბურთს ითამაშებდა და მაინც მოგვიგებდა“.*

მადრიდის დერბიში გადამწყვეტი პირველი ტაიმი გამოდგა, როდესაც ცოტა უცნაური ტაქტიკით (4-3-3, მაგრამ საკმაოდ დაცვითი შემადგენლობით დაკომპლექტებული) მოთამაშე „რეალმა“ ორი გოლი გაუტანა მეტოქეს, შემდეგ კი **იკერ კასილიასისა** და ორი პორტუგალიელი ცენტრალური მცველის წყალობით „ატლეტიკოს“ იერიშები მოიგერია.

1999 წლის მერე „ატლეტიკოს“ არ მოუგია „რეალისთვის“, „ლოს კოლჩონეროსმა“ „სამეფო კლუბის“ კომპლექსი ვერც ამჯერად დაძლია. დაიწყო თამაში და „რეალი“ ეკვეთა **დავიდ დე ხეას** კარს, თუმცა ახალგაზრდა მეკარე დიდებულად გაუმკლავდა კრიშტიანო რონალდოსა და **სამი ხედირას** დარტყმულებს. ამის შემდეგ ყველაზე დასამახსოვრებელი **ლასანა დიარას** სოლორეიდი იყო, აქამდე ფრანგისგან მსგავსი დრიბლინგი არ გვინახავს. ამ ეპიზოდიდან რამდენიმე წამში „რეალმა“ გოლი გაიტანა - **ჩაბი ალონსომ** ცენტრში სამი ხედირა მოძებნა, რომლის დიდებულმა პასმა **ქარიმ ბენზემა** მეკარესთან პირისპირ გაიყვანა და ფრანგმაც ჩემპიონატში მე-10 გოლი გაიტანა (სულ სეზონში 21-ე გოლი). ამის შემდეგ იკერ კასილიასის გამოცდის ჯერი დადგა და კაპიტანმაც ორჯერ აუღო **რეიესს**, თითოჯერ - **გოდინსა და აგუეროს**. „ატლეტიკოს“ შემართება მხოლოდ **მესუთ იოზილის** გოლმა ჩაკლა - ბრწყინვალედ მოთამაშე **მარსელომ** გერმანელს დაუგორა ბურთი, რომლის დარტყმულსაც ხეირიანად ველარ დაუხვდა მანამდე უშეცდომოდ მოთამაშე დე ხეა.

მეორე ტაიმში „ატლეტიკო“ სჯობდა მეტოქეს, კასილიასს **მარიო სუარესის** ძლიერად დარტყმულის მოგერიება მოუწია. 54-ე წუთზე კი მასპინძლებმა გოლის გატანის დიდებული შანსი გაუშვეს ხელიდან - რეიესმა აგუერო გაიყვანა მეკარესთან რანდევუზე, მაგრამ კასილიასმა ამჯერადაც იმარჯვა. აგუერომ მაინც გაიტანა, მაგრამ ეს უკვე თამაშის მიწურულს მოხდა და „რეალს“ 3 ქულის შენარჩუნება აღარ გასჭირვებია.

„რეალს“ ძვირი ფასის გადება მოუწია ამ მოგებისთვის - გუშინ ტესტირებამ აჩვენა, რომ კრიშტიანო რონალდოს I ხარისხის დაზიანება აქვს კუნთზე, პორტუგალიელს 2-3 კვირა მოუწევს დასვენება. ის ნაკრების ორ თამაშს და პრიმერას მატჩს გამოტოვებს „სპორტინგის“ წინააღმდეგ, საეჭვოა რონალდოს თამაში 5 აპრილს „ტოტენჰემის“ წინააღმდეგაც.

**კიკე ფლორესი** (ატლეტიკო): *„ვიბრძოლებთ ევროთასების საგზურისთვის. დანებებაზე იოლი არაფერია, მაგრამ ჩვენ ამას არ ვიზამთ. გუნდმა კარგად ითამაშა ზოგადად, თუმცა დაცვის ხაზს უკეთაც შეეძლო გარჯილიყო. კარგი იქნება, თუკი მომავალში ტეიშეირა ჩვენს მატჩებს არ იმსაჯებს“.*

**ჟოზე მოურინიო** (რეალი): *„დიდებული მატჩი გამოდგა, „ატლეტიკო“ ბრწყინვალედ გვიტევდა, ამიტომ ძალიან დასაფასებელი გამარჯვება მოვიპოვეთ. ძალიან გაგვიჭირდა, განსაკუთრებით, მეორე ტაიმში, როცა ჩემი ბიჭები დაიღალნენ, განსაკუთრებით ეს რონალდოსა და ბენზემაზე ითქმის. ნახევარდაცვაში სამი კაცის დაყენება რისკი იყო, მაგრამ, რა მექნა, ბიჭები გადაღლილები იყვნენ, ამიტომაც დავასვენე დი მარია. ახლა სამდღიან დასვენებას ვაცხადებ. არ მინდა დამავიწყდეს - დღეს იკერი ფანტასტიკური იყო“.*

ბალეარის კუნძულებზე „მალიორკამ“ მინიმალური სხვაობით სძლია „სარაგოსას“. ასე დაუშვეს მიწაზე „ვალენსიას“ 4:0 მძლეველი **ხავიერ აგირეს** გუნდი. მატჩის ბედი 64-ე წუთზე გადაწყდა, როცა **ტონი დობლასმა** ხელით საჯარიმოს გარეთ ითამაშა. არაგონელთა გოლკიპერი გააძევეს, კარში ჩამდგარმა **ლეო ფრანკომ** კი დობლასის შეცდომის გამო დანიშნული საჯარიმო დარტყმა გაუშვა, რომელიც **ჯონათან დე გუზმანმა** შეასრულა - 1:0.

კვირის ადრეული მატჩებიდან აღვნიშნავთ „ერკულესის“ განადგურებას ალიკანტეში, ვალენსიელებს **ნელსონ ვალდესი** და **როისტონ დრენტე** დაუბრუნდნენ, მაგრამ 0:4 დამარცხდნენ. „სან მამესზე“ ძალზე მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა ტრავმირებული **ნილმარის** გარეშე მოთამაშე „ვილიარეალმა“. ბასკთა კარში ერთადერთი გოლი სწორედ ნილმარის შემცვლელმა **მარკო რუბენმა** გაიტანა - 0:1.

გვერდი მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

### შემდეგი ტური

3 აპრილი: ალმერია-ბილბაო, დეპორტივო-მალიორკა, ესპანიოლი-რასინგი, ხეტაფე-ვალენსია, ლევანტე-მალაგა, ოსასუნა-ატლეტიკო, რეალი-სპორტინგი, რეალ სოსიედადი-ერკულესი, სევილია-სარაგოსა, ვილიარეალი-ბარსელონა.

### მალიორკა-სარაგოსა 1:0

**მალიორკა (4-2-3-1):** ავატე - სენდროსი, ნუნიეში, რამისი, კევინი - ტეხერა (88. პერეირა), მარტი (76. ჟოაო ვიქტორი) - ნსუე, დე გუზმანი, გ. კასტრო (59. იენაგა) - ვებო.

**სარაგოსა (4-2-3-1):** დობლასი - დიოგო, იაროშიკი, პ. და სილვა, ობრადოვიჩი - პონსიო, გაბი - ხ. ლოპესი (74. მ. პერესი), ანდერი, ბერტოლო (65. ლეო ფრანკო) - უჩე (62. ბრაულიო).

**გოლი:** 1:0 დე გუზმანი (67)

**გაფრთხილება:** მარტი, დე გუზმანი, ტეხერა - ანდერი, იაროშიკი

**გაძევება:** დობლასი (64)

**კუთხური:** 2-3; **ჯარიმა:** 20-18; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 10-5 (4-1); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 14 000

### ბარსელონა-ხერესი 2:1

**ბარსელონა (4-3-3):** ვალდესი - დანი ალვეში, პიკე, გ. მილიტო, ადრიანო - ჩავი, მასკერანო, ინიესტა (80. აფელაი) - მესი, კრკიჩი (67. კეიტა), ვილია (88. ჟეფრენი).

**ხერესი (4-2-3-1):** კოდინა - ვ. სანჩესი, კატა დიასი, მარკანო, მ. ტორესი - ბორხა, კასკერო (59. მიკუ) - მანუ, პარეხო (74. მოსკერა), ალბინი - არისმენდი (66. სარდინერო).

**გოლები:** 1:0 დანი ალვეში (16), 2:0 კრკიჩი (49), 2:1 მანუ (87)

**გაფრთხილება:** ალვეში, ვილია, ჩავი - დიასი, მოსკერა

**კუთხური:** 6-3; **ჯარიმა:** 13-10; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 14-8 (6-3); **ბურთის ფლობა:** 67%-33%.

**მაყურებელი:** 78 000

### ატლეტიკო-რეალი 1:2

**ატლეტიკო (4-4-2):** დე ხეა - უიფალუში, გოდინი, ა. დომინგესი, ფილიპე ლუიში - რეიესი, მ. სუარესი, ტიაგო (89. ხუანფრანი), ელიასი (46. კოკე) - აგუერო, ფორლანი (77. დ. კოშტა).

**რეალი (4-3-3):** კასილიასი - სერხიო რამოსი, პეპე, რიკარდო კარვალიო, მარსელო - ხედირა, ჩაბი ალონსო, ლ. დიარა (80. არბელოა) - იოზილი, ბენზემა (69. ადებაიორი), რონალდო (71. დი მარია).

**გოლები:** 0:1 ბენზემა (11), 0:2 იოზილი (32), 1:2 აგუერო (86)

**გაფრთხილება:** აგუერო, უიფალუში - ლ. დიარა, მარსელო, ჩაბი ალონსო

**კუთხური:** 12-1; **ჯარიმა:** 15-15; **თამაშგარე:** 3-6; **კარში დარტყმა:** 16-17 (9-8); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 54 000

### სპორტინგი-ალმერია 1:0

**სპორტინგი (4-2-3-1):** ხ. პაბლო - ლორა, ბოტია, ი. ერნანდესი, კანელია - რივერა, კასესი (71. ეგურენი) - დე ლას კუევასი (78. ნაჩო ნოვო), ანდრე კაშტრო, დ. კასტრო (88. აიოსე) - ბარალი.

**ალმერია (4-2-3-1):** დიეგო ალვეში - მასედო, მარსელო სილვა, კ. გარსია, ლუნა - მ'ბამი, ბერნარდელო - ვარგასი (53. ულოა), პიატი (61. კალუ უჩე), კრუსატი (67. ფეგული) - გოიტომი.

**გოლი:** 1:0 დე ლას კუევასი (13)

**გაფრთხილება:** ბოტია, ხ. პაბლო, ანდრე კაშტრო - ვარგასი, სილვა, ულოა

**გაძევება:** პელერანო (90. ალმერია) სათადარიგოთა სკამიდან

**კუთხური:** 0-3; **ჯარიმა:** 18-24; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 9-15 (4-5); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 18 000

### ერკულესი-ოსასუნა 0:4

**ერკულესი (4-2-3-1):** კალატაიუდი - ხუანრა, პასი, პამარო, პულჰაკი (55. კრისტიანი) - ფარინოსი, აგილარი - კიკო, ნ. ვალდესი (87. სენდოა), დრენტე - პორტილიო.

**ოსასუნა (4-2-3-1):** რიკარდო - ნელსონი (79. დამია), ლოლო, სერხიო, მონრეალი - პუნიალი, ვადოცი - სეხუდო (62. ხოსეჩო), მასუდი, კამუნიასი - კიკე სოლა (71. კალეხა).

**გოლები:** 0:1 კამუნიასი (10), 0:2 ნელსონი (35), 0:3 ვადოცი (59), 0:4 სოლა (67)

**გაფრთხილება:** ვალდესი, კიკო - კიკე სოლა, პუნიალი, ლოლო, დამია

**კუთხური:** 8-2; **ჯარიმა:** 17-12; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 18-13 (6-7); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 20 000

### რასინგი-რეალ სოსიედადი 2:1

**რასინგი (4-4-2):** ტონიო - ფრანსისი, ტორეხონი, ოსმარი, სისმა - კენედი (84. პინილიოსი), ლასენი (77. დიოპი), კოლსა, მუნიტისი - როზენბერგი (46. ნაუელპანი), ჯ. დოს სანტოსი.

**რეალ სოსიედადი (5-4-1):** ბრავო - კ. მარტინესი, ანსოტეგი, ლაბაკა, მ. გონსალესი (59. ზურუტუზა), დე ლა ბელა - ჩაბი პრიეტო, ელუსტონდო, არანბურუ (82. სუტილი), გრიზმანი - ტამუდო (59. იფრანი).

**გოლები:** 1:0 კენედი (42), 1:1 გრიზმანი (72), 2:1 ჯ. დოს სანტოსი (77)

**გაფრთხილება:** ლასენი - გრიზმანი, ლაბაკა

**კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 18-14; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 15-11 (3-5); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 18 000

### მალაგა-ესპანიოლი 2:0

**მალაგა (4-2-3-1):** კაბალიერო - გამესი, დემიკელისი, ველიგტონი, ელიზეუ - რესიო, აპონიო - პორტილიო (74. სანდრო სილვა), ს. ფერნანდესი (78. ხუანმი), დუდა - რონდონი (87. მარესკა).

**ესპანიოლი (4-2-3-1):** კამენი - ხ. ლოპესი, ამატი, გალანი, დ. გარსია - ბაენა, ვერდიუ - ს. გარსია (71. ტიევი), ლ. გარსია (87. ე. ლოპესი), ა. ვასკესი (59. ოსვალდო) - ი. ალონსო.

**გოლები:** 1:0 რონდონი (7), 2:0 რონდონი (25)

**გაფრთხილება:** რონდონი - ს. გარსია

**კუთხური:** 8-7; **ჯარიმა:** 15-18; **თამაშგარე:** 1-1; **კარში დარტყმა:** 11-10 (7-2); **ბურთის ფლობა:** 49%-51%.

**მაყურებელი:** 25 000

### დეპორტივო-ლევანტე 0:1

**დეპორტივო (4-2-3-1):** არანსუბია - ლაურე, ლოპო, კოლოტო, მ. პაბლო - რ. პერესი (70. საული), ტომასი - ხ. როდრიგესი, ადრიანი (64. სანდი), გუარდადო (76. მიჩელი) - ლასადი.

**ლევანტე (4-2-3-1):** მუნუა - ვენტა, ბალესტეროსი, ნანო, ხუანფრანი - ხ. ტორესი, იბორა - მონტერო (81. რ. სუარესი), ვალდო, ხუანლუ (75. ნადალი) - კაისედო (41. სტუანი).

**გოლი:** 0:1 რ. სუარესი (90)

**გაფრთხილება:** პერესი, ლოპო - იბორა, ტორესი

**კუთხური:** 5-7; **ჯარიმა:** 14-8; **თამაშგარე:** 1-5; **კარში დარტყმა:** 11-20 (3-6); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 16 000

### ბილბაო-ვილიარეალი 0:1

**ბილბაო (4-2-3-1):** ირაისოსი - ირაოლა, სან ხოსე, ეკიზა, კოიკილი (79. გაბილონდო) - ხ. მარტინესი, ორბაისი - დ. ლოპესი (62. ვერა), დე მარკოსი (67. სუსაეტა), მუნიაინი - ფ. ლორენტე.

**ვილიარეალი (4-4-2):** დ. ლოპესი - მარიო, გონსალო, მუსაჩიო, კატალა - კასორლა (70. კანი), მარჩენა, ბ. ვალერო (82. კიკო), ბრუნო - მ. რუბენი, როსი (86. ვაკასო).

**გოლი:** 1:0 მ. რუბენი (58)

**გაფრთხილება:** ირაისოსი, სან ხოსე - რუბენი

**კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 22-5; **თამაშგარე:** 14-3; **კარში დარტყმა:** 15-9 (6-4); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 39 000

### ვალენსია-სევილია 0:1

**ვალენსია (4-4-2):** გუაიტა - ბრუნო, დ. ნავარო (53. ბანეგა), დეალბერტი, მატიო (77. ალბა) - ხოაკინი, მ. ტოპალი, ტ. კოსტა, მატა - ჟონასი (74. ადურისი), სოლდადო.

**სევილია (4-4-2):** ვარასი - ალექსისი, ფასიო, ესკუდე, დაბო - ხესუს ნავასი, რაკიტიჩი, მედელი (78. ზოკორა), პეროტი (94. კაპელი) - კანუტე, ნეგრედო (92. რენატო).

**გოლი:** 0:1 რაკიტიჩი (70)

**გაფრთხილება:** ბრუნო, ხოაკინი - ალექსისი

**კუთხური:** 9-6; **ჯარიმა:** 13-13; **თამაშგარე:** 2-2; **კარში დარტყმა:** 26-23 (9-10); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 40 000

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 29 | 25 | 3 | 1 | 81-15 | 78 |
| 2. რეალი | 29 | 23 | 4 | 2 | 69-21 | 73 |
| 3. ვილიარეალი | 29 | 16 | 6 | 7 | 48-30 | 54 |
| 4. ვალენსია | 29 | 16 | 6 | 7 | 42-33 | 54 |
| 5. ესპანიოლი | 29 | 14 | 1 | 14 | 37-41 | 43 |
| 6. ბილბაო | 29 | 13 | 3 | 13 | 44-41 | 42 |
| 7. სევილია | 29 | 12 | 6 | 11 | 43-43 | 42 |
| 8. ატლეტიკო | 29 | 11 | 6 | 12 | 42-39 | 39 |
| 9. მალიორკა | 29 | 11 | 5 | 13 | 30-38 | 38 |
| 10. ოსასუნა | 29 | 9 | 8 | 12 | 34-33 | 35 |
| 11. სოსიედადი | 29 | 11 | 2 | 16 | 39-48 | 35 |
| 12. ლევანტე | 29 | 10 | 5 | 14 | 30-39 | 35 |
| 13. ხეტაფე | 29 | 9 | 7 | 13 | 39-45 | 34 |
| 14. რასინგი | 29 | 8 | 9 | 12 | 28-43 | 33 |
| 15. სპორტინგი | 29 | 7 | 11 | 11 | 27-35 | 32 |
| 16. დეპორტივო | 29 | 7 | 10 | 12 | 23-39 | 31 |
| 17. სარაგოსა | 29 | 7 | 9 | 13 | 28-40 | 30 |
| 18. მალაგა | 29 | 8 | 5 | 16 | 38-59 | 29 |
| 19. ალმერია | 29 | 5 | 11 | 13 | 30-48 | 26 |
| 20. ერკულესი | 29 | 7 | 5 | 17 | 25-47 | 26 |

**ბომბარდირები:** 27 - ლეო მესი (ბარსელონა), კრიშტიანო რონალდო (რეალი); 17 - დავიდ ვილია (ბარსელონა); 15 - ჯუზეპე როსი (ვილიარეალი), ფერნანდო ლორენტე (ბილბაო); 13 - პედრო (ბარსელონა); 12 - ხოსე რონდონი (მალაგა); 11 - ნილმარი (ვილიარეალი), ფელიპე კაისედო (ლევანტე), სერხიო აგუერო (ატლეტიკო); 10 - დავიდ ტრეზეგე (ერკულესი), ქარიმ ბენზემა (რეალი), ალვარო ნეგრედო (სევილია), ლუიშ ფაბიანო (სევილია).

### სეგუნდადივიზიონი.

XXX ტური

**ვილიარეალი-ხერესი 1:2**

გოლები: 0:1 ე. სანჩესი (14 ს.კ.), 0:2 ო. დიასი (65), 1:2 ბორდასი (69)

**უელვა-რაიო ვალეკანო 1:1**

გოლები: 1:0 პ. სანჩესი (13), 1:1 კოკე (90)

**ტენერიფე-კორდობა 1:2**

გოლები: 1:0 ნინო (12), 1:1 კალეხონი (31), 1:2 ალბერტო (57)

გაძევება: მელი (51. ტენერიფე), პ. სისილია (90. ტენერიფე)

**უესკა-ბარსელონა 1:1**

გოლები: 1:0 ტარიკი (19), 1:1 ბენხა (52)

გაძევება: მოლინერო (41. უესკა)

**ალკორკონი-კარტახენა 0:0**

გაძევება: ხ. კალა (7. კარტახენა)

**ბეტისი-სალამანკა 1:0**

გოლი: 1:0 ი. გომესი (80)

**ალბასეტე-ლას პალმასი 0:1**

გოლი: 0:1 ვეგა (39)

გაძევება: კიკე (86. ალბასეტე)

**პონფერადინა-ელჩე 0:1**

გოლი: 0:1 დ. სანჩესი (90)

**გრანადა-სელტა 1:1**

გოლები: 0:1 ა. ლოპესი (34), 1:1 ბენიტესი (44)

**ხიმნასტიკი-ნუმანსია 1:0**

გოლი: 1:0 პაუელი (21)

**ვალიადოლიდი-ხირონა დღეს**

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბეტისი | 30 | 18 | 5 | 7 | 56-29 | 59 |
| 2. ვალეკანო | 30 | 17 | 7 | 6 | 50-33 | 58 |
| 3. სელტა | 30 | 15 | 10 | 5 | 50-26 | 55 |
| 4. ბარსელონა | 30 | 13 | 9 | 8 | 57-43 | 48 |
| 5. ელჩე | 30 | 12 | 11 | 7 | 31-26 | 47 |
| 6. გრანადა | 30 | 12 | 10 | 8 | 52-34 | 46 |
| 7. კარტახენა | 30 | 13 | 6 | 11 | 37-39 | 45 |
| 8. ვილიარეალი | 30 | 13 | 5 | 12 | 35-39 | 44 |
| 9. ხერესი | 30 | 12 | 7 | 11 | 40-41 | 43 |
| 10. ხირონა | 29 | 11 | 9 | 9 | 40-37 | 42 |
| 11. ალკორკონი | 30 | 12 | 5 | 13 | 38-36 | 41 |
| 12. ნუმანსია | 30 | 12 | 3 | 15 | 43-44 | 39 |
| 13. ვალიადოლ. | 29 | 11 | 6 | 12 | 37-37 | 39 |
| 14. კორდობა | 30 | 9 | 11 | 10 | 41-42 | 38 |
| H15. უესკა | 30 | 8 | 14 | 8 | 26-29 | 38 |
| 16. უელვა | 30 | 7 | 15 | 8 | 30-28 | 36 |
| 17. ხიმნასტიკი | 30 | 8 | 10 | 12 | 25-33 | 34 |
| 18. ლას პალმასი | 30 | 7 | 12 | 11 | 40-58 | 33 |
| 19. სალამანკა | 30 | 9 | 4 | 17 | 29-43 | 31 |
| 20. ტენერიფე | 30 | 6 | 9 | 15 | 30-49 | 27 |
| 21. ალბასეტე | 30 | 5 | 10 | 15 | 20-37 | 25 |
| 22. პონფერად. | 30 | 4 | 12 | 14 | 23-47 | 24 |

**ბომბარდირები:** 19 - გეიხო (გრანადა), სორიანო (ბარსელონა); 17 - ქუინი (ალკორკონი); 16 - რუბენ კასტრო (ბეტისი), ხავი გუერა (ვალიადოლიდი); 15 - ემილიანო არმენტეროსი (რაიო ვალეკანო).

## პორტუგალია

ლიგა საგრეში. XXIV ტური

**პორტიმონენშე-გიმარაეში 2:1**

გოლები: 0:1 ტარგინო (13), 1:1 პინტო (15), 2:1 პირესი (82)

გაძევება: ნ'დაიე (80. გიმარაეში), კანდეიაში (90. პორტიმონენშე)

**სპორტინგი-ლეირია 0:0**

**მარიტიმუ-ოლანენშე 4:0**

გოლები: 1:0 ბაბა (22), 2:0 ბენაშური (43), 3:0 ბენაშური (62), 4:0 ჯალმა (76)

**ნავალი-ბეირა მარი 2:2**

გოლები: 0:1 ტატუ (23), 0:2 არტური (45), 1:2 კურტო (82-პენ), 2:2 კურტო (87-პენ)

გაძევება: უგო (66. ბეირა მარი), ტავარეში (90. ბეირა მარი)

**სეტუბალი-ნასიონალი 2:1**

გოლები: 1:0 ნეკა (6), 2:0 ჟაილსონი (79), 2:1 ანსელმო (90)

**პორტუ-აკადემიკა 3:1**

გოლები: 0:1 ადი (31), 1:1 გუარინი (54), 2:1 მაიკონი (62), 3:1 ვარელა (74)

**ბრაგა-რიუ ავე დღეს**

**ფერეირა-ბენფიკა დღეს**

| | თ | მ | ფ | ნ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 24 | 22 | 2 | 0 | 56-8 | 68 |
| 2. ბენფიკა | 23 | 17 | 1 | 5 | 46-20 | 52 |
| 3. სპორტინგი | 24 | 10 | 8 | 6 | 33-25 | 38 |
| 4. ფერეირა | 23 | 8 | 9 | 6 | 23-25 | 33 |
| 5. გიმარაეში | 24 | 9 | 6 | 9 | 27-31 | 33 |
| 6. ბრაგა | 22 | 9 | 4 | 9 | 36-29 | 31 |
| 7. ნასიონალი | 24 | 8 | 7 | 9 | 21-27 | 31 |
| 8. ლეირია | 24 | 8 | 6 | 10 | 19-27 | 30 |
| 9. ბეირა მარი | 24 | 6 | 11 | 7 | 28-28 | 29 |
| 10. მარიტიმუ | 24 | 7 | 7 | 10 | 28-25 | 28 |
| 11. ოლანენშე | 23 | 6 | 10 | 7 | 19-25 | 28 |
| 12. რიუ ავე | 23 | 7 | 6 | 10 | 22-26 | 27 |
| 13. აკადემიკა | 24 | 6 | 7 | 11 | 29-39 | 25 |
| 14. სეტუბალი | 24 | 5 | 9 | 10 | 20-33 | 24 |
| 15. პორტიმონენ. | 24 | 4 | 7 | 13 | 23-40 | 19 |
| 16. ნავალი | 24 | 3 | 8 | 13 | 20-42 | 17 |

**ბომბარდირები:** 20 - ჰალკი (პორტუ); 13 - ჟოაო ტომაში (რიუ ავე); 12 - ფალკაო (პორტუ).

## უცხოური ფეხბურთი

გერმანია. ბუნდესლიგა XXVII ტური

# მაინცმაც ივაჟკაცა!

## შვიდი ქულა უკვე საქმეა, დაბრუნდება საჩემპიონო ინტრიგა?

წარმოგიდგენიათ, დორტმუნდის „ბორუსიამ“ ისევ ვერ მოიგო! თუკი წინა ტურში „ჰოფენჰაიმმა“ ივაჟკაცა და ბუნდესლიგის ერთპიროვნული ლიდერი 1:0 დაამარცხა, ამჯერად, BVB-ს „მაინცმა“ გამოუჩინა კბილები და „ვესტფალენშტადიონიდან“ ქულა წაიღო (1:1). ამასობაში, „ლევერკუზენმა“ თავისი თამაში მშვიდად მოიგო (2:0 შალკესთან) და „ბორუსიასთან“ ჩამორჩენა შვიდ ქულამდე შეამცირა. ეს კი, დაგვეთანხმებით, უკვე ხელების მოსაფშვნეტი ამბავია – ყოველ შემთხვევაში, იმ მდგომარეობასთან შედარებით, რაც 2 ტურის ტურის წინ იყო. შვიდი ქულა უკვე საქმეა და საკმარისია, მომდევნო ტურში „ჰანოვერმაც“ „გამოაჩინოს ფხა“ (დაგვეთანხმებით, „წითლებს“ ეს ნაღდად ხელეწიფებათ), რომ სეზონის მიწურულს, ბუნდესლიგა უინტრიგოდ არ დაგვტოვებს – მდგომარეობა დაიძაბება. „დორტმუნდის“ კრიზისზე საუბარი კი, „ჰანოვერთან“ მატჩამდე, მაინც ნაადრევად მიგვაჩნია. მით უმეტეს, რომ „მაინცმა“ „ვესტფალენშტადიონზე“ ანგარიშის გათანაბრება მხოლოდ 89-ე წუთზე შეძლო.

თუმცა „ბორუსიასა“ და „მაინცის“ მატჩში შედეგი მეორეხარისხოვანი გახდა, რადგან საფინალო სასტვენის შემდეგ, დორტმუნდელთა თავკაცი იურგენ კლოპი კოლეგა თომას ტუხელისკენ კბილების ღრჭიალით იწევდა. საქმე იმაშია, რომ სანამ მაინცელები ანგარიშს გაათანაბრებდნენ, ფლორიან ჰელერმა „ბორუსიას“ მცველ ნევენ სუბოტიჩს ფეხი უშნოდ ჩაარტყა, რის გამოც BVB-ს დაცვის სერბი ბურჯი მინდორზე გაიშხლართა და ტკივილისგან საცოდავად იკლაკნებოდა. დაუწერელი კანონია: ასეთ დროს, ფეხბურთელებმა ბურთი აუტზე უნდა გადააგდონ, რათა ექიმებმა ტრავმირებული მოთამაშის დახმარება შეძლონ, მაინცელებმა კი ეს არ გააკეთეს, შეუტიეს და გოლიც გაიტანეს. სწორედ ამან აღელვა კლოპი. მაინცელების სათადარიგოთა სკამთან მივარდნილმა იურგენმა ფიზმომზადების მწვრთნელ ული მერტენს ხელი ჰკრა და იქ მყოფთ რამდენიმე არასასიამოვნო სიტყვით მიმართა. ამის შემხედვარე, „მაინცის“ თავკაცი ტუხელიც გადაირია და ასე გაჩაღდა ძიძგილაობა.

მატჩის შემდეგ ტუხელმა შეგირდები დაიცვა, არაფერი დაუნახავთ და ბურთიც ამიტომ არ გადააგდესო, კლოპს კი ამის დაჯერება არ სურდა. *„მთელი სათადარიგოთა სკამი ხედავდა, როგორ იწვა სუბოტიჩი და როგორ ითხოვდა შველას, მაგრამ ყველაზე მეტად მაინც იმ ემოციურ ზეიმზე გავბრაზდი, მაინცელებმა გოლის შემდეგ რომ დაიწყეს,“* - აღნიშნა „ბორუსიას“ დამრიგებელმა. ერთადერთი მაინცელი, რომელსაც შლიშკოვიჩის გოლი არ უზეიმია, გუნდის მენეჯერი კრისტიან ჰაიდელი გახლდათ – ის კლოპის უახლოესი მეგობარია. როგორც იცით, კლოპი 2008 წლამდე სწორედ „მაინცს“ წვრთნიდა. ჩვენმა გერმანელმა კოლეგებმა მოსაზრება მსაჯ ფელიქს ბრიხსაც ჰკითხეს, მაგრამ არბიტრს აბა, რა უნდა ეთქვა – ლოგიკურია, რომ ჩაილაპარაკა, კანონში წერია, ასეთ დროს თამაში მხოლოდ მაშინ უნდა გავაჩერო, როცა ბურთი მოედნის ფარგლებს დატოვებსო. ისე, მაინცელები მანამდეც საკმაოდ უხეშობდნენ. მაგალითად, კარნავალელთა მეკარე კრისტიან ვეტკლომ ჯერ კიდევ 28-ე წუთზე დაამტვრია „ბორუსიას“ თავდამსხმელი ლუკას ბარიოსი, რომელიც მალევე შეცვალეს. ამის გამო, ბრიხს ვეტკლო მოედნიდან რომ გაეძევებინა, არავინ გაამტყუნებდა, მაგრამ დაინდო. სამაგიეროდ, „მაინცის“ კიპერი, რომელიც ადრე „შალკეში“ თამაშობდა, რის გამოც დორტმუნდში აქვთ მიზეზი, სძულდეთ, სწორედ „ბორუსიას“ ფანებმა არ დაინდეს და მატჩის მიწურულს საგნები დაუშინეს...

ფრანკ რიბერიმ „ფრაიბურგის“ კარში გამარჯვების გოლი 88-ე წუთზე გაიტანა და მიუნხენელებმა ფრანგის გოლი ისე იზეიმეს, მეორე დღეს „ბილდი“ ასეთ რამეს წერდა: *„ჰალო, „ბაიერნ“, ჩემპიონთა ლიგა ხომ არ მოიგეთ?“* არადა, ბავარიელი ფეხბურთელების ასეთი ემოციური ზეიმი ნაღდად ლეგიტიმურია, რადგან 88-ე წუთამდე, ფრაიბურგში ფაქტობრივად არაფერი გამოსდიოდათ და „ბადენოვა-შტადიონზე“ რომ ვერ მოეგოთ, ჩემპიონთა ლიგის საგზური საკმაოდ დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა. „ბილდი“ იმასაც წერდა, „ბაიერნს“ ფრაიბურგში რომ ვერ მოეგო, ჰიონესი და რუმენიგე ლუის ვან გაალს ახლავე გააგდებდნენო – ხომ იცით, სეზონის ბოლოს ჰოლანდიელი სპეციალისტის წასვლა ისედაც გადაწყვეტილია. და სხვათა შორის, უკვე აღარავის ეპარება ეჭვი იმაში, რომ ზაფხულიდან „ბაიერნს“ იუპ ჰაინკესი გაწვრთნის. ეს უკანასკნელი ახლა „ლევერკუზენის“ დამრიგებელია, მაგრამ უკვე გადაწყდა და „ბილდის“ ცნობით, დღეს ოფიციალურადაც დადასტურდება, რომ „დონ იუპი“ ახალ კონტრაქტს არ გააფორმებს და რომ ივნისიდან, „ლევერკუზენს“ რობინ დუტი მიხედავს – კაცი, რომელიც ახლა „ფრაიბურგს“ წვრთნის. მოკლედ, გერმანიაში ისეთი სამწვრთნელო საგიჟეთია, რომ გერმანიის საფეხბურთო ლიგაში აბსოლუტურად ლოგიკურად დაფიქრდნენ, ხომ არ შემოიღონ კანონი, რომლის მიხედვითაც, მწვრთნელს ერთი სეზონის მანძილზე მხოლოდ ერთ კლუბში მუშაობის უფლება ექნება...

რა შეიცვალა „ჰამბურგში“ ერთი კვირის მანძილზე ისეთი, რომ გუნდმა, რომელმაც წინა ტურში „ბაიერნთან“ 0:6 წააგო, ახლა „კიოლნს“ 6:2 მოუგო? ერთი შეხედვით, ბევრი არაფერი, ყოველ შემთხვევაში, ასეთი შემობრუნებისთვის ნაღდად ბევრი არაფერი შეცვლილა, ისე კი, HSV-ში მწვრთნელი (არმინ ფეე) გააგდეს და მის ნაცვლად გუნდი დროებით ასისტენტ მიხაელ იონინგს ჩააბარეს და დაიფრინეს შეფებიც – თავმჯდომარე ბერნდ ჰოფმანი და მისი მოადგილე კატია კრაუსი. ჰო, იონინგმა ტაქტიკა შეცვალა და გუნდი 4-1-2-1-2-ით ათამაშა, სადაც ვეტერანი ბრაზილიელი ნახევარმცველი ზე რობერტო არა საყრდენი (როგორც მანამდე), არამედ გამთამაშებელი გახლდათ. და აი, „ჰამბურგმა“ „კიოლნს“ სულ კუდით ქვა ასროლინა. ექვსიდან სამი გოლი კი მლადენ პეტრიჩის ანგარიშზეა.

ვინც იფიქრა, რომ კიოლნში დიდი ანგარიშით წაგების (0:4) მერე „ჰანოვერი“ აიჭრებოდა, სასტიკად შეცდა. მირკო სლომკას გუნდმა „დორტმუნდის“ გამამწარებელ „ჰოფენჰაიმთან“ ძველებური სიმშვიდით ითამაშა და მშვიდადვე მოიგო: 2:0. ამ გამარჯვებით, ჰანოვერელებმა საუკეთესო სამეულში ადგილი შეინარჩუნეს და კვლავ ოცნებობენ მაქსიმუმ ჩემპიონთა და მინიმუმ ევროპის ლიგაზე. „წითლების“ მთავარი გოლეადორი დიდიე ია კონანი სამკვირიანი იძულებითი პაუზის შემდეგ დაბრუნდა და გოლიც გაიტანა, მეორე კი აბდელაუმ შეაგდო. სლომკა მაინც ფრთხილობს, ევროპაში მოხვედრისთვის კი ვიბრძვით, მაგრამ მიზნად ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვების დასახვა ჩვენი მხრიდან მაინც ხმამაღალი განცხადება იქნებოდაო. არადა, „ჰანოვერი“ მესამე ადგილზეა და სეზონის დამთავრებამდე 7 ტურია დარჩენილი. თანაც, „ჰანოვერს“ საკუთარ მოედანზე ყველაზე მეტი ქულა (31) აქვს მოპოვებული და გუნდმა საკუთარი რეკორდი უკვე გააუმჯობესა – „ჰანოვერის“ საუკეთესო შედეგი აქამდე სეზონში 49 ქულა იყო, ახლა კი უკვე 50 აქვს. ჰო, მართლა: „ჰანოვერის“ მცველმა კრისტიან შულცმა „ვოლფსბურგში“ გადასვლაზე უარი თქვა და „წითლებთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა. არადა, ფელიქს მაგათი წელიწადში 3 მილიონ ევროს სთავაზობდა (ჰანოვერში 2 მილიონს იღებს). არცაა გასაკვირი, „ჰანოვერი“ ევროპაში გადის, „ვოლფსბურგი“ კი გადარჩენისთვის იბრძვის. შულცს კი ევროპაში უნდა.

„ვერდერმა“ სტუმრად „ნიურნბერგს“ მოუგო და „მუსიკოსებმა“ ცოტათი ამოისუნთქეს; „აინტრახტში“ თეოფანის გეკასმა გაიხსენა და ყველას გაახსენა, რომ თავდამსხმელია – 2011 წელს პირველად შეძლო გოლის გატანა და ეგრევე დუბლი შეასრულა; მაგათის დებიუტი კი „ვოლფსბურგში“ მთლად იდეალური ვერა, მაგრამ კარგი გამოვიდა: „მგლები“ „შტუტგარტს“ ფელიქსის ძველი ჯილას, გრაფიტეს გოლით უგებდნენ და შვაბებმა ანგარიშის გათანაბრება 94-ე წუთზეღა მოახერხეს...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**


მაინცელები შლიშკოვიჩის გოლს ზეიმობენ, იურგენ კლოპი (მარცხნივ) განრისხებულია

### მომდევნო ტური

**1 აპრილი.** ზანკტ პაული-შალკე.

**2 აპრილი.** ბაიერნი-ბორუსია (მ), ვერდერი-შტუტგარტი, ბორუსია (დ)-ჰანოვერი, მაინცი-ფრაიბურგი, კაიზერსლაუტერნი-ლევერკუზენი, ჰოფენჰაიმი-ჰამბურგი.

**3 აპრილი.** კიოლნი-ნიურნბერგი, ვოლფსბურგი-აინტრახტი.

### ბორუსია (მ)–კაიზერსლაუ. 0:1

**ბორუსია მ. (4-2-3-1):** ბეილი - იანტშკე, შტრანცლი, დანტე, დემსი - მ. ფინკი (63. ჰერმანი), ნორდტვეიტი - როისი, ნოიშტედტერი, არანგო (72. მატმური) - იდრისუ (57. ჰანე).

**კაიზერსლაუტერნი (4-2-3-1):** ტრაპი - დიკი, აბელი, როდნი, იესენი - ტიფერტი (90. ამედიკი), კირხი - ილიჩევიჩი, მორავეკი (87. პეცოსი), ჰლუშეკი - ნემეცი (66. ლაკიჩი).

**გოლი:** 0:1 ბეილი (61-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** დანტე, ნოიშტედტერი

**კუთხური:** 4-3; **ჯარიმა:** 15-20; **თამაშგარე:** 2-4; **კარში დარტყმა:** 6(4)-10(3); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 47696

### ჰამბურგი–კიოლნი 6:2

**ჰამბურგი (4-1-2-1-2):** ფ. როსტი - დიკმაიერი (55. დემელი), კაჩარი, მატიისენი, აოგო - ვესტერმანი - ბენ-ჰატირა (60. სონი), ელია - ზე რობერტო - ვან ნისტელროი (82. თორუნი), პეტრიჩი.

**კიოლნი (4-2-3-1):** რენზინგი - ბრეჩკო, მოჰამადი, პეცონი, აიხნერი - ლანიგი, პეტიტი (75. მაკინო) - პეჟკო (40. ჩიჰი), პოდოლსკი, ჟაჟალო - ნოვაკოვიჩი (82. კლემენსი).

**გოლები:** 1:0 პეტრიჩი (12), 2:0 ბენ-ჰატირა (32), 3:0 პეტრიჩი (38), 4:0 პეტრიჩი (43), 4:1 ჟაჟალო (50), 5:1 კაჩარი (52), 6:1 ზე რობერტო (58-პენ), 6:2 პოდოლსკი (62)

**გაფრთხილება:** ვან ნისტელროი - ლანიგი, ნოვაკოვიჩი

**კუთხური:** 2-1; **ჯარიმა:** 14-20; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 21(7)-9(3); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 57 000

### აინტრახტი–ზტ. პაული 2:1

**აინტრახტი (4-2-3-1):** ფერმანი - ს. იუნგი, ფრანცი, რუსი, ცაველასი - კლერკი (61. კაიო), შვეგლერი - ფენინი (46. მ. ჰელერი/91. ჰალილ ალთინთოფი), ა. მაიერი, ამანატიდისი - გეკასი.

**ზტ. პაული (4-1-4-1):** კესლერი - ბარტელსი, თორანდტი, გიუნეში, ფოლცი - ბოლი - მ. კრუსე (84. ებერსი), მ. ლემანი, დაუბე (78. ბრუნსი), ტაკი (81. ჰენინგსი) - ასამოა.

**გოლები:** 1:0 გეკასი (34-პენ), 1:1 ტაკი (42), 2:1 გეკასი (77)

**გაფრთხილება:** კლერკი - დაუბე, ფოლცი, მ. ლემანი, ასამოა

**კუთხური:** 3-3; **ჯარიმა:** 18-23; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 13(6)-11(3); **ბურთის ფლობა:** 48%-52%.

**მაყურებელი:** 50 500

### ფრაიბურგი–ბაიერნი 1:2

**ფრაიბურგი (4-1-4-1):** ბაუმანი - მუიჯა, ტოპრაკი, ბართი, ბასტიანსი - შუსტერი - კალიჯური (85. ბუტშერი), ფლუმი (77. რაიზინგერი), მაკიადი, პუცილა (89. იანო) - სისე.

**ბაიერნი (4-2-3-1):** კრაფტი - ლამი, ვან ბუიტენი, ლუის გუსტავო, პრანიჩი - კროოსი (78. ტიმოშჩუკი), შვაინშტაიგერი - რობენი (30. ჰამით ალთინთოფი), თ. მიულერი (71. კლოზე), რიბერი - გომესი.

*მე-14 წუთზე სისემ (ფრაიბურგი) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

გოლები: 0:1 გომესი (9), 1:1 სისე (17), 1:1 რიბერი (88)

**გაფრთხილება:** შუსტერი, რაიზინგერი

**კუთხური:** 5-6; **ჯარიმა:** 14-18; **თამაშგარე:** 2-0; **კარში დარტყმა:** 12(5)-11(6); **ბურთის ფლობა:** 39%-61%.

**მაყურებელი:** 24 000

### ჰანოვერი–ჰოფენჰაიმი 2:0

**ჰანოვერი (4-2-2-2):** ფრომლოვიტცი - ჩერუნდოლო, ჰაგი, პოგატეცი, კ. შულცი - შმიდებახი, პინტუ - შტინდლი, რაუში (84. კარლიტოსი) - ია კონანი (80. შლაუდრაფი), აბდელაუ (88. შტოპელკამპი).

**ჰოფენჰაიმი (4-1-4-1):** შტარკე - ბეკი, ვორსა, კომპერი, ბრააფჰაიდი - რუდი - ბაბელი (87. რობერტო ფირმინიო), ვუკჩევიჩი (65. სიგურდსონი), ალაბა, სალიჰოვიჩი (58. მლაპა) - იბიშევიჩი.

**გოლები:** 1:0 ია კონანი (38), 2:0 აბდელაუ (53)

**გაფრთხილება:** რუდი

**კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 14-21; **თამაშგარე:** 0-8; **კარში დარტყმა:** 9(3)-12(2); **ბურთის ფლობა:** 44%-56%.

**მაყურებელი:** 47 200

### ნიურნბერგი–ვერდერი 1:3

**ნიურნბერგი (4-1-2-1-2):** რ. შეფერი - ხანდლერი, ვოლშაიდი, ვოლფი, პინოლა - სიმონსი - ჰეგელერი (54. მაკი), კოენი (65. ოკოტი) - გიუნდოგანი - ექიჩი (87. ნილსონი), აიგლერი.

**ვერდერი (4-1-2-1-2):** ვიზე - ფრიტცი, პასანენი, მერტეზაკერი, სილვესტრი - ფრინგსი - ვესლი (62. დ. შმიდტი), ბოროვსკი - მარინი - პისარო (92. ავდიჩი), ვაგნერი (90. ჰანტი).

**გოლები:** 0:1 ვაგნერი (27-პენ), 1:1 გიუნდოგანი (30), 1:2 პისარო (50), 1:3 ვაგნერი (89-პენ)

**გაფრთხილება:** აიგლერი, პინოლა, რ. შეფერი - ფრინგსი, პისარო, პასანენი

**გაძევება:** ხანდლერი (72. ნიურნბერგი)

**კუთხური:** 3-7; **ჯარიმა:** 18-19; **თამაშგარე:** 6-1; **კარში დარტყმა:** 8(4)-8(6); **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 48 548

### ბორუსია (დ)–მაინცი 1:1

**ბორუსია დ. (4-2-3-1):** ვაიდენფელერი - პიშჩეკი, სუბოტიჩი, ჰუმელსი, შმელცერი - ს. ბენდერი, ნ. შაჰინი (88. კელი) - გროსკროიტცი, გიოტცე, ბლაშჩიკოვსკი (69. ზიდანი) - ბარიოსი (31. ლევანდოვსკი).

**მაინცი (4-1-2-2-1):** ვეტკლო - ბუნგერტი, სვენსონი, ნოვესკი, ფუხსი - ფათი - პოლანსკი (87. ფ. ჰელერი), სოტო - ჰოლტბი (79. რისსე), შიურლე - ალაგუი (78. შლიშკოვიჩი).

*მე-19 წუთზე შაჰინმა (ბორუსია დ) ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

გოლები: 1:0 ჰუმელსი (8), 1:1 შლიშკოვიჩი (89)

**გაფრთხილება:** სუბოტიჩი - ვეტკლო

**კუთხური:** 7-2; **ჯარიმა:** 13-14; **თამაშგარე:** 1-4; **კარში დარტყმა:** 15(3)-9(3); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 80 720

### ლევერკუზენი–შალკე 2:0

**ლევერკუზენი (4-2-3-1):** ადლერი – ბალიტში (74. ლ. ბენდერი), შვააბი, რაინარტცი, კადლეცი – ვიდალი, როლფესი – სემი, ბალაკი, რენატო (88. ბარნეტა) – დერდიოკი (84. კისლინგი).

**შალკე (4-2-2-2):** ნოიერი – უჩიდა, ჰიოვედესი, მეტცელდერი (46. პაპადოპულოსი), შმიტცი – მატიპი, ანანო – ედუ (59. დრაქსლერი), ხურადო – გავრანოვიჩი (71. ხარისტეასი), რაული.

**გოლები:** 1:0 დერდიოკი (19), 2:0 მეტცელდერი (27-საკ. კარში)

**გაფრთხილება:** რენატო, ბალაკი – უჩიდა, რაული, ანანი

**კუთხური:** 8-3; **ჯარიმა:** 14-24; **თამაშგარე:** 4-3; **კარში დარტყმა:** 13(7)-7(5); **ბურთის ფლობა:** 62%-38%.

**მაყურებელი:** 30 210

### შტუტგარტი–ვოლფსბურგი 1:1

**შტუტგარტი (4-2-3-1):** ულრაიხი – ჩელოცი (67. შიპლოკი), ტასკი (46. ბულარუზი), ნიდერმაიერი, მოლინარო – ტრეში, კუზმანოვიჩი (39. ელსონი) – გებჰარდტი, გენტნერი, ოკაზაკი – პოგრებნიაკი.

**ვოლფსბურგი (4-1-2-2-1):** ლენცი – პეკარიკი, კიაერი, ა. ფრიდრიხი, მ. შეფერი – ჟოსუე (74. მადლუნგი) – რიტერი, ჰასებე (46. პოლაკი) – დიეგო, სისერო (60. კოო) – გრაფიტე.

**გოლები:** 0:1 გრაფიტე (40), 1:1 ნიდერმაიერი (94)

**გაფრთხილება:** შიპლოკი – პეკარიკი, კიაერი, ლენცი

**კუთხური:** 1-3; **ჯარიმა:** 18-22; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 16(4)-9(6); **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 39 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბორუსია (დ) | 27 | 19 | 5 | 3 | 54-16 | 62 |
| 2. ლევერკუზენი | 27 | 16 | 7 | 4 | 56-34 | 55 |
| 3. ჰანოვერი | 27 | 16 | 2 | 9 | 39-36 | 50 |
| 4. ბაიერნი | 27 | 14 | 6 | 7 | 59-34 | 48 |
| 5. მაინცი | 27 | 14 | 2 | 11 | 42-34 | 44 |
| 6. ნიურნბერგი | 27 | 12 | 6 | 9 | 42-36 | 42 |
| 7. ჰამბურგი | 27 | 12 | 4 | 11 | 43-44 | 40 |
| 8. ფრაიბურგი | 27 | 11 | 4 | 12 | 34-38 | 37 |
| 9. ჰოფენჰაიმი | 27 | 9 | 9 | 9 | 42-39 | 36 |
| 10. შალკე | 27 | 9 | 6 | 12 | 31-33 | 33 |
| 11. კიოლნი | 27 | 9 | 5 | 13 | 37-49 | 32 |
| 12. ვერდერი | 27 | 8 | 8 | 11 | 37-53 | 32 |
| 13. კაიზერსლ. | 27 | 8 | 7 | 12 | 36-43 | 31 |
| 14. აინტრახტი | 27 | 9 | 4 | 14 | 27-37 | 31 |
| 15. შტუტგარტი | 27 | 8 | 5 | 14 | 46-49 | 29 |
| 16. ზანკტ პაული | 27 | 8 | 4 | 15 | 29-47 | 28 |
| 17. ვოლფსბურ. | 27 | 6 | 9 | 12 | 31-40 | 27 |
| 18. ბორუსია (მ) | 27 | 6 | 5 | 16 | 38-61 | 23 |

**ბომბარდირები:** 19 – გომესი (ბაიერნი); 18 – სისე (ფრაიბურგი); 16 – გეკასი (აინტრახტი); 12 – პოდოლსკი (კიოლნი), შიურლე (მაინცი), ია კონანი (ჰანოვერი).

### II ბუნდესლიგა

XXVII ტური

**დუისბურგი-ფორტუნა 1:0**

გოლი: 1:0 მაიერჰოფერი (68)

**მიუნხენ 1860-კარლსრუე 5:1**

გოლები: 1:0 ფოლანდი (8), 2:0 ბიულოვი (21), 3:0 დ. ჰალფარი (35), 4:0 ფრლანდი (68), 5:0 ლაუთი (77), 5:1 იაშვილი (79)

**ინგოლშტადტი-ჰერტა 1:1**

გოლები: 0:1 ლასოგა (70), 1:1 მატიპი (86)

**აუგსბურგი-ობერჰაუზენი 2:0**

გოლები: 1:0 ფერჰეგი (21), 2:0 ბელინგჰაუზენი (55)

**ოსნაბრიუკი-ალემანია 1:3**

გოლები: 1:0 შტეპლე (46), 1:1 დემაი (49), 1:2 არსლანი (58-პენ), 1:3 ულუდაგი (89)

**პადერბორნი-ფრანკფურტი 2:2**

გოლები: 1:0 ჰაიტჰიოლტერი (2), 2:0 ბრენდი (7), 2:1 მიოლდერსი (19), 2:2 კიდიმარი (90)

**უნიონი-არმინია 2:2**

გოლები: 0:1 კ. მიულერი (4), 1:1 სავრანი (14), 1:2 ტადიჩი (22), 2:2 მოსკერა (58)

**აუე-ფიურტი 0:0**

**ბოხუმი-კოტბუსი დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰერტა | 27 | 17 | 5 | 5 | 55-25 | 56 |
| 2. აუგსბურგი | 27 | 16 | 6 | 5 | 50-21 | 54 |
| 3. ბოხუმი | 26 | 15 | 4 | 7 | 38-28 | 49 |
| 4. აუე | 27 | 14 | 6 | 7 | 31-28 | 48 |
| 5. ფიურტი | 27 | 13 | 8 | 6 | 37-21 | 47 |
| 6. კოტბუსი | 26 | 13 | 6 | 7 | 53-37 | 45 |
| 7. დუისბურგი | 27 | 12 | 7 | 8 | 40-26 | 43 |
| 8. მიუნხენ 1860 | 27 | 11 | 9 | 7 | 36-27 | 40 |
| 9. ალემანია | 27 | 10 | 8 | 9 | 45-46 | 38 |
| 10. ფორტუნა | 27 | 11 | 3 | 13 | 33-34 | 36 |
| 11. ფრანკფურტი | 27 | 10 | 4 | 13 | 38-41 | 34 |
| 12. უნიონი | 27 | 8 | 8 | 11 | 28-33 | 32 |
| 13. პადერბორნი | 27 | 8 | 7 | 12 | 26-37 | 31 |
| 14. ინგოლშტ. | 27 | 7 | 6 | 14 | 32-41 | 27 |
| 15. კარლსრუე | 27 | 7 | 6 | 14 | 36-60 | 27 |
| 16. ოსნაბრიუკი | 27 | 7 | 4 | 16 | 35-51 | 25 |
| 17. ობერჰაუზენი | 27 | 6 | 6 | 15 | 22-46 | 24 |
| 18. არმინია | 27 | 3 | 5 | 19 | 22-55 | 14 |

** მიუნხენ 1860-ს დაკლებული აქვს ორი ქულა*

**ბომბარდირები:** 20 – პეტერსენი (კოტბუსი); 16 – აუერი (ალემანია); 15 – მიოლდერსი (ფრანკფურტი); 13 – ნანდო რაფაელი (აუგსბურგი); 12 – ლაუთი (მიუნხენ 1860); 11 – რამოსი (ჰერტა).

### III ბუნდესლიგა

**ჰაიდენჰაიმი-აალენი 0:0, დრეზდენი-ალენი 3:0, ზაარბრიუკენი-რეგენსბურგი 0:0, ზანდჰაუზენი-ვეენი 0:0, შტუტგარტი II-ბაიერნი II 0:0, ბაბელსბერგი-უნტერჰახინგი 0:4, ბურგჰაუზენი-ვერდერი II 2:1, ოფენბახი-კობლენცი 0:0, კარლ ცაისი-ერფურტი 1:3, ბრაუნშვაიგი-ჰანზა 2:1.**

### თურქეთი

სუპერლიგა. XXVI ტური

**გალათასარაი-ფენერბაჰჩე 1:2**

**გოლები:** 1:0 კაზიმ-რიჩარდსი (14), 1:1 შენთურქი (75), 1:2 ალექსი (87)

**კასიმფაშა-მანიშა 1:0**

**გოლი:** 1:0 ფერნანდო ვარელა (73)

**გაზიანთეფი-ბუიუქშეჰირი 4:1**

**გოლები:** 1:0 გუჩერი (7), 2:0 ადინი (33), 2:1 ჰოლოშკო (62), 3:1 ადინი (65), 4:1 ადინი (71)

**კონია-ანთალია 0:0**

**ბეშიქთაში-ქაისერი 4:2**

**გოლები:** 0:1 სალაიეტა (22), 1:1 უგო ალმეიდა (61), 2:1 ფ. ერნსტი (69), 3:1 კვარეშმა (76), 3:2 ტებერი (81-პენ), 4:2 უგო ალმეიდა (89)

**ესქიშეჰირი-ქარაბიუქი 1:0**

**გოლი:** 1:0 დეუმი (33-საკ. კარში)

**გენჩლერბირლიგი-ტრაბზონი 1:2**

**გოლები:** 1:0 კანი (12), 1:1 კაჩარი (57), 1:2 ალანზინიო (90)

**ბუკა-სივასი 0:4**

**გოლები:** 0:1 ენერამო (41), 0:2 პედრიელი (61), 0:3 კილიჩი (84), 0:4 ილმაზი (89)

**ბურსა-ანკარაგიუჯუ დღეს**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ფენერბაჰჩე | 26 | 19 | 3 | 4 | 62-27 | 60 |
| 2. ტრაბზონი | 26 | 18 | 6 | 2 | 54-21 | 60 |
| 3. ბურსა | 25 | 14 | 8 | 3 | 42-20 | 50 |
| 4. გაზიანთეფი | 26 | 13 | 7 | 6 | 34-22 | 46 |
| 5. ქაისერი | 26 | 12 | 7 | 7 | 35-27 | 43 |
| 6. ესქიშეჰირი | 26 | 11 | 8 | 7 | 29-25 | 41 |
| 7. ბეშიქთაში | 26 | 11 | 6 | 9 | 41-31 | 39 |
| 8. მანიშა | 26 | 11 | 2 | 13 | 39-40 | 35 |
| 9. ბუიუქშეჰირი | 26 | 10 | 4 | 12 | 32-32 | 34 |
| 10. ქარაბიუქი | 26 | 9 | 7 | 10 | 38-40 | 34 |
| 11. გალათასარაი | 26 | 10 | 3 | 13 | 29-34 | 33 |
| 12. ანკარაგიუჯუ | 25 | 8 | 7 | 10 | 36-43 | 31 |
| 13. ანთალია | 26 | 7 | 9 | 10 | 24-34 | 30 |
| 14. გენჩლერბ. | 26 | 7 | 7 | 12 | 28-41 | 28 |
| 15. სივასი | 26 | 6 | 7 | 13 | 32-46 | 25 |
| 16. ბუკა | 26 | 5 | 6 | 15 | 19-40 | 21 |
| 17. კონია | 26 | 3 | 8 | 15 | 19-40 | 21 |
| 18. კასიმფაშა | 26 | 4 | 5 | 17 | 23-25 | 17 |

**ბომბარდირები:** 19 – ალექსი (ფენერბაჰჩე); 14 – ნიანგი (ფენერბაჰჩე); 13 – ბ. ილმაზი (ტრაბზონი), ემენიკე (ქარაბიუქი); 11 – სიმპსონი (მანიშა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თავისი ბაზაია დათვსაც გამოუჩნდა

**რუსეთი-საქართველო 9:15**

რუსეთი (15-9) კლუჩნიკოვი, არტემევი, ბაბაევი, გალინოვსკი, ოსტროუშკო, რაჩკოვი (ი.კუშნარიოვი 79), შაკიროვი. (1-8) პოპოვი (ხროკინი 79), კორშუნოვი, პრიშეპენკო (ტრავკინი 48), ვოიტოვი (ტემნოვი 48), გარბუზოვი (მატვეევი 68), ფატახოვი, ოსტრიკოვი, გრაჩოვი (გრესევი 60)

*3ს: რაჩკოვი*

საქართველო (15-9) ხამაშურიძე (ურჯუკაშვილი 41), მაჩხანელი, კაჭარავა, ზიბზიბაძე, გუგავა, კვირიკაშვილი (მალაღურაძე 71), აბუსერიძე. (1-8) ხინჩაგიშვილი (კაკოვინი 79), ბრეგვაძე, ზირაქაშვილი, დათუნაშვილი, ვ.მაისურაძე, სუთიაშვილი (ნემსაძე 77), ჩხაიძე (კოლელიშვილი 78), გორგოძე.

*2ლ: საჯარიმო, ბრეგვაძე. გ,ს: კვირიკაშვილი*

**მსაჯი:** პატრიკ პეშამბერი (საფრანგეთი)


ირაკლი აბუსერიძე (ბურთით), მარჯვნივ ვასილ კაკოვინი


ბესიკ ხამაშურიძე


მამუკა გორგოძის მორიგი გარღვევა. მარცხნივ დავით კაჭარავა, უკან შალვა სუთიაშვილი

სოჭში, სლავა მეტრეველის სახელობის სტადიონზე, საქართველოს ნაკრებმა ერთა თასის წლევანდელი გათამაშება ტრიუმფით დაასრულა. „ბორჯღალოსნებმა" ტრადიციული მეტოქე - რუსეთის ნაკრები ასევე ტრადიციულად დაამარცხეს 15:9 და ქართველ ქომაგებს, კიდევ ერთხელ, დიდი სიხარული მოუტანეს.

ყოველივეს კი წინ რამდენიმე უსიამოვნო ფაქტი უძღოდა, რაზედაც „ლელო" უკვე წერდა. რუსეთის რაგბის კავშირის პრესატაშე **სერგეი მარკოვი** კი ცდილობს მომხდარი შეარბილოს და შეალამაზოს, რაც ამაო მცდელობაა.

აეროპორტში დაბრკოლების გადალახვის შემდეგ მგზავრობით დაღლილი ჩვენი მორაგბეები იმის ნაცვლად, რომ სასტუმროში დაესვენათ, ორი საათი საცობში იდგნენ და მატჩისწინა, კაპიტნის ვარჯიშის ჩატარებაც ვერ მოახერხეს.

ყველაზე მთავარი და სამწუხარო კი ის იყო, რომ რუსებმა მატჩის ტელეტრანსლაციაზე უარი თქვეს. თამაშის ხილვის საშუალება არც ქართველ გულშემატკივრებს მიეცათ. ქომაგები სხვადასხვა ბარებსა და პაბებში შეიკრიბნენ რადიორეპორტაჟის მოსასმენად. მატჩისადმი ინტერესი, გასაგები მიზეზების გამო, ცხადია, დიდი იყო.

რუსები „ბორჯღალოსნებთან" თამაშისთვის განსაკუთრებით ემზადებოდნენ. გუნდში დიდი ხნით უთამაშებელი ვეტერანები **ვიაჩესლავ გრაჩოვი** და **კონსტანტინ რაჩკოვიც** კი დააბრუნეს. ორივეს საკმაოდ ბევრჯერ უთამაშია საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ და ჩვენი ბიჭების თამაშის ხელწერას კარგად იცნობენ.

გაგიკვირდებათ, მაგრამ მატჩის შემდეგ კომენტარებში რუსეთის ნაკრების მწვრთნელები და მოთამაშეებიც კმაყოფილნი იყვნენ. ძნელი სათქმელია, რუსებს რა უხაროდათ. ეტყობა, „ბორჯღალოსნებთან" დიდი ანგარიშით მარცხის შიში ჰქონდათ და მატჩის ტელერეპორტაჟიც ამიტომ არ მოაწყვეს.

სტადიონის გაზონი ცუდ მდგომარეობაში არ იყო, თუმცა გადაუღებელმა წვიმამ გრუნტი საგრძნობლად დაამძიმა და თამაში ჭირდა. სველი ბურთი კი ორივე გუნდის მოთამაშეებს ხშირად უსხლტებოდათ ხელიდან.

საქართველოს ნაკრებმა თამაშის დასაწყისშივე აქტიურად შეუტია და უკვე მესამე წუთზე ანგარიში გახსნა. მგეზავმა **მერაბ კვირიკაშილმა** საჯარიმო გაიტანა - 3:0. „მეკომ" მეტოქის კარის დალაშქვრა პირველ ტაიმში, ამჯერად თითქმის მოედნის ცენტრიდან, კიდევ ერთხელ სცადა, მაგრამ უშედეგოდ. რუსები, ცხადია, უბრძოლველად დანებებას არ აპირებდნენ, თუმცა ანგარიშის გათანაბრება 27-ე წუთზე შეძლეს. საჯარიმო რაჩკოვმა გაიტანა - 3:3. მანამდე, საჯარიმო ფულბეკმა **იგორ კლუჩნიკოვმა** ვერ დაარტყა ზუსტად. ტაიმის მიწურულს ანგარიშში დაწინაურების საშუალება ისევ რუსებს მიეცათ. ამჯერად მიზანმა რაჩკოვს უმტყუნა.


ბორჯღალოსნების მეორე ლელო

ჩვენებმა მეორე ტაიმი ბევრად უფრო აქტიურად დაიწყეს. 51-ე წუთზე „ბორჯღალოსნების" მრავალფაზიანი იერიში რუსებმა ლელოს მისადგომებთან ერთ მეტრში წესის დარღვევით შეაჩერეს. საჯარიმო ზედ კარის წინ დაინიშნა, ცხადია, კარში დარტყმა შეიძლებოდა, თუმცა სტუმრებმა შერკინება მოითხოვეს.

მორკინალებმა მიძალებით სამჯერ სცადეს მეტოქის ჩათვლის მოედანში შეთრევა, მაგრამ რუსებმა სამივეჯერ წესი დაარღვიეს და მატჩის ფრანგმა არბიტრმა საჯარიმო ლელო დააფიქსირა. კვირიკაშვილმა გარდასახა - 10:3.

მატჩის ეს მომენტი, წესით, გარდამტეხი უნდა გამხდარიყო, მაგრამ არბიტრმა ლელოდან რამდენიმე წუთში საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი, შერკინების ბურჯი **დავით ზირაქაშვილი** ათი წუთით მოედნიდან გააძევა. მასპინძლებმა კაცნაკლულ ქართველებს მხოლოდ სამი ქულა აართვეს. საჯარიმო ისევ რაჩკოვმა გაიტანა - 6:10.

თამაშის დასრულებას 10 წუთი აკლდა, როცა იმავე რაჩკოვმა საჯარიმოთი ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა - 9:10. რუსებს მატჩის მოგების შანსი გაუჩნდათ, თუმცა შეხვედრის დასკვნითი მონაკვეთი „ბორჯღალოსნებმა" შესანიშნავად ჩაატარეს, მეტოქე თავის ნახევარში ჩაკეტეს. 77-ე წუთზე კი გამარჯვების მომტანი ლელოც გაიტანეს.

რუსები მოედნის საკუთარ ნახევარზე დაჯარიმდნენ, რასაც მცირე შეხლა-შემოხლა მოჰყვა. საბედნიეროდ, ჩვენი მორაგბეები დამნაშავეები არ აღმოჩნდნენ და არბიტრმა საჯარიმო არ ჩამოგვართვა. შეცვლაზე შესულმა მგეზავმა **ლაშა მალაღურაძემ** ბურთი აუტში გადაიტანა. მეტოქის ჩათვლის მოედნიდან ხუთ მეტრში დერეფანი სუფთად მოიგეს, მოლი შეკრეს და დაიძრნენ. ლელოში ბურთი შერკინების ახალგაზრდა კვაჭმა **ჯაბა ბრეგვაძემ** დაამიწა. მალაღურაძემ ვერ გარდასახა - 15:9.

*„ყველაფერი ვილონეთ, ეს თამაში რომ მოგვეგო. მართალია, შედეგით განბილებულნი ვართ, მაგრამ თამაშის ხარისხი დამაკმაყოფილებელია. ბიჭებს დაუბრუნდათ რწმენა საკუთარ ძალებში. როცა მინიმალური სხვაობით ვაგებდით, შეგვეძლო თამაშის ბედი საჩვენოდ შემოგვეტრიალებინა, მაგრამ ჩვენზე უფრო გამოცდილმა მეტოქემ მაინც გვაჯობა,"* - თქვა რაჩკოვმა.

*„ამ თამაშისთვის დიდხანს სერიოზულად ვემზადებოდით, ძალიან გვინდოდა, ცუდი ტრადიცია დაგვერღვია და საქართველოს ნაკრები ბოლოს და ბოლოს დაგვემარცხებინა. არ გამოგვივიდა, თუმცა ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩვენი მოწინააღმდეგე მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა. საერთო ჯამში კმაყოფილნი ვართ, რადგან ჩვენი გუნდის თამაშში, განსაკუთრებით კი შერკინებაში, პროგრესი დავინახეთ,"* - ეს კი ნამატჩევს რუსეთის ნაკრების თავკაცმა **ნიკოლაი ნერუშმა** განაცხადა.

თბილისში დაბრუნებულ საქართველოს ნაკრებს აეროპორტში ქომაგები და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელები დახვდნენ. გულშემატკივრობა „ბორჯღალოსნებს" არც თამაშისას აკლდათ. იქაურმა ქართველებმა მრავლად მოიყარეს თავი და მორაგბეებს გულმხურვალედ ქომაგობდნენ.

**მამუკა გორგოძე:** *„ძალიან რთული თამაში იყო. რუსები ბოლომდე თავდადებით იბრძოდნენ. ვფიქრობ, სწორედ ასეთ დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება უფრო ფასეულია. ძალიან გაგვახარა იმ ფაქტმა, რომ საქომაგოდ ბევრი ადგილობრივი ქართველი მოვიდა."*

მერაბ კვირიკაშვილი: *„ძალიან ბედნიერები ვართ, რომ ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ გავახარეთ. მეტოქე ურთულეს ბრძოლაში დავამარცხეთ. ვეცდებით, არც მომავალში გავანბილოთ ქომაგებსი."*

საქართველოს ნაკრები რუსეთთან მეცამეტედ გამარჯვების შემდეგ ივნისის ბოლოს შეიკრიბება და ახალ ზელანდიაში გასამართი მსოფლიო თასისთვის მზადებას დაიწყებს.

**რუმინეთი-ესპანეთი 64:8**

რუმინეთი: 15. იულიან დუმიტრაში, 14. მადალინ ლემნარუ, 13. ჩაბა გალი, 12. იონუც დიმოფტე, 11. კატალინ ფერკუ, 10. დანუც დუმბრავა, 9. ფლორინ სურუჯუ. 1. ნიკოლაე ნერე, 2. ბოგდან ზებეგა, 3. მიჰაი ლაზარი, 4. კრისტიან პეტრე, 5. ვალენტინ ურსაკე, 6. დანიელ კარპო, 7. იანუს დანიელი, 8. ტრაიან პლოტში.

16. ანდრეი რადოი, 17. დრაგოშ დიმა, 18. ვალენტინ პოპირლანი, 19. ვიორელ ლუკაჩი, 20. ვილი კალაფეტეანუ, 21. ფლორინ ვლაიკუ, 22. იონელ კაზანი.

9ლ: კალაფეტეანუ (2), დუმიტრაში (2), ფერკუ, გალი, იანუში, ურსაკე, ლემნარუ. 8: დუმბრავა, ვლაიკუ. ს: დუმბრავა.

ესპანეთი: 15. რემი დელგადო, 14. ლადი ბრისი, 13. იგნასიო გუტიერესი, 12. ბრუნო ანგულო, 11. ბატისტ სანჩესი, 10. ანდონი ხორახურია, 9. ადრიენ აიესტერანი. 1. ხესუს მორენა, 2. ფაბიენ როფსი, 3. მატინ ოზქუი, 4. სერხიო სოუტო, 5. ხესუს რეკუერდა, 6. მატიო როსა, 7. მარტინ ასენა, 8. ჟულიენ ტორტულუ.

16. ხუან გონსალესი, 17. როდრიგო მარტინესი, 18. ანიბალ ბონანი, 19. მეთ კუკი, 20. სებასტიან რუე, 21. როდრიგო მარტინესი, 22. ედუარდ სორბსი.

ლ: დელგადო. ს:ხორახურია

**პორტუგალია-უკრაინა 46:24**

პორტუგალია: 15. პედრო ლეალი, 14. ადერიტო ეშტევეში, 13. პედრო სილვა, 12. კარლ მურეი, 11. ანტონიო აგილარი, 10. ჯოზეფ გარდნერი, 9. ჟოზე პინტუ. 1. ჟუან მურე, 2. ლიონელ კამპერნე, 3. კრისტიან სპაშუკი, 4. ჟუან სევერინო, 5. გონსალო უვა, 6. ჟაკ ლე რუ, 7. ჟულიენ ბარდი, 8. ვასკო უვა.

16. ბერნარდო დუარტე, 17. ანტონი ალვეში, 18. რუი დორეი, 19. ფერნანდო ალმეიდა, 20. პედრო კაბრალი, 21. ბერნარდო სილვეირა, 22. ფრანსისკო სერა.

7ლ: აგილარი, ლე რუ, ბარდი, ეშტევეში, ლეალი, ალვეში, სილვა. 4გ: გარდნერი (2), კაბრალი (2). ს: გარდნერი

უკრაინა: 15. ვიაჩესლავ პონომარენკო, 14. მაქსიმ კრავჩენკო, 13. პავლო მასიუკოვი, 12. სერგი გარკავი, 11. ოლეგ კოსარევი, 10. სერგიი ცერკოვნი, 9. ზურაბ კიკაჩეიშვილი. 1. სერგიი სუხიხი, 2. მიკოლა კირსანოვი, 3. ივან ზალიზნიაკი, 4. ოლექსანდრ ლომაკინი, 5. ვიაჩესლავ კრასილნიკი, 6. ოლექსანდრ ცაპენკო, 7. ვიტალი ორლოვი, 8. ჯაბა მალაღურაძე.

16. ევგენი ჩაიკა, 17. ედუარდ ვერტილეცკი, 18. რუსლან რადჩუკი, 19. ოლექსანდრ მიშინოვი, 20. ოლექსი ნოვოკრესჩენოვი, 21. სერგიი მონასტირიოვი, 22. დენის მასიუკოვი.

ლ: კირსანოვი, მალაღურაძე, მიშინოვი. 3გ,ს: კოსარევი,

**ბესიკ ჯანგავაძე**


უკომენტაროდ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საქართველო | 5 | 5 | 0 | 0 | +133 | 22 |
| 2.პორტუგალია | 5 | 3 | 0 | 2 | +15 | 13 |
| 3.რუმინეთი | 4 | 2 | 0 | 2 | +72 | 11 |
| 4.რუსეთი | 5 | 2 | 0 | 3 | +2 | 11 |
| 5.ესპანეთი | 5 | 2 | 0 | 3 | -83 | 10 |
| 6.უკრაინა | 4 | 0 | 0 | 4 | -139 | 0 |


თედო ზიბზიბაძე (ბურთით), უკანა პლანზე ბესიკ ხამაშურიძე


კიდევ ერთი ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ



თამუნა ყულიჯანაშვილის ფოტოები (www.msy.gov.ge)

**საქართველო-რუსეთი, ყველა მატჩი**

| მატჩის ტიპი | თარიღი | ადგილი | ანგარიში |
|---|---|---|---|
| 1. RWC საკვალიფიკაციო | 25 მაისი, 1993 | სოპოტი, პოლონეთი | 9:15 |
| 2. FIRA-AER - ტურნირი | 20 ოქტომ. 1996 | თბილისი, საქართველო | 29:20 |
| 3. RWC საკვალიფიკაციო | 20 მაისი, 1998 | თბილისი, საქართველო | 12:6 |
| 4. ევროპის ერთა თასი | 4 მარტი, 2001 | კრასნოდარი, რუსეთი | 25:23 |
| 5. ევროპის ერთა თასი | 3 მარტი, 2002 | თბილისი, საქართველო | 12:12 |
| 6. RWC საკვალიფიკაციო | 13 ოქტომ. 2002 | თბილისი, საქართველო | 17:13 |
| 7. ევროპის ერთა თასი | 8 მარტი, 2003 | კრასნოდარი, რუსეთი | 23:17 |
| 8. ევროპის ერთა თასი | 6 მარტი, 2004 | თბილისი, საქართველო | 9:3 |
| 9. ევროპის ერთა თასი | 20 ნოემბერი, 2004 | კრასნოდარი, რუსეთი | 27:15 |
| 10. ევროპის ერთა თასი | 4 თებერ., 2006 | თბილისი, საქართველო | 46:19 |
| 11. ევროპის ერთა თასი | 24 მარტი, 2007 | თბილისი, საქართველო | 31:12 |
| 12. ევროპის ერთა თასი | 12 აპრილი, 2008 | კრასნოიარსკი, რუსეთი | 18:12 |
| 13. ევროპის ერთა თასი | 22 მარტი, 2009 | მარიუპოლი, უკრაინა | 29:21 |
| 14. ევროპის ერთა თასი | 20 მარტი, 2010 | ტრაპიზონი, თურქეთი | 36:8 |
| 15. ევროპის ერთა თასი | 19 მარტი, 2011 | სოჭი, რუსეთი | 15:9 |

## ქართული სპორტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ბატუტზე ხტომა

# სეზონს ეროვნული ჩემპიონატით გახსნიან



რუსუდან ხოფერია (მარცხნივ) და ლუბა გოლოვინა

წლეულს ნოემბერში ბირმინგემში (ინგლისი) ბატუტზე მხტომელთა სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართება. ამ შეჯიბრებისთვის მონდომებით ემზადებიან პეკინის ოლიმპიადის მეექვსეადგილოსანი **ლუბა გოლოვინა** და საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი **თენგიზ კოშკაძე**. ახალ სეზონში პირველი შეჯიბრება, რომელშიც ისინი მოსინჯავენ ძალებს, საქართველოს ჩემპიონატია. 24-25 მარტს იგი თბილისში გაიმართება და მედლებისთვის სპორტის ოსტატის, ოსტატობის კანდიდატისა და პირველი თანრიგის პროგრამით ყველა საუკეთესო სპორტსმენი იასპარეზებს.

- განსაკუთრებით გოლოვინას და კოშკაძის მომზადების ამჟამინდელი დონე გვაინტერესებს, - გვითხრა ტანვარჯიშულ სახეობათა ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა, საერთაშორისო კატეგორიის არბიტრმა **რუსუდან ხოფერიამ**. – წლეულს ორივე სპორტსმენს ვარჯიშები გავურთულეთ. თუ უწინ ლუბას ვარჯიშების სირთულის კოეფიციენტი 13,4-ს არ აღემატებოდა,ახლა 14,2-მდე, ხოლო თენგიზისა – 16,2-დან 16,6-მდე გავზარდეთ. მათი სტაბილურად შესრულება სასურველ შედეგს მოგვცემს. 9 აპრილს ჩვენი სპორტსმენები ნაკრების მთავარ მწვრთნელ ზაურ სულაშვილთან და მწვრთნელ ვლადიმირ გოლოვინთან ერთად ვარნას ეწვევიან, 5-დღიან საწვრთნელ შეკრებას გაივლიან და 14-18 აპრილს იქვე იასპარეზებენ მსოფლიოს თასის პირველ ეტაპზე, სადაც მსაჯად ვარ მიწვეული. მეორე სათასო შეჯიბრება 25-29 მაისს გაიმართება. მსგავსი ასპარეზობები ზაფხულში ჩინეთსა და იაპონიაში იყო დაგეგმილი, მაგრამ ამომავალი მზის ქვეყანაში მომხდარი ტრაგედიის გამო, ალბათ, ამ ტურნირების ჩატარების ადგილი და ვადები შეიცვლება. აგვისტოს მიწურულსა და სექტემბერში მსოფლიოს თასებს ჩეხეთი, გერმანია და დანია უმასპინძლებენ.

ერთი საერთაშორისო ტურნირის მოწყობას ჩვენც ვაპირებთ ბათუმში. ჩამოსვლის დიდი სურვილი აქვთ ბერძნებს, ბულგარელებს, გერმანელებს, ასევე, სხვა ქვეყნების წარმომადგენლებს. სპორტის სამინისტრო ახალი ბატუტების შეძენას დაგვპირდა. აჭარის მესვეურებიც თუ დაგვიდგებიან გვერდით, ჩანაფიქრსაც განვახორციელებთ. ეს ჩვენს სპორტსმენებს დაოსტატებაში აუცილებლად დაეხმარება. ლონდონის 2012 წლის ოლიმპიადის ორი საგზურის მოპოვება გვაქვს განზრახული. სათანადო თანადგომის შემთხვევაში, შესაძლოა, ოცნება რეალობად იქცეს.

**ვაჟა დანელია**

● ჩოგბურთი

# ქვაცაბაიას პოლონური ბარიერი

## არც თამაში, აღარც ქცევა?



ფრანგული ამიენის საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი დოლარი) მეორე ეტაპი ერთმა ქართველმა გადალახა - VI ნომრად განთესილმა **სოფიო ქვაცაბაიამ** (415) ჩეხ **ლუსი კრიეგშმანოვას** (477) აჯობა - 6:1, 6:4. აი, მე-2 ნომრად განთესილმა **სოფიო შაფათავამ** (279) კი მოულოდნელად იტალიელ **ნასტასია ბურნეტთან** (660) წააგო - 2:6, 7:5, 4:6. კი დავწერეთ, მოულოდნელადო, მაგრამ, უკვე კარგა ხანია, რაც 22 წლის ქართველი სუსტად ასპარეზობს და, თუ ასე გააგრძელა, რეიტინგში შედარებით მაღალ ადგილს მალე გაანიავებს. ბოლო ხეირიანი ტურნირი, რომელიც შაფათავამ ჩაატარა, ოქტომბრით არის დათარიღებული, როცა ხარკოვის 25-ათასიანში მან თანამემამულე **ოქსანა კალაშნიკოვასთან** (188) წააგო ნახევარფინალი. საქმე იქამდეც მივიდა, რომ შაფათავა 10-ათასიანი (ანუ ყველაზე დაბალი რანგის) ტურნირებს პირველ-მეორე წრეებში ემშვიდობება. მეოთხედფინალში ქვაცაბაიას მეტოქე თავისივე მეწყვილე, ხორვატი **მარია აბრამოვიჩი** (628) იყო. ჩვენებურმა ორ სეტში 6:4, 6:3 იმარჯვა. ასე გავიდა 22 წლის ქართველი ამიენის ტურნირის ნახევარფინალში, სადაც მას მე-7 ნომრად განთესილი პოლონელი **პაულა კანია** (421) შეხვდა. დაძაბული შეხვედრა 18 წლის პოლონელის გამარჯვებით დასრულდა და ფინალშიც ის გავიდა - 4:6, 6:3, 7:6 (6). ქვაცაბაიამ ამიენში 6 სარეიტინგო ქულა დაიბევა.

წყვილთა თანრიგში შაფათავას და **თათია მიქაძის** (285) მე-3 ნომრად განთესილი წყვილი ნახევარფინალში ჩეხებთან (**გერლოვა, კრიეგშმანოვა**) დამარცხდა - 2:6, 3:6. მეორე ნახევარფინალში კი ქვაცაბაია და აბრამოვიჩი - მე-4 ნომრად განთესილ პოლონელებთან (**კანია, სობასკიევიჩი**) - 5:7, 6:4, 5:10.

ქართველები საფრანგეთში ქალაქს გამოიცვლიან და ამიენიდან გონესში გადავლენ, თუმცა იქაურ საერთაშორისო ტურნირში არ იქნება **თათია მიქაძე** (285), მხოლოდ შაფათავა და ქვაცაბაია იასპარეზებენ.

თურქულ ანთალიაში მიჯრით რამდენიმე 10-ათასიანი ტურნირი იმართება. ახალში სამი ურეიტინგო ქართველი ჩაერთო: **თამარ ცხაკაია** (16 წლის), **ანი გოგვაძე** (15 წლის) და **ბარბარე ერისთავი** (15 წლის). სამივე მათგანი მე-2 საკვალიფიკაციო ბადიდან ჩაება ასპარეზობაში, მაგრამ სამივე დამარცხდა. ცხაკაია რუმინელ **ენაჩესთან** - 0:6, 1:6, გოგვაძე - სერბ **სუნკიჩთან** - 0:6, 1:6 და ერისთავი - ბრაზილიელ **გარსიასთან** - 1:6, 0:6. როგორც ხედავთ, საიმედო არაფერი ჩანს, გოგონებმა თითო გეიმის მოგება ძლივს შეძლეს, არადა მათი მეტოქეები ათასეულის არიერგარდში იმყოფებიან. ძირითად ბადეში **ეკა გორგოძე** (552) ითამაშებს. არ შეიძლება გვერდი ავუაროთ თემას, რომელიც ბულგარულ წყაროებსა და საჩოგბურთო ფორუმზე ამოვიკითხეთ. წინა კვირაში ეკა გორგოძე ბულგარელ **დია ევტიმოვასთან** მატჩში მერვედფინალში დამარცხდა. 19 წლის პერსპექტიული ჩოგბურთელისთვის ვერაფერი საამაყოა 10-ათასიანი ტურნირის მეორე წრეში მარცხი, მაგრამ თავი დავანებოთ შედეგს, კორტზე მოქცევასაც ხომ აქვს მნიშვნელობა. გორგოძის შემთხვევაში კი მსგავსი რამ პირველად არ დაუწერიათ - ევტიმოვასთან მატჩში ქართველს პირველ სეტში სამი ჩოგანი დაულეწია, ერთხელ კი ევტიმოვას მამისთვის რუსულად შეურაცხყოფაც მიუყენებია, რისთვისაც თამაშის არბიტრს დაუსჯია.

**ოქსანა კალაშნიკოვა** (188) ჩინეთის ქალაქ კუნმინში 25-ათასიან ტურნირში იასპარეზებს, სადაც ის ძირითად ბადეშია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ეტლების ენდშპილი

ე. ვიკი, 1917



1.ეf6 c4 2.ეh6+ მფg2 3.ეxc6 dxc6
4.g6 c3 5.g7 c2 6.g8ლ+ 1:0

● კალათბურთი. სუპერლიგა. XVIII ტური

# ფავორიტი? არა, ფავსამიტი!

მიმდინარე სეზონის დასაწყისში გუნდების დახარისხებისას ორ ფავორიტს გამოვყოფდით - შსს-ს და „არმიას". დღეს ორი კი არა, სამი ფავორიტია - ძალოვნების ორ გუნდს თსუ შეუერთდა: სტუდენტები იანვრის შემდეგ თამაშს თამაშზე იგებენ და მათი სუპერლიგის ფინალში ხილვა გასაკვირი ნამდვილად არ იქნება.

შაბათს სპორტის სასახლეში სამმა ფავორიტმა ითამაშა და ეს სტატუსი ბოლომდე გაამართლა. თსუ-მ „ბათუმს" 20 ქულის სხვაობით სძლია, „არმიამ" „სამედიცინოს" 27-ქულიანი სხვაობით, ხოლო შსს-მ „აგრარულს" 17-ქულიანით. მოკლედ, 19 მარტს ყველა მატჩში, მეოთხე პერიოდს ფორმალური სახე ჰქონდა. თუმცა, მე-18 ტურში თანაბარი მატჩებიც იყო - 18 მარტს გამართულ ორივე შეხვედრაში მინიმალური სხვაობა დაფიქსირდა: „ქუთაისმა" „სოხუმს" 82:81 სძლია, ხოლო „ენერჯიმ" „დინამოსთან" შინ 72:73 დათმო. შესაბამისად ტურის მწვრთნელი „დინამოს" თავკაცი **დავით თორთლაძე** გახდა, ხოლო საუკეთესო კალათბურთელი **გიგი ბარბაქაძე** (ქუთაისი), რომელმაც „სოხუმის" დამარცხებაში დიდი წვლილი შეიტანა: 25 ქულა, 9 მოხსნა, 1 პასი, 1 დაფარება, 3 ჩაჭრა. გიგის გარდა სიმბოლურ ნაკრებში მოხვდნენ **ბუბა კვიმსაძე** (15 ქულა, 10 პასი, 5 მოხსნა), **გივი ბაქრაძე** (12 ქულა, 9 პასი, 3 ჩაჭრა, 4 მოხსნა), **მიხეილ ბერიშვილი** (27 ქულა, 9 მოხსნა, 4 პასი, 5 ჩაჭრა) და **რიჩარდ დამუსი** (21 ქულა, 8 მოხსნა, 4 დაფარება, 3 ჩაჭრა).

19 მარტი, თბილისი

| | |
|---|---|
| თსუ | 104 |
| ბათუმი | 84 |

28:22, 21:19, 32:10, 23:33

**თსუ:** კოხრეიძე (7ქ, 3პ), გაფრინდაშვილი (6ქ, 9პ), ფანჩულიძე (24ქ), მ. ბერიშვილი (27ქ, 9მ, 4პ, 5ჩ), ლონდარიძე (14ქ, 5მ), ხიზანიშვილი (7ქ), კორკოტაძე (11ქ, 9მ), ჩიტაშვილი (7ქ, 7პ), დეკანოიძე (1ქ), ზ. მაისურაძე, ჩქარეული.

**ბათუმი:** ნინუა (3ქ), ელიაშვილი (14ქ, 6მ), ნ. ჩხატარაშვილი (3ქ, 4პ, 2დ), შანიძე (13ქ), კეშელავა (21ქ), რამიშვილი (2ქ, 6პ), ა. ჩხატარაშვილი (4ქ), ელიაძე (3ქ), ყველაშვილი (21ქ, 11მ).

**მსაჯები:** ხ. გაბედავა, დ. ბერეკაშვილი

**კომისარი:** თ. ქიქოძე

### 5 სამქულიანი

მე-17 ტურში თსუ-მ „არმიას" სძლია, ხოლო მე-19-ში შსს-ს დაუპირისპირდება. შუალედში სტუდენტებს შედარებით მსუბუქი მატჩი ჰქონდათ - „ბათუმს" დაუპირისპირდნენ. პირველი წრის შემდეგ ზღვისპირელები **ნიკა ჩხატარაშვილითა** და **დუდა სანაძით** გაძლიერდნენ. მათ თსუ-ს ღირებული წინააღმდეგობა გაუწიეს, ბევრით არც მოხსნებში ჩამორჩნენ, არც ორქულიანებში და არც საჯარიმოებში. მხოლოდ 5-ით ნაკლები სამქულიანი ჩააგდეს, რაც საბოლოოდ გადამწყვეტი აღმოჩნდა - 5 სამქულიანი ხომ 15 ქულაა. თსუ-მ კი 20-ქულიანი სხვაობით იმარჯვა.

მატჩის ბომბარდირი მიხეილ ბერიშვილი გახდა, 27 ქულა ჩააგდო, ხოლო პერიმეტრიდან **მიხელ ფანჩულიძე** გამოირჩა - 9-დან 5 სამიანი.

19 მარტი, თბილისი

| | |
|---|---|
| არმია | 80 |
| სამედიცინო | 53 |

25:16, 13:14, 23:8, 19:15

**არმია:** ბაქრაძე (12ქ, 9პ, 3ჩ), ტულუში (10ქ, 11მ), ბოისა (17ქ, 4პ), მინაშვილი (11ქ, 6მ), შარაბიძე (15ქ, 8მ), ბაბიაშვილი (2ქ), პირველაშვილი (3ქ), მოსეშვილი (2ქ), ათანელიშვილი (4ქ), ათუაშვილი (4ქ), საყვარელიძე (4პ), ბ. ბერიშვილი.

**სამედიცინო:** როჯერსი (10ქ, 7მ, 6პ), გულისაბედაშვილი, ჭოჭუა (3ქ), ბექაური (5ქ), დვალიშვილი (19ქ, 8მ, 5დ), ჩაჩიბაია (9ქ), ს. ლეჟავა, თავართქილაძე (3ქ, 3ჩ, 3პ), გაბისონია, ნინიაშვილი (4ქ), კეიდია, ფაიქრიძე.

**მსაჯები:** ზ. მაჩალაძე, დ. ბერეკაშვილი

**კომისარი:** მ. რატიშვილი

### სახეცვლილი ხუთეული და 5 დაფარება

თსუ-სთან წაგებული მატჩის შემდეგ „არმიას" თავკაცმა **ლევან მოსეშვილმა** ხუთეულში სერიოზული ცვლილებები განახორციელა - გამთამაშებლობა ახალგაზრდა გივი ბაქრაძეს დაავალა, მძიმე ფორვარდად **ვახტანგ მინაშვილი** გაამწესა, ხოლო ცენტრად ასევე ახალგაზრდა **გიორგი შარაბიძე**.

საინტერესოა, რომ მეორე წრეში მინაშვილს მანამდე მხოლოდ ორი მატჩი ჰქონდა ჩატარებული (სულ 13 წუთი). ფობიმ (ვახოს მეტსახელი) დაამტკიცა, რომ საიმედო მოთამაშეა - პირველ ტაიმში „არმიას" 25:11 დაწინაურება გარკვეულწილად მისი დამსახურებაც იყო. თუმცა შეიძლება იმის ვარაუდიც, რომ გამოცდილი ლევან მოსეშვილი მინაშვილს საიდუმლო იარაღად გადამწყვეტი მატჩებისთვის ინახავდა.

ასევე გაამართლეს ბაქრაძემ და შარაბიძემ. ისინი **კოტე ტულუშისა** და **ანატოლი ბოისას** გვერდით მეტად თავდაჯერებულები თამაშობდნენ. ტულუშმა და ბოისამ კი, როგორც ყოველთვის, მეტად ნაყოფიერად იშრომეს და „სამედიცინოს" უკანახაზელებს შანსი არ დაუტოვეს.

მედიკოსთა რიგებში 10-ქულიან ზღვარს მხოლოდ **ჯეფ როჯერსი** და **აკაკი დვალიშვილი** ასცდნენ. აკაკიმ 19 ქულა, 8 მოხსნა და 5 დაფარება მიითვალა. ხაზგასასმელი სწორედ 5 „ბლოკ-შოტია" - ამდენი დაფარება აქვთ რეკორდსმენებს (ერთი მატჩის მიხედვით) ანატოლი ბოისასა და **ვასილ ბერუაშვილს**.

19 მარტი, თბილისი

| | |
|---|---|
| აგრარული | 68 |
| შსს | 58 |

13:23, 13:24, 21:19, 21:19

**აგრარული:** სიგუა (2ქ), არნივიძე (10ქ, 4პ), ჩაჩანიძე (5ქ, 5მ), ნანიტაშვილი, მუმლაძე (9ქ, 5მ), ტეტელაშვილი (2ქ), ბააკაშვილი (7ქ), ხანიაშვილი (20ქ, 3პ), გემაზაშვილი (8ქ, 8მ), ჯავახიშვილი (5ქ).

**შსს:** კოტონი (17ქ, 3პ), ბ. ლეჟავა (6ქ), წივწივაძე (5ქ, 8პ), დ. ბარბაქაძე (12ქ), ტუჯანი (5ქ, 16მ, 3პ, 4ჩ), ლაფანაშვილი (3ქ), ნიკოლაძე (7ქ), ი. ბერიშვილი (15ქ, 4პ, 3ჩ), მარკოიშვილი (4ქ), შერმადინი (2ქ), ტომარაძე (7ქ), სუხიშვილი (2ქ).

**მსაჯები:** გ. მიქელაძე, მ. ანდღულაძე

**კომისარი:** მ. რატიშვილი

### 26 მარტის მოლოდინში

თსუ-სთან მომავალი მატჩის წინ შსს-საც კარგი სპარინგპარტნიორი ჰყავდა. ახალგაზრდა „აგრარებმა" ძალოვნებს ღირებული წინააღმდეგობა გაუწიეს და რამდენიმე ეფექტური მომენტითაც დაგვამახსოვრეს თავი. მათ შორის იყო **დავით არნივიძის** ლამაზი პასი, რასაც საპასუხო შეტევაში **ბექა წივწივაძემ** მშვენიერი გადაცემით უპასუხა და მაყურებელთა აპლოდისმენტებიც დაიმსახურა.

პირველი ტაიმის შემდეგ შსს 47:26-ს იგებდა. როგორც გამოცდილ გუნდებს სჩვევიათ, მეორე ტაიმში მიღწეულის შენარჩუნება არ გასჭირვებია.

დაველოდოთ 26 მარტს, 14 საათზე შსს თსუ-ს ეთამაშება, 21 საათზე საქართველოს საფეხბურთო ნაკრები - ხორვატიისას.

| გუნდი | თ | მ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. თსუ | 17 | 14 | 3 | 1582/1366 | 31 |
| 2. არმია | 16 | 14 | 2 | 1380/1102 | 30 |
| 3. შსს | 16 | 12 | 4 | 1405/1204 | 28 |
| 4. ქუთაისი | 16 | 12 | 4 | 1304/1150 | 28 |
| 5. სოხუმი | 17 | 10 | 7 | 1376/1289 | 27 |
| 6. ენერჯი | 16 | 7 | 9 | 1132/1201 | 23 |
| 7. სამედიცინო | 16 | 5 | 11 | 1157/1184 | 21 |
| 8. სტუ | 16 | 5 | 11 | 1286/1371 | 21 |
| 9. ბათუმი | 16 | 5 | 11 | 1245/1339 | 21 |
| 10. აგრარული | 17 | 4 | 13 | 1198/1392 | 21 |
| 11. დინამო | 17 | 2 | 15 | 1172/1639 | 19 |

**ვაჟა სიმონიშვილი**



## ქართული სპორტი

### თავისუფალი ჭიდაობა. მსოფლიოს თასი

# სამარცხვინო გამოსვლა

მახაჩყალაში დასრულებულ „თავისუფლად“ მოჭიდავეთა მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრებმა ქვეჯგუფში ყველა მატჩი დათმო, მხოლოდ ბულგარელთა ძლევა მოახერხა და ბოლოსწინა ადგილი დაიკავა. ჩვენებმა პირველი სამი შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით - 2:5 წააგეს აზერბაიჯანთან, ირანთან და კუბასთან. ამ შეხვედრებში **დავით ქერაშვილმა** (96) და **გიორგი საკანდელიძემ** (120) მხოლოდ ირანელებთან წაიფორხილეს, დანარჩენი ორი კი მოიგეს. ირანელებთან **გელა სალირაშვილმა** (74) და **ბექა ჭელიძემ** (84) იმარჯვეს.

ქვეჯგუფის ბოლო შეხვედრაში ჩვენებს შეეძლოთ, პირველი გამარჯვებაც ეზეიმათ ყაზახეთ-უნგრეთის გაერთიანებულ გუნდთან, მაგრამ 3:4 დამარცხდნენ და მეხუთეზე გავიდნენ. ამ პაექრობაში დასანანი მარცხი იწვნია ჭელიძემ, თუმცა ქერაშვილმა უნგრელი **გერეგელი კისი** დაჯაბნა და ანგარიში გაათანაბრა - 3:3. ყველაფერი მძიმეწონოსანთა შეხვედრას უნდა გადაეწყვიტა საკანდელიძესა და უნგრელ **დანიელ ლიგეტის** შორის. ჩვენებური პირველი პერიოდის დამთავრებამდე 10 წამით ადრე 4:3 იგებდა, მაგრამ ქულა დაკარგა და პერიოდიც უნგრელმა მოიგო. ვფიქრობთ, საკანდელიძეს ეს უფრო გამოუცდელობით მოუვიდა - ალბათ, აჯობებდა, უფრო დროის გაყვანაზე ემუშავა და იერიშში არ გაჰყოლოდა. ასეა თუ ისე, მან შეცდომები მეორე პერიოდში გაითვალისწინა და 3:1 დამაჯერებლად იმარჯვა. ჩვენებური საგრძნობ უპირატესობას ფლობდა დამატებითშიც და კვლავ დაწინაურდა, მაგრამ ისევ ბოლო წამების დრამა, ისევ ცოტათი სიჩქარე და უნგრელმა ამჯერადაც გამთანაბრებელი ქულა მოიპოვა, ეს კი ბოლო ქულის წესის გამო გამარჯვებასაც უდრიდა. ასე სამწუხაროდ წააგეს ჩვენებმა ეს შეხვედრა - 3:4, თუმცა მისი მოგებაც ცოტაოდენი პატივმოყვარეობის დაკმაყოფილების მეტს არაფერს გვარგებდა - ქვეჯგუფში მეოთხეზე გავიდოდით და VII-VIII ადგილისთვის ვიჭიდავებდით, თუმცა ეგ მეასეხარისხოვანია იმასთან შედარებით, რაც საკანდელიძესა და ლიგეტის შორის ზუსტად იმ ავბედით ბოლო წამზე მოხდა - ლეიბზე გულაღმა გადაგორებულ ჩვენებურს უნგრელი თავზე დაადგა და გამარჯვების ყიჟინა ჩასძახა! აქ ერთი ისტორიაც გავიხსენოთ მოსკოვში გამართული მსოფლიოს შარშანდელი პირველობიდან - მაშინ ლიგეტის **ლევან ბერიანიძემ** ბრინჯაოს მედლისთვის შეხვედრაში მოუგო და დაახლოებით ასეთივე ყიჟინა დასცა, ოღონდ მაშინ ბერიანიძემ სიხარულისგან უბრალოდ დაიყვირა - ასე სხვა შეხვედრაშიც მოიქცა, ლიგეტის ახლანდელი ჟესტი კი აშკარად პროვოკაციული იყო - რამდენიმე ნაბიჯი გადადგა საკანდელიძისკენ, დაიხარა და ისე დაუყვირა. ისედაც გამწარებულმა ჩვენებურმა, ყვირილი მასე არ უნდაო, წამში წამოუხტა ფეხზე და გინებ-გინებითა და წიხლის კვრით გამოენთო მწვრთნელის კუთხისკენ გაქცეულ უნგრელს. ქართველის დაოკება არც ამის შემდეგ გამოდგა იოლი, ჩვენს მწვრთნელებთან წესისამებრ მისულ ლიგეტის კი ახალგაზრდა მწვრთნელებიც შეეკამათნენ.

სამწუხაროდ, ეს ჩხუბი ჩვენებურთათვის ბოლო არ გამოდგა და ანალოგიური უსიამოვნო ფაქტი ბულგარელებთან შერკინებაშიც ვიხილეთ. ჩვენი არ იყოს, თავის ქვეჯგუფში ბულგარელებიც ბოლო ადგილზე გავიდნენ და ერთმანეთში IX-X ადგილისთვის იჭიდავეს. როგორც იქნა, ჩვენებმა ამ არაფრის მომცემი შეხვედრის მოგება შეძლეს - 6:1, თუმცა ის ერთი ორთაბრძოლაც აბსოლუტურად გაუმართლებელი ჩხუბისა და დისკვალიფიკაციის გამო წავაგეთ. ამჯერად მოვლენათა ეპიცენტრში სალირაშვილი აღმოჩნდა - პირველ პერიოდში **თეოდორ სტოევს** 4:0-ს უგებდა, როცა მეტოქეს ფეხი ჩაარტყა, რისთვისაც მსაჯმა დაუყოვნებლივ მოხსნა შეჯიბრებიდან. სალირაშვილმა ის ქულები იმდენად თავისუფლად მოიპოვა, იმდენად აღემატებოდა ბულგარელს, წაგების არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა და მისი გაცხარება სრულიად გაუგებარია. ამ დროს ჩვენები უკვე 3:0-ს იგებდნენ - თავიანთ შეხვედრებში იმარჯვეს **ბესარიონ გოჩაშვილმა** (55), **მალხაზ ქურდიანმა** (60) და **შალვა მუზიაშვილმა** (66), რომელმაც წინა დღეს პირველივე შეხვედრაში ნეკნი იტკინა და ასპარეზობა ველარ გააგრძელა. დარჩენილ ორთაბრძოლებში ჭელიძემ, ქერაშვილმა და საკანდელიძემ იმარჯვეს.

ამდენად, ჩვენებმა მსოფლიოს თასზე მხოლოდ ის შეძლეს, რომ ბოლო ადგილს დააღწიეს თავი და IX-ზე გავიდნენ. არადა, მწვრთნელები სამეულში მოხვედრას გეგმავდნენ...

**ირაკლი თავაძე**

*გაგრძელება იხ. „ლელოს“ მომდევნო ნომერში*

### თბილისი 2015

# სემინარი სოკ-ის ეგიდით

საქართველოს ოლიმპიური კომიტეტისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტის ფაკულტეტის თანადგომით საქართველოს ოლიმპიურმა აკადემიამ ამ დღეებში საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ) ეგიდით სემინარი ჩაატარა თემაზე „სპორტული ღონისძიებების მენეჯმენტი“, რომლის აქტუალობა დღის წესრიგში დააყენა 2015 წლის ევროპის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის თბილისში ჩატარების გადაწყვეტილებამ.

სემინარი გახსნა და ძირითადი მოხსენებით აუდიტორიის წინაშე წარდგა სეოკ-ის პირველი ვიცე-პრეზიდენტი **რამაზ გოგლიძე.** სემინარის თემატიკის მიხედვით კვალიფიციური და საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ საქართველოს სპორტული მოძრაობის ცნობილი ფუნქციონერები და სპორტში მომუშავე მეცნიერები (**ლელოს კორ.**)

# ვაზუსტებთ!

„ლელოს“ წინა ნომერში გამოქვეყნდა ხელბურთში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მესამე ტურის შედეგების შემაჯამებელი წერილი, რომელშიაც შეჯიბრების დღეებში გუნდების უზრუნველყოფაზეც იყო ნათქვამი. ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი **ზურაბ კაკაბაძე** ამასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ ჩემპიონატის დებულების შესაბამისად, ფედერაცია უზრუნველყოფს დარბაზის იჯარასა და მსაჯების დაფინანსებას, ხოლო მონაწილე გუნდების მგზავრობის, ცხოვრების და კვების ხარჯებს გუნდების მომავლინებლები თავად იხდიან.

## წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ბუსიდო; 4. ბობსლეი; 8. მემორიალი; 9. ბეკი; 11. სტარტი; 12. სოლ; 13. ირინე; 15. ლაბირინთი; 17. შუაკაური; 18. კროლი; 21. რცხილაძე; 23. "ბასტია"; 25. ბენქსი; 26. მაცოლა; 28. ლიოვი; 29. ინიესტა; 30. დიდებულიძე;

**შვეულად:** 1. ბიმონი; 2. სემპაი; 3. დარასელია; 4. ბრიატორე; 5. ბობი; 6. ლაკოსტი; 7. შალამბერიძე; 10. ფლეში; 14. ანდრიანოვი; 16. მაჩხანელი; 17. შარაბიძე; 19. ლიტბარსკი; 20. მახარაძე; 22. ლასლო; 24. შანიძე; 27. დიდი.

## უცხოური ფეხბურთი

### საფრანგეთი. ლიგა 1. XXVIII ტური



# მარსელმა პარიზი რბოლას გამოთიშა

## ზეხუთეული კი ოთხეულად იქცა

ტური ფრანგული "კლასიკით" დასრულდა. მოქმედმა ჩემპიონმა "მარსელმა" პსჟ-ს სძლია და ამ შედეგით დედაქალაქელთა საჩემპიონო ამბიციებს წერტილი დაუსვა. მატჩის პირველი ნახევარი ძალიან ეფექტური და სანახაობრივი გამოდგა და სავარაუდო იყო, რომ შესვენების შემდეგაც საინტერესო ამბები მოხდებოდა, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა და "მარსელმა" საწყის 45 წუთში მოპოვებული უპირატესობა პრაგმატულად შეინარჩუნა. ამით **დიდიე დეშამის** გუნდმა მეორე ადგილზე გადაინაცვლა, ჩემპიონობის პრეტენდენტთა რიცხვი კი ხუთიდან ოთხამდე შემცირდა.

*"რასაკვირველია, ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნამ გული ძალიან დაგვწყვიტა, მაგრამ ვამაყობთ იმით, რომ ევროპას ღირსეული თამაშით დავამახსოვრეთ თავი. წინსვლა და განვითარება არ უნდა შევწყვიტოთ. ჩვენი მიზანი ჩემპიონობის შენარჩუნება და ჩემპიონთა ლიგაში რაც შეიძლება მეტი ეტაპის გადალახვაა. ბედნიერი ვარ, რომ ამ მიზნისკენ დღეს დიდი ნაბიჯი გადავდგით",* - განაცხადა გახარებულმა დეშამმა.

"ლილმა" წინა ტურში მოპოვებული უპირატესობა არ გაანიავა და "ბრესტს" სტუმრად სძლია. მართალია, **რუდი გარსიას** გუნდს დაგეგმილი სამი ქულა იოლად არ მოუპოვებია, მაგრამ "ლილმა" ამჯერადაც ხარისხიანი ფეხბურთი ითამაშა და მდევრებს მიახლოების საშუალება არ მისცა. გუნდის ლიდერებმა, **მუსა სოვმა** და **ჟერვინიომ** გოლებით დაამტკიცეს, რომ კარგ ფორმას ინარჩუნებენ. რაკი სოვის მდევარს, ლორიანელ **გამეიროს** ამჯერად არ გაუტანია, "ლილის" მთავარი მეგოლე საფრანგეთის ჩემპიონატის ბომბარდირთა დავაში კიდევ უფრო კომფორტულად დაწინაურდა.

*"ნამდვილი საჩემპიონო ხასიათი წარმოვაჩინეთ. კარგად ვიცოდი, რომ რთული მატჩი გველოდა და ასეც მოხდა, მეტოქემ ბევრი საფიქრალი გაგვიჩინა. ყველა დაბრკოლების მიუხედავად, რთულ სიტუაციას თავი დამაჯერებლად გავართვით და ოქროს მედლებს მივუახლოვდით. საბოლოო გამარჯვებამდე კი კიდევ რამდენიმე ასეთი გმირობა იქნება საჭირო. ამ ბრძოლაში ჩემი გუნდის დიდი იმედი მაქვს",* - თქვა ნამატჩევს გახარებულმა გარსიამ.

ტურის ერთ-ერთ ცენტრალურ მატჩში "ლიონს" გამარჯვებამდე ბევრი არაფერი უკლდა, მაგრამ ათკაციანმა "რენმა" ბოლოსკენ გაათანაბრა და **კლოდ პიუელის** გუნდს გადასწრების საშუალება არ მისცა. ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნილმა "ლიონმა" კიდევ ერთი მძიმე დარტყმა მიიღო და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ მის წევრებს საფრანგეთის ჩემპიონობის დაბრუნებაზე ოცნება გაისისთვის მოუწევთ.

ელიტაში დასარჩენად მებრძოლმა "მონაკომ" შინ ძალიან დასანანი თამაში წააგო უშუალო კონკურენტ "ნანსისთან", სამაგიეროდ, "ოსერმა", "ვალანსიენმა", "ნიცამ" და "კაენმა" საკუთარ აქტივს ქულები შემატეს. გადარჩენისთვის, ისევე როგორც ჩემპიონობისა და ევროპაში გამსვლელი ადგილებისთვის, დაძაბული და ძნელად პროგნოზირებადი ბრძოლებია მოსალოდნელი. დაბეჯითებით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ "არლი" ქვედა ლიგას დაუბრუნდება. ამ გუნდს უძლიერესთა შორის დარჩენის პრაქტიკული შანსი დიდი ხნის დაკარგული ჰქონდა, სულ მალე კი თეორიულსაც დაკარგავს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

### მომდევნო ტური

2 აპრილი: არლი-მონაკო, ლანსი-მარსელი, ლილი-კაენი, ნანსი-ბორდო, ნიცა-ლიონი, პსჟ-ლორიანი, რენი-ოსერი, სენტ ეტიენი-ვალანსიენი, სოშო-ბრესტი, ტულუზი-მონპელიე.

**ოსერი-სოშო 2:0**

**გოლები:** 1:0 იელენი (18), 2:0 იელენი (64)

**ბრესტი-ლილი 1:2**

**ლილი:** ლანდრო, ბერია, სუარე, რამი, შევჯუ, მავუბა, ობრანიაკი (83. დუმანი), კაბაიე (73. გუეიე), ჰაზარდი, ჟერვინიო, სოვი (85. ტულიო).

**გოლები:** 1:0 ლესომიე (19), 1:1 ჟერვინიო (39), 1:2 სოვი (53)

**ლორიანი-სენტ ეტიენი 0:0**

**მონპელიე-ლანსი 1:4**

**გოლები:** 0:1 აკალე (19), 0:2 მარვო (30. ს.კ.), 0:3 რუდე (33), 1:3 ბოკალი (57)

**ტულუზი-ნიცა 1:1**

**გოლები:** 1:0 სანტანდერი (27), 1:1 ჩეტო (90. ს.კ.)

**ვალანსიენი-ბორდო 2:2**

**გოლები:** 1:0 დანიკი (36), 2:0 დანიკი (59), 2:1 ჟუსი (81), 2:2 სიანი (85)

**ლიონი-რენი 1:1**

**ლიონი:** ლორისი, რევეიერი, სისოხო, დიაკატე, ლოვრენი, პიანიჩი (90. ლაკაზეტი), ტულალანი, ბრიანი (82. პიდი), გურკუფი (82. კალსტრიომი), ლ. ლოპესი, გომისი.

**რენი:** დუშე, დანსი, კატერინი, კანა ბიიკი, მანგანი, მვილა, ტეტეი, ა. კამარა (67. ვერჰოეკი), ლეროი (52. დუმბია), დალმა (86. ბოიე), მონტანო.

**გოლები:** 1:0 გომისი (36), 1:1 კატერინი (87)

**გაძევება:** მონტანო (64. რენი)

**კაენი-არლი 2:0**

**გოლები:** 1:0 მოლო (79), 2:0 ელ არაბი (85)

**მონაკო-ნანსი 0:1**

**გოლი:** 0:1 ლუისი (19)

**მარსელი-პსჟ 2:1**

**მარსელი:** მანდანდა, ფანი, ტაივო, დიავარა, ჰაინცე, მბია, ბენ. შეირუ (89. კაბორე), ვალბუენა (63. ლ. გონსალესი), ა. აეუ, რემი, ჟინიაკი (68. აბრიელი).

**პსჟ:** კუპე, ჟალე, ტიენე, არმანი, სახო, მაკელელე, შანტომი (81. კლემანი), ნენე, ჟიული, ოარო (72. ბაებეკი), ბოდმერი (71. მევლუთი).

**გოლები:** 1:0 ჰაინცე (16), 1:1 შანტომი (27), 2:1 ა. აეუ (35)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ლილი | 28 | 15 | 10 | 3 | 49-27 | 55 |
| 2. მარსელი | 28 | 14 | 9 | 5 | 41-24 | 51 |
| 3. რენი | 28 | 14 | 8 | 6 | 32-21 | 50 |
| 4. ლიონი | 28 | 13 | 10 | 5 | 47-26 | 49 |
| 5. პსჟ | 28 | 12 | 9 | 7 | 42-30 | 45 |
| 6. სენტ ეტიენი | 28 | 10 | 9 | 9 | 35-33 | 39 |
| 7. მონპელიე | 28 | 10 | 9 | 9 | 24-30 | 39 |
| 8. ბორდო | 28 | 9 | 11 | 8 | 37-34 | 38 |
| 9. ლორიანი | 28 | 10 | 8 | 10 | 35-34 | 38 |
| 10. ტულუზი | 28 | 11 | 4 | 13 | 29-30 | 37 |
| 11. სოშო | 28 | 10 | 5 | 13 | 40-35 | 35 |
| 12. ბრესტი | 28 | 9 | 8 | 11 | 28-32 | 35 |
| 13. კაენი | 28 | 9 | 8 | 11 | 31-38 | 35 |
| 14. ნანსი | 28 | 10 | 5 | 13 | 30-41 | 35 |
| 15. ნიცა | 28 | 8 | 10 | 10 | 19-28 | 34 |
| 16. ვალანსიენი | 28 | 7 | 12 | 9 | 33-31 | 33 |
| 17. ოსერი | 28 | 6 | 14 | 8 | 32-34 | 32 |
| 18. მონაკო | 28 | 5 | 14 | 9 | 26-29 | 29 |
| 19. ლანსი | 28 | 6 | 10 | 12 | 28-42 | 28 |
| 20. არლი | 28 | 1 | 9 | 18 | 16-55 | 12 |

### ბელგია

## პრო ლიგა. XXX ტური

**კორტრიიკი-ვარეგემი 2:2**

**გოლები:** 0:1 ენე (14), 0:2 ჰაბიბუ (48), 1:2 მარტინი (50), 2:2 ბოილი (81)

**ანდერლეხტი-გენტი 3:2**

**გოლები:** 0:1 სუმაჰორო (50), 1:1 სუტერი (57), 1:2 ტიისი (64), 2:2 სუტერი (81), 3:2 ლუკაკუ (83)

**სერკლი-გენკი 0:1**

**გოლი:** 0:1 ოგუნჯიმი (67)

**გაძევება:** ბორი (69. გენკი)

**მეხელენი-ეუპენი 2:0**

**გოლები:** 1:0 გორიუსი (52), 2:0 დესტორმი (89)

**ლიერსი-ბრიუგე 0:0**

**სენტ ტრუიდენი-ლოკერენი 0:2**

**გოლები:** 0:1 ტემბე (69), 0:2 ტემბე (90)

**სტანდარდი-ბეერსხოტი 1:0**

**გოლი:** 1:0 ჩიტე (10)

**ვესტერლო-შარლერუა 2:2**

**გოლები:** 1:0 ლილიუ (67), 1:1 ტ. კალონი (69), 1:2 კორდარო (77), 2:2 კორსტიენსი (88)

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ანდერლეხტი | 30 | 19 | 8 | 3 | 58-20 | 65 |
| 2. გენკი | 30 | 19 | 7 | 4 | 64-27 | 64 |
| 3. გენტი | 30 | 17 | 6 | 7 | 59-42 | 57 |
| 4. ბრიუგე | 30 | 16 | 5 | 9 | 60-35 | 53 |
| 5. ლოკერენი | 30 | 13 | 11 | 6 | 43-36 | 50 |
| 6. მეხელენი | 30 | 13 | 9 | 8 | 34-30 | 48 |
| 7. სტანდარდი | 29 | 14 | 4 | 11 | 48-38 | 46 |
| 8. ვესტერლო | 30 | 11 | 8 | 11 | 41-40 | 41 |
| 9. კორტრიიკი | 30 | 11 | 5 | 14 | 36-39 | 38 |
| 10. სერკლი | 29 | 10 | 6 | 13 | 30-34 | 36 |
| 11. ვარეგემი | 30 | 7 | 12 | 11 | 39-41 | 33 |
| 12. სტ. ტრუიდ. | 30 | 8 | 5 | 17 | 20-51 | 29 |
| 13. ბეერსხოტი | 30 | 5 | 11 | 14 | 24-40 | 26 |
| 14. ლიერსი | 30 | 4 | 12 | 14 | 26-58 | 24 |
| 15. ეუპენი | 30 | 5 | 8 | 17 | 28-50 | 23 |
| 16. შარლერუა | 28 | 4 | 7 | 17 | 20-49 | 19 |

**ბომბარდირები:** 17 – ფოსენი (გენკი), 16 – პერიშიჩი (ბრიუგე), 15 – ვარგასი (ბრიუგე).

msy.gov.ge

● იტალია. სერია A — XXX ტური

# ინტერი მილანს კუდზე დააჯდა

## წინ დერბია, თან რა დერბი...

სანამ ამ უქმეებზე დატრიალებულ ამბებზე გადავიდოდეთ, XXIX ტურის პირველი სათამაშო დღე გავიხსენოთ და ის, თუ როგორ დაკარგა ორი ქულა „ბრეშასთან" პაექრობაში „ინტერმა". მეორე დღეს „მილანი" საკუთარ მოედანზე „ბარის" მასპინძლობდა და ყველა ლოგიკით, სამი ქულა უნდა აეღო. ანუ, „როსონერი" შვიდი ქულით გაექცეოდა მთავარ მდევარს, რაც ალბათ გადამწყვეტიც იქნებოდა „სკუდეტოსთვის" ბრძოლაში. ამადაც იყო, რომ „ბრეშასთან" დაკარგული ქულების შემდეგ, „ნერაძურის" არაერთი ქომაგი უიმედობამ მოიცვა და ბევრმა წინასწარაც მიულოცა თანაქალაქელს გაჩემპიონება. აშკარად იჩქარეს, რადგან „მილანმა" „ბარისთან" მხოლოდ ქულა აიღო, ამ უქმეებზე კი სიცილიაში დამარცხდა და „ინტერს" ერთი ფეხის ნაბიჯზე მიახლოების საშუალება მისცა. დიახ, „როსონერი" „პალერმოსთან" დამარცხდა, „ინტერმა" „ლეჩეს" მოუგო და სატურნირო ცხრილში, ამ ორ გუნდს შორის სხვაობა ორ ქულამდე დავიდა. მომდევნო ტურში კი ისეთი მატჩია, აქედანვე რომ უნდა ავიკაპიწოთ ხელები - ერთმანეთის პირისპირ მილანური გრანდები წარდგებიან, თანაც როგორი სატურნირო მდგომარეობით...

„შაბათს" გამართული ორივე შეხვედრა საკმაოდ დიდ ინტერესს იწვევდა. „ლაციომ" „ჩეზენა" მიიღო და მინიმალური ანგარიშით დაამარცხა მეტოქე, რითაც კიდევ ერთხელ დაგვანახვა, რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლას ბოლო ტურებამდე აპირებს. ერთადერთი გოლის ავტორი **მაურო სარატეა**, რომელიც **ედუარდო რეიამ** თავდასხმის წინა ხაზზე გაამწესა. რომაელები მთელი შეხვედრის განმავლობაში ფლობდნენ უპირატესობას და უფრო დიდი ანგარიშითაც შეეძლოთ გამარჯვება.

„მილანი" სამი ქულის ასაღებად ჩავიდა სიცილიაში და უკან ხელმოცარული გაბრუნდა. „პალერმოს" სარეაბილიტაციოდ ჰქონდა საქმე და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ეს გამოუვიდა. რაც მთავარია, გულშემატკივრებმა აპატიეს ფეხბურთელებს „უდინეზესთან" განადგურება და ამაზე ის ტაში მეტყველებს, რომელიც „მილანთან" მოგებული თამაშის შემდეგ ტრიბუნებიდან ისმოდა. ძალიან ემოციურად აღნიშნა გამარჯვება **სერსე კოსმიმ** და ჟურნალისტებს შემდეგი განუცხადა:

*„ბრწყინვალედ ვითამაშეთ და სრულიად დამსახურებულად გავიმარჯვეთ. რომც წაგვეგო, შეგირდების მისამართით სასაყვედურო არაფერი მექნებოდა, რადგან ყველაფერი გააკეთეს, რაც შეეძლოთ და თავი არ დაუზოგავთ. მინდა შევაქო ისინი და ვთქვა, რომ ჩემი ყველა დავალება პირნათლად შეასრულეს. „პალერმოს" მთავარი მწვრთნელის რანგში პირველი ორი შეხვედრა წავაგე, მაგრამ ამისგან ტრაგედია არ შემიქმნია - არსებული ხარვეზები ნათლად დავინახე და შესაბამისი დასკვნები გავაკეთე. „მილანთან" გამარჯვების მოსაპოვებლად მხოლოდ საშემსრულებლო ოსტატობა არ კმარა, თავი უნდა დადო მოედანზე და სწორედ ეს ვიხილეთ ამ შეხვედრაში".*

„პალერმომ" მინიმალური ანგარიშით დაამარცხა მეტოქე, ერთადერთი გოლი კი მცველ **გოიანის** ანგარიშზეა - სტანდარტულის დროს ჩავიდა მეტოქის საჯარიმოში და ისე მოხდა, რომ ხელსაყრელ პოზიციაზე მიუვიდა ბურთი, დიდ ხანს აღარ უფიქრია, დაარტყა და **კრისტიან აბიატი** უშანსოდ დატოვა. აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ ეპიზოდში **მარკ ვან ბომელმა** ითამაშა ძალიან ცუდად - იმის მაგივრად, რომ დასარტყმელად გამზადებული გოიანისთვის შეეშალა ხელი, გაჩერდა და ლაინსმენს თამაშგარე მდგომარეობის დაფიქსირებას სთხოვდა - ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ ოფსაიდი არ იყო და ამაშიც სწორედ დაცვაში ჩარჩენილი ვან ბომელი გახლდათ დამნაშავე. მოკლედ, ჰოლანდიელმა ჩააგდო თამაში და შეცვალეს კიდეც მეორე ნახევარში.

„მილანს" ჰქონდა რამდენიმე კარგი მომენტი, მაგრამ მათ აღწერას აღარ მოვყვებით - მხოლოდ იმაზე გავამახვილებთ თქვენს ყურადღებას, რომ **ალეშანდრე პატომ** მიიღო ტრავმა. ექიმებმა უკვე ჩაუტარეს გამოკვლევა ბრაზილიელს და დაადგინეს, რომ ათი დღით მოუწევს უქმობა. მომდევნო უქმეებზე სანაკრებო ბატალიებია დაგეგმილი და გამომდინარე აქედან, სერია A-ს შემდეგი ტურის მატჩები 2 და 3 აპრილს გაიმართება. თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა და მკურნალობის პროცესმა გეგმის მიხედვით ჩაიარა, პატო დერბიში აუცილებლად ითამაშებს. ბოლოს, **მასიმილიანო ალეგრის** მოვუსმინოთ, რომელიც ცდილობს სიმშვიდე შეინარჩუნოს: *„ჩვენ ჯერ კიდევ სათავეში ვუდგავართ სატურნირო ცხრილს და საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. უპირატესობას მთელი შეხვედრის განმავლობაში ვფლობდით, მაგრამ გოლი მეტოქემ გაიტანა. ფეხბურთში ასეც ხდება და ბედს უნდა შევეგუოთ. მთავარი ბრძოლები წინ არის და კონცენტრაცია არ უნდა დავკარგოთ - თითოეულ ქულას ოქროს ფასი ადევს და ეს ფეხბურთელებმაც უნდა გააცნობიერონ. მე მჯერა ჩემი შეგირდების და იმის, რომ ერთად მივაღწევთ დიდ წარმატებას".*

„მილანის" წაფორხილებით გაგიჟებული „ინტერი" „ლეჩეს" ეკვეთა და პირველივე წუთებში ეცადა საქმის მოთავებას, მაგრამ არც მთლად ასე იოლად გასატეხი აღმოჩნდა ერთ-ერთი აუტსაიდერი. მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში უშედეგოდ უტევდნენ მასპინძლები და მხოლოდ მეორე ნახევარში გატეხეს მეტოქე - **ჯამპაოლო პაცინიმ** საჯარიმოს ხაზთან მიიღო ბურთი, ტანით ჩამოიცილა ერთი მეურვე და ძლიერი დარტყმით შეარხია სტუმართა კარის ბადე. აღსანიშნავია, რომ პაცოს კიდევ არაერთხელ შეეძლო გატანა და დამაგვირგვინებელ ფაზაში რომ უფრო ზუსტი ყოფილიყო, ჰეთთრიკსაც თავისუფლად შეასრულებდა. თუმცა, სამი ქულის ასაღებად ეს ერთიც სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. ბედნიერმა **ლეონარდომ** ჟურნალისტებს ერთი წინადადება აკმარა: *„ეს კვირა ფანტასტიკური იყო".*

„რომასი" რა გითხრათ და აი, **ფრანჩესკო ტოტი** კი ნამდვილად შესაშურ ფორმაშია. რომაულ დერბიში გატანილ ორ გოლს, ფლორენციაში მიაყოლა კიდევ ორი და ცოტა ყურადღებით რომ ეთამაშათ „მგლებს" დაცვით ფაზაში, უთუოდ სამი ქულით ხელდამშვენებული დაბრუნდებოდნენ დედაქალაქში. „ფიორენტინა"-„რომას" თამაშზე გვაქვს საუბარი, რომელიც ფრედ, 2:2 დასრულდა და ამ შედეგმა ორივე გუნდი უკმაყოფილო დატოვა. „ჯალოროსი" ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის იბრძვის და ქულები ჰაერივით ესაჭიროება, „ვიოლას" კი ევროპის ლიგაზე მოხვედრა აქვს მიზნად დასახული და ასევე საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე დგას. საყაიმო რეზულტატით კიდევ უფრო გაირთულეს სატურნირო მდგომარეობა და ფაქტობრივად გამოუვალ ვითარებაში აღმოჩნდნენ. სათქმელი ბევრი არაფერია, მხოლოდ იმას დავამატებთ, რომ ფლორენციელთაგან თავი **ადრიან მუტუმ** და **ალესანდრო გამბერინიმ** გამოიჩინეს.

„იუვენტუსმა" რის ვაივაგლახით დაამარცხა „ბრეშა" და მეშვიდე ადგილზე გაიმაგრა პოზიციები. თუმცა, ჩემპიონთა ლიგის ზონასთან მთელი თერთმეტი ქულა და სამი გუნდი აშორებს - შესაბამისად, მიზერულია იმის შანსი, რომ **ლუიჯი დელ ნერის** სამწყსომ ოთხეულში შეაბიჯოს. ეგ კი არა, მეექვსე პოზიციაზე მოკალათებული „რომა" მთელი ხუთი ქულით უსწრებს „ბიანკონერის", ეს ადგილი კი ევროპის ლიგაზე გამსვლელია. „იუვეს" რიგებიდან **მილოშ კრასიჩმა** და **ალესანდრო დელ პიერომ** გამოიჩინეს თავი, სტუმართა შორის კი **ედერი** გამოირჩა. „ბრეშას" **მარეკო** გაუძევეს 71-ე წუთზე და ამან მნიშვნელოვნად გაუადვილა საქმე „ვეკია სენიორას". გაიმარჯვა „უდინეზემაც", საკუთარ მოედანზე „კატანიას" გაუტანა ორი უპასუხო ბურთი და კვლავაც ოთხეულში იმყოფება. თერთმეტმეტრიანით გამოირჩა **ანტონიო დი ნატალე** და გატანილი გოლების რაოდენობა 25-მდე გაზარდა.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ინტერმა პაცინის გოლით მოიგო

### მომდევნო ტური

2 აპრილი: **ბრეშა-ბოლონია, მილანი-ინტერი** 3 აპრილი: **ნაპოლი-ლაციო, პარმა-ბარი, ჯენოა-კალიარი, ჩეზენა-ფიორენტინა, კატანია-პალერმო, კიევო-სამპდორია, ლეჩე-უდინეზე, რომა-იუვენტუსი.**

### ლაციო-ჩეზენა 1:0

**ლაციო (4-3-1-2):** მუსლერა – სკალონი (78. სტენდარდო), ბიავა, დიასი, გარიდო – მათუზალემი, გონსალესი, მაური (86. კოზაკი) - ერნანესი (60. ბროკი) - სარატე, სკული.

**ჩეზენა (4-3-2-1):** ანტონიოლი – სანტონი, პელეგრინო, ფონ ბერგენი, ლაურო (68. ბენალუანე) – კაზერტა (69. რისკი), კოლუჩი, პაროლო – ხიმენესი, ბოგდანი (46. ჩეკარელი) – ბოგდანი.

**გოლი:** 1:0 სარატე (2).

**გაფრთხილება:** მათუზალემი, ბროკი - ლაურო.

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 3-5; **ჯარიმა:** 13-13; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 11(5)-6(3); **ბურთის ფლობა:** 51%-49%.

**მაყურებელი:** 20 000

### პალერმო-მილანი 1:0

**პალერმო (3-4-2-1):** სირიგუ – მუნოზი, გოიანი, მილიაჩო – დარმიანი, ბასინოვიჩი (69. აკუა), ნოჩერინო, ბალცარეტი - პასტორე (73. მიკოლი), ილიჩიჩი - პინილია (88. ერნანდესი).

**მილანი (4-3-1-2):** აბიატი – აბატე, ნესტა, ტიაგო სილვა, იანკულოვსკი (16. ანტონინი) – ვან ბომელი (53. ბოატენგი), გატუზო, ფლამინი – ზეედორფი – კასანო, პატო (64. რობინიო).

**გოლი:** 1:0 გოიანი (10).

**გაფრთხილება:** პინილია - ვან ბომელი, ფლამინი.

**გაფრთხილება:** 1-2; **კუთხური:** 3-7; **ჯარიმა:** 13-17; **თამაშგარე:** 0-2; **კარში დარტყმა:** 11(6)-10(4); **ბურთის ფლობა:** 37%-63%.

**მაყურებელი:** 29 000

### ფიორენტინა-რომა 2:2

**ფიორენტინა (4-3-1-2):** ბორუცი – კომოტო, გამბერინი, ნატალი, პასკუალი – მონტოლივო, ბეჰრამი, ვარგასი (83. დაგოსტინო) - სანტანა (67. ლიაიჩი) - მუტუ, ჯილარდინო (87. ბაბაქარი).

**რომა (4-2-3-1):** დონი – ჟუანი, მექსე, ნ. ბურდისო, რიისე – პიზარო, დე როსი (90. გრეკო) - პეროტა (78. ბრიგი), მენეზი, ტადეი (54. როზი) - ტოტი.

**გოლები:** 1:0 მუტუ (21), 1:1 ტოტი (27-პენ.), 2:1 გამბერინი (34), 2:2 ტოტი (52).

**გაფრთხილება:** ბორუცი, გამბერინი - მექსე, მენეზი..

**გაფრთხილება:** 2-2; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 15-23; **თამაშგარე:** 5-4; **კარში დარტყმა:** 10(5)-8(5); **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 24 000

### ბარი-კიევო 1:2

**ბარი (4-4-2):** ჟილე - ა. მაზიელო, გლიკი, როსი, ბელმონტე – კოდრეა (57. ალვარესი), ჰუსეკლეპი (56. ოკაკა), ალმირონი, ბენტივოლიო - გეზალი, რუდოლფი (65. კასტილო).

**კიევო (3-4-1-2):** სორენტინო - ფრეი (45. სარდო), მორერო, მანდელი - გუანა (51. რიგონი), ფერნანდესი, კონსტანტი, იოკიჩი – ბოლიაჩინო - პელისიერი (77. ურიბე), მოსკარდელი.

**გოლები:** 0:1 პელისიერი (38), 1:1 გეზალი (41-პენ.), 1:2 მოსკარდელი (49).

**გაფრთხილება:** როსი - ფერნანდესი, გუანა, კონსტანტი.

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 5-4; **ჯარიმა:** 25-18; **თამაშგარე:** 1-2; **კარში დარტყმა:** 12(5)-8(3); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 21 000

### ბოლონია-ჯენოა 1:1

**ბოლონია (4-3-1-2):** ვივიანო – მორასი (58. პაპონი), პორტანოვა, ბრიტოსი, რუბინი (57. ჩერუბინი) – პერესი, მუდინგაი, პერესი – დელა როკა – რამირესი (81. სილიგარდი), დი ვაიო.

**ჯენოა (4-4-2):** ედუარდო – მესტო, დაინელი, მორეტი, კრიშიტო – მილანეტო, კონკო (53. ანტონელი), ველოზო (8. რაფინია), როსი – ფლორო ფლორესი (75. ბოზელი), პალასიო.

**გოლები:** 1:0 დი ვაიო (28), 1:1 დაინელი (43).

**გაფრთხილება:** ბრიტოსი, პერესი - მილანეტო.

**გაფრთხილება:** 2-1; **კუთხური:** 0-6; **ჯარიმა:** 20-13; **თამაშგარე:** 2-3; **კარში დარტყმა:** 8(4)-12(5); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 19 000

### ინტერი-ლეჩე 1:0

**ინტერი (4-3-1-2):** ჟულიო სეზარი - მაიკონი, კივუ, ლუსიო, ძანეტი – მოტა, კამბიასო, სნეიდერი (84. ხარჯა) - პანდევი (73. კოუტინიო) - ეტოო (90. სტანკოვიჩი), პაცინი.

**ლეჩე (4-5-1):** როზატი – ტომოვიჩი (90. დონატი), ფერარიო, ფაბიანო, ბრივიო (90. პიატი) – ჯაკომაცი (83. ჯედა), ვივესი, ოლივერა, ბერტოლაჩი, მესბა - კორვია.

**გოლი:** 1:0 პაცინი (52).

**გაფრთხილება:** ლუსიო, კივუ, მოტა - როზატი, ტომოვიჩი, ჯაკომაცი.

**გაფრთხილება:** 3-3; **კუთხური:** 4-6; **ჯარიმა:** 24-6; **თამაშგარე:** 3-5; **კარში დარტყმა:** 7(4)-2(1); **ბურთის ფლობა:** 68%-32%.

**მაყურებელი:** 59 000

### იუვენტუსი-ბრეშა 2:1

**იუვენტუსი (4-4-2):** ბუფონი – სორენსენი, ბონუჩი, კიელინი, ტრაორე (67. ბარძალი) – კრასიჩი, აკვილანი, მარკიზიო, პეპე – დელ პიერო (88. მარტინესი), მატრი (83. ტონი).

**ბრეშა (3-5-1-1):** არკარი - მარეკო, ძობოლი, აკარდი - ძამბელი, დაპრელა, კორდოვა (58. ლანცაფამე), ვასი, კონე (75. ბაიოკო) – დიამანტი (77. ჯონატანი) - ედერი.

**გოლები:** 1:0 კრასიჩი (23), 1:1 ედერი (42), 2:1 დელ პიერო (68).

**გაძევება:** მარეკო (71).

**გაფრთხილება:** 0-0; **კუთხური:** 9-2; **ჯარიმა:** 10-18; **თამაშგარე:** 5-5; **კარში დარტყმა:** 9(4)-8(5); **ბურთის ფლობა:** 54%-46%.

**მაყურებელი:** 22 000

### სამპდორია-პარმა 0:1

**სამპდორია (4-4-1-1):** კურჩი – ძაური, ვოლტა, ვიდალი, გასტალდელო - მანინი, დესენა, პოლი (69. ბიაბიანი), ციგლერი - გუბერტი (20. მაკედა) – მაკარონე (80. კომანი).

**პარმა (4-3-2-1):** მირანტე – პალეტა, ვალიანი, პიზანო, ძაკარდო – მორონე, გობი, ჯემაილი - პალადინო (36. კანდრევა), ჯოვინკო (83. მოდესტო) - ამაური.

**გოლი:** 0:1 ძაკარდო (65).

**გაფრთხილება:** ძაური, პოლი, დესენა - პიზანო, ვალიანი, მოდესტო, კანდრევა.

**გაძევება:** ჯემაილი (90).

**გაფრთხილება:** 3-4; **კუთხური:** 6-4; **ჯარიმა:** 27-19; **თამაშგარე:** 2-7; **კარში დარტყმა:** 11(5)-5(2); **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 23 000

### უდინეზე-კატანია 2:0

**უდინეზე (3-5-2):** ჰანდანოვიჩი – ბენეტია, ზაპატა, დომიცი - ისლა, პინცი, ასამოა, ინლერი, არმერო – დი ნატალე (88. კორადი), სანჩესი.

**კატანია (4-2-3-1):** ანდუხარი – სპოლი, აუგუსტინი, სილვესტრი, მარკეზე – კარბონი, ლოდი - რიკიუტი, გომესი (69. ლიამა), შელოტო (24. მორიმოტო) - ბერგესიო (63. მასკი ლოზანო).

**გოლები:** 1:0 ინლერი (22), 2:0 დი ნატალე (74-პენ.)..

**გაფრთხილება:** პინცი - სპოლი, გომესი, ლიამა.

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 4-4; **ჯარიმა:** 21-15; **თამაშგარე:** 5-0; **კარში დარტყმა:** 9(4)-8(0); **ბურთის ფლობა:** 52%-48%.

**მაყურებელი:** 14 000

### ნაპოლი-კალიარი 2:1

**ნაპოლი (3-4-2-1):** დე სანკტისი – სანტაკროჩე, კანავარო, რუიზი – ცუნიგა, პაციენცა, იებდა, დოსენა (83. არონიკა) – ჰამშიკი (79. მასკარა), ლავეცი - კავანი.

**კალიარი (4-3-2-1):** აგაცი – პერიკო, კანინი, არიაუდო, აგოსტინი – ნაინგოლანი (73. ლაძარი), კონტი, ბიონდინი – მისიროლი (79. რაგაცუ), კოსუ - აკვაფრესკა.

**გოლები:** 1:0 კავანი (49-პენ), 1:1 აკვაფრესკა (56), 2:1 კავანი (61).

**გაფრთხილება:** ლავეცი – ბიონდინი, არიაუდო, კონტი.

**გაფრთხილება:** 1-3; **კუთხური:** 6-1; **ჯარიმა:** 14-16; **თამაშგარე:** 2-5; **კარში დარტყმა:** 9(3)-7(2); **ბურთის ფლობა:** 56%-44%.

**მაყურებელი:** 43 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 30 | 18 | 8 | 4 | 51-22 | 62 |
| 2. ინტერი | 30 | 18 | 6 | 6 | 56-31 | 60 |
| 3. ნაპოლი | 30 | 18 | 5 | 7 | 46-27 | 59 |
| 4. უდინეზე | 30 | 17 | 5 | 8 | 56-30 | 56 |
| 5. ლაციო | 30 | 16 | 6 | 8 | 36-25 | 54 |
| 6. რომა | 30 | 14 | 8 | 8 | 47-41 | 50 |
| 7. იუვენტუსი | 30 | 12 | 9 | 9 | 45-38 | 45 |
| 8. ფიორენტინა | 30 | 10 | 11 | 9 | 35-31 | 41 |
| 9. პალერმო | 30 | 13 | 4 | 13 | 45-46 | 43 |
| 10. კალიარი | 30 | 11 | 6 | 13 | 36-36 | 39 |
| 11. ბოლონია | 30 | 11 | 10 | 9 | 33-37 | 40 |
| 12. ჯენოა | 30 | 10 | 9 | 11 | 29-33 | 39 |
| 13. კიევო | 30 | 8 | 11 | 11 | 30-32 | 35 |
| 14. კატანია | 30 | 8 | 8 | 14 | 25-40 | 32 |
| 15. სამპდორია | 30 | 7 | 10 | 13 | 25-34 | 31 |
| 16. პარმა | 30 | 7 | 11 | 12 | 29-41 | 32 |
| 17. ჩეზენა | 30 | 7 | 8 | 15 | 25-41 | 29 |
| 18. ლეჩე | 30 | 7 | 7 | 16 | 31-52 | 28 |
| 19. ბრეშა | 30 | 6 | 8 | 16 | 24-38 | 26 |
| 20. ბარი | 30 | 4 | 8 | 18 | 17-45 | 17 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს სამი ქულა*

**ბომბარდირები:** 25 – დი ნატალე (უდინეზე); 20 – კავანი (ნაპოლი); 19 - ეტოო (ინტერი); 18 – დი ვაიო (ბოლონია); 16 - მატრი (იუვენტუსი); 14 - იბრაჰიმოვიჩი (მილანი).

### სერია B. XXXII ტური

**სასუოლო-მოდენა 1:1**

**გოლები:** 0:1 პერნა (2), 1:1 მანანელი (76).

**ატალანტა-პიაჩენცა 3:0**

**გოლები:** 1:0 დონი (34-პენ.), 2:0 დონი (42-პენ.), 3:0 რუოპოლო (45).

**ჩიტადელა-ასკოლი 0:1**

**გოლი:** ჯორჯი (53).

**კროტონე-სიენა 1:2**

**გოლები:** 0:1 ბრიენცა (1), 0:2 რეჯინალდო (72), 1:2 ჯორჯო (83).

**ფროზინონე-ტორინო 1:0**

**გოლი:** 1:0 ბლაზი (54).

**ლივორნო-გროსეტო 1:1**

**გოლები:** 1:0 ბელინგერი (49), 1:1 სფორცინი (90 პენ.).

**პესკარა-პადოვა 0:2**

**გოლები:** 0:1 არდემანი (65), 0:2 არდემანი (90).

**პორტოგრუარო-ალბინოლეფე 2:1**

**გოლები:** 1:0 კუნიკო (12-პენ.), 1:1 გროსი (15), 2:1 ალტინერი (62).

**ტრიესტინა-ვარეზე 1:1**

**გოლები:** 1:0 მირამონტესი (66), 1:1 ლუკა (87).

**ვიჩენცა-ნოვარა 1:0**

**გოლი:** 1:0 ბასტრინი (89).

**ემპოლი-რეჯინა** დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატალანტა | 32 | 18 | 9 | 5 | 40-21 | 63 |
| 2. სიენა | 32 | 16 | 12 | 4 | 47-25 | 60 |
| 3. ნოვარა | 32 | 14 | 13 | 5 | 48-25 | 55 |
| 4. ვარეზე | 32 | 12 | 15 | 5 | 38-23 | 51 |
| 5. რეჯინა | 31 | 12 | 11 | 8 | 35-30 | 47 |
| 6. ვიჩენცა | 31 | 13 | 6 | 12 | 33-34 | 45 |
| 7. ლივორნო | 32 | 11 | 11 | 10 | 39-37 | 44 |
| 8. გროსეტო | 32 | 11 | 10 | 11 | 36-40 | 43 |
| 9. პესკარა | 32 | 11 | 9 | 12 | 33-36 | 42 |
| 10. პიაჩენცა | 32 | 10 | 11 | 11 | 43-46 | 41 |
| 11. ტორინო | 32 | 11 | 8 | 13 | 34-39 | 41 |
| 12. პადოვა | 32 | 9 | 13 | 10 | 43-39 | 40 |
| 13. ემპოლი | 31 | 9 | 13 | 9 | 33-29 | 40 |
| 14. მოდენა | 32 | 8 | 15 | 9 | 33-39 | 39 |
| 15. სასუოლო | 32 | 9 | 10 | 13 | 33-34 | 37 |
| 16. ალბინოლეფე | 32 | 9 | 9 | 14 | 38-51 | 36 |
| 17. ჩიტადელა | 32 | 8 | 11 | 13 | 35-39 | 35 |
| 18. კროტონე | 31 | 7 | 13 | 11 | 28-36 | 34 |
| 19. პორტოგრუარო | 32 | 8 | 9 | 15 | 27-42 | 33 |
| 20 ასკოლი | 30 | 9 | 11 | 10 | 30-34 | 32 |
| 21. ფროზინონე | 32 | 7 | 11 | 14 | 33-46 | 32 |
| 22. ტრიესტინა | 32 | 5 | 14 | 13 | 25-39 | 29 |

*ასკოლის დაკლებული აქვს 6 ქულა*

**ბომბარდირები:** 17 - კაჩა (პიაჩენცა); 15 - სუჩი (პადოვა), კორალი (ემპოლი), პიოვაკარი (ჩიტადელა); 13 - ბონაცოლი (რეჯინა), ბიანკი (ტორინო), აბრუსკატო (ვიჩენცა); 12 - ბერტანი (ნოვარა), გონსალესი (ნოვარა).

### სერია C 1 A

ალესანდრია-რავენა 2:1, კრემონეზე-რეჯანა 0:1, გუბიო-სპალ 1:1, ლუმეცანე-მონცა 1:0, პაგანეზე-სორენტო 0:0, სალერნიტანა-ბასანო 2:0, სუდტიროლი-კომო 1:3, ვერონა-სპეცია 1:0, პავია-პერგოკრემა დღეს.

### სერია C 1 B

ბარლეტა-ტარანტო 0:0, ფოჯა-ატლეტიკო 3:1, ფოლინო-კოზენცა 0:0, იუვე სტაბია-ანდრია 3:1, ლუკეზე-კავეზე 1:0, ნოჩერინა-ტერნანა 1:0, ვიარეჯო-ჯელა 1:1, ლანჩანო-სირაკუზა 1:0, ბენევენტო-პიზა დღეს.

● ჰოლანდია

## ერედივიზიონი. XXVIII ტური

### ალკმაარი-ვიტესი 3:1

**გოლები:** 0:1 გინკელი (44), 1:1 ვერბლუმი (63), 2:1 პოულსენი (81), 3:1 მარტენსი (84).

### ბრედა-გრონინგენი 0:1

**გოლი:** 0:1 გრანკვისტი (72).

### ჰერაკლესი-ჰეერენვეენი 4:2

**გოლები:** 1:0 ევერტონი (20), 1:1 ვარინენი (35), 2:1 არმენტეროსი (44), 3:1 ლინდენი (57), 4:1 დუგლასი (60), 4:2 ჰაგლუნდი (67).

### ვენლო-ვილემი 0:0

### ნიიმეგენი-დე გრააფსხაპი 1:0

**გოლი:** 1:0 ჯორჯი (3).

### დენ ჰააგი-აიაქსი 3:2

**გოლები:** 1:0 კუბიკი (30), 1:1 ვერტონენი (69), 2:1 იმერსი (75), 2:2 ერიკსენი (85), 3:2 დერიკი (86).

### ექსელსიორი-ტვენტე 0:2

**გოლები:** 0:1 იანსენი (36), 0:2 იანსენი (67-პე.).

### პსვ-უტრეხტი 1:0

**გოლები:** 1:0 ბაკალი (54).

### როდა-ფეიენოორდი 3:0

**გოლები:** 1:0 ჰადური (7), 2:0 იანკერი (43), 3:0 ბისევარი (89-საკ. კარში).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსვ | 28 | 18 | 7 | 3 | 72-26 | 61 |
| 2. ტვენტე | 28 | 18 | 6 | 4 | 54-28 | 60 |
| 3. აიაქსი | 28 | 16 | 7 | 5 | 56-26 | 55 |
| 4. ალკმაარი | 28 | 14 | 7 | 7 | 43-34 | 49 |
| 5. დენ ჰააგი | 28 | 14 | 6 | 8 | 55-41 | 48 |
| 6. გრონინგენი | 28 | 14 | 5 | 9 | 54-43 | 47 |
| 7. როდა | 28 | 11 | 11 | 6 | 49-37 | 44 |
| 8. უტრეხტი | 28 | 11 | 8 | 9 | 43-35 | 41 |
| 9. ჰერაკლესი | 28 | 10 | 7 | 11 | 52-48 | 37 |
| 10. ნიიმეგენი | 28 | 8 | 12 | 8 | 44-47 | 36 |
| 11. ჰეერენვეენი | 28 | 9 | 8 | 11 | 50-45 | 35 |
| 12. ფეიენოორდი | 28 | 9 | 7 | 12 | 37-47 | 34 |
| 13. ბრედა | 28 | 10 | 4 | 14 | 36-49 | 33 |
| 14. დე გრააფსხაპი | 28 | 8 | 9 | 11 | 27-45 | 33 |
| 15. ვიტესი | 28 | 7 | 8 | 13 | 34-48 | 29 |
| 16. ექსელსიორი | 28 | 6 | 4 | 18 | 32-57 | 22 |
| 17. ვენლო | 28 | 5 | 2 | 21 | 24-59 | 17 |
| 18. ვილემი | 28 | 2 | 6 | 20 | 28-75 | 12 |

**ბომბარდირები:** 18 - ელემინცკი (ნიიმეგენი); 17 – ბულიკინი (დენ ჰააგი); 15 - მატავცი (გრონინგენი), ჯუჯაკი (პსვ); 14 – იანკო (ტვენტე), იანკერი (როდა).

## გერმანია

### რეგიონალლიგა (ჩრ)

XXV ტური

ლაიპციგი-ობერნოილანდი 3:0
ჰერტა A-მაგდებურგი 2:0
კოტბუსი A-კილი 0:1
ლიუბეკი-ჰაველსე 1:0
ვოლფსბურგი A-ვილჰელმსჰავენი 2:1
ხემნიცი-თურკიემი 4:0
ჰალეშერი-ბრაუნშვაიგი A 2:0
პლაუენი-ჰამბურგი A 1:2
მოისელვიცი-ჰანოვერი A 2:1

### რეგიონალლიგა (სამ)

XXII ტური

კარლსრუე A-ვორმატია 1:0
ფრაიბურგი A-პფიულენდორფი 5:1
მიუნხენი A-შტ. კიკერსი 1:5
ფიურტი A-ფრანკფურტი A 2:1
კასელი-მემინგენი 3:0
ვეენი A-დარმშტადტი 0:3
ჰოფენჰაიმი A-ნიურნბერგი A 1:0

### რეგიონალლიგა (დას)

XXIV ტური

კიოლნი A-ჰომბურგი 2:3
მუნსტერი-შალკე A 3:0
არმინია A-მაინცი A 0:4
ტრირი-ლოტე 1:1
ფორტუნა A-დორტმუნდი A 2:2
გლადბახი A-ელვერსბერგი 1:0
ფერლი-ლევერკუზენი A 3:2
ვუპერტალი-ბოხუმი A 1:0

## ჰოლანდია

### II დივიზიონი

XXVIII ტური

დორდრეხტი-ტელსტარი 2:2
ვაალვიკი-აპელდოორნი 4:0
ომნივორლდი-ვოლენდამი 3:2
ცვოლე-როსენდაალი 0:0
მაასტრიხტი-დენ ბოში 1:0
ეინდჰოვენი-ჰელმონდი 2:4
ემენი-ფორტუნა 0:2
კამბური-იგლზი 4:3
ვეენდამი-სპარტა დღეს

## ბელგია

### II დივიზიონი

XXVIII ტური

ბორინაჟი-ტიენენი 1:2
ოსტენდე-რუზელარე 1:0
ბრიუსელი-ვაასლანდი 3:2
დენდერი-ლომელი 2:0
სტანდარდი (ვ)-ტურნე 0:3
ტუბიზე-მონსი 0:2
ჰაისტი-ანტვერპენი 2:3
ვიზე-რუსელი 2:1
ჰევერლე-ტურნჰაუტი 4:0

## პორტუგალია

### II დივიზიონი

XXII ტური

ავეში-ეშტორილი 2:1
კოვილია-ჟილ ვისენტე 2:1
ფეირენსე-ბელენენსეში 1:0
ფრეამუნდე-პენაფიელი 1:4
ლეიქსოეში-მორეირენსე 0:0
არუკა-ოლივეირენსე 0:0
ტროფენსე-ფატიმა 1:1
სანტა კლარა-ვარზიმი 0:0

## შოტლანდია

### I დივიზიონი

XXVIII ტური

დანფერმლაინი-სტირლინგი 4:1
ფალკირკი-დანდი 2:2
მორტონი-რეითი 0:0
პარტიკი-კოუდენბითი 0:1
როსი-ქუინი 1:2

### II დივიზიონი

XXIX ტური

ეირდრი-სტენჰაუსმური 2:2
ალოა-ბრეჩინი 2:2
დამბარტონი-ისტ ფაიფი 4:2
ფორფარი-ლივინგსტონი 0:4
პიტერჰედი-ეირი 1:2

### III დივიზიონი

XXIX ტური

ალბიონი-კლაიდი 1:1
ანანი-მონროუზი 2:1
ბერვიკი-ქუინზ პარკი 3:1
ისტ სტირლინგი-არბროთი 2:5
სტრანრაერი-ელჯინი 1:2

## შოტლანდია

### ლიგის თასი. ფინალი

რეინჯერსი-სელტიკი 2:1 დ.დ.

## არგენტინა

VI ტური

კილმესი-ინდეპენდიენტე 1:1
არსენალი-რივერი 1:1
ოლ ბოისი-კოლონი 0:2
გოდოი-ლანუსი 2:0
ნიუელსი-არგ. ხუნიორსი 0:2
ველესი-სან ლორენსო 0:0 შეწყდა
რასინგი-ესტუდიანტესი 0:1
ბოკა-ოლიმპო გვ. დასრულდა
ხიმნასია (ლ-პ)-ტიგრე დღეს
ბანფილდი-ურაკანი დღეს

## ავსტრია

XXVI ტური

რაპიდი-ლინცერი 0:0
ტიროლი-შტურმი 1:0
კაპფენბერგი-რიდი 2:1
ვინერი-მატერსბურგი 2:1
ზალცბურგი-აუსტრია 1:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. აუსტრია | 26 | 13 | 7 | 6 | 45-23 | 46 |
| 2. შტურმი | 26 | 13 | 6 | 7 | 45-24 | 45 |
| 3. ზალცბურგი | 26 | 11 | 10 | 5 | 30-19 | 43 |
| 4. რიდი | 26 | 13 | 3 | 10 | 37-29 | 42 |
| 5. რაპიდი | 26 | 11 | 8 | 7 | 37-27 | 41 |
| 6. ვინერი | 26 | 12 | 5 | 9 | 34-34 | 41 |
| 7. ტიროლი | 26 | 10 | 8 | 8 | 32-28 | 38 |
| 8. კაპფენბერგი | 26 | 7 | 8 | 11 | 30-41 | 29 |
| 9. მატერსბურგი | 26 | 5 | 5 | 16 | 20-43 | 20 |
| 10. ლინცერი | 26 | 2 | 6 | 18 | 17-59 | 12 |

## კვიპროსი

XXVI ტური

აპოპ-ერმისი 1:3
ეთნიკოსი-ანორთოსისი 0:2
აეკ-აეპ 2:1
აპოლონი-ომონია 2:0
აპოელ-აელ 2:0
დოქსა-ოლიმპიაკოსი 1:2
ალკი-ენოსისი 0:3

## დანია

XXII ტური

სილკებორგი-ოდენსე 1:1
ჰორსენსი-რანდერსი 0:0
ნორდსიელანდი-ესბერგი 1:2
ლუნგბიუ-ოლბორგი 1:2
კოპენჰაგენი-ბრონდბიუ 3:1
სონდერიისკი-მიდტიულანდი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. კოპენჰაგენი | 22 | 18 | 3 | 1 | 54-18 | 57 |
| 2. ოდენსე | 22 | 11 | 3 | 8 | 40-31 | 36 |
| 3. ბრონდბიუ | 22 | 9 | 7 | 6 | 35-30 | 34 |
| 4. მიდტიულანდ | 20 | 9 | 6 | 5 | 35-23 | 33 |
| 5. ჰორსენსი | 22 | 8 | 4 | 10 | 20-29 | 28 |
| 6. სილკებორგი | 22 | 6 | 9 | 7 | 28-34 | 27 |
| 7. რანდერსი | 22 | 5 | 11 | 6 | 29-26 | 26 |
| 8. სონდერიისკი | 21 | 7 | 4 | 10 | 23-30 | 25 |
| 9. ლუნგბიუ | 21 | 6 | 6 | 9 | 28-36 | 24 |
| 10. ნორდსილანდ | 22 | 6 | 5 | 11 | 24-36 | 23 |
| 11. ესბერგი | 22 | 4 | 8 | 10 | 25-36 | 20 |
| 12. ოლბორგი | 22 | 4 | 8 | 10 | 21-33 | 20 |

### II დივიზიონი

XVII ტური

აგფ ორჰუსი-ჰობრო 2:0; ფინი-ბრონსჰოი 1:1; ნაესტვედი-ვეილე 1:1; აკადემისკი-კიოლდინგი გადაიდო; ფრედერისია-ვესტსილანდი 4:5; ჰიორინგი-კიოგე გადაიდო; სკივე-ჰვიდოვრე გადაიდო; ვიბორგი-როსკილდე 0:1.

## ფინეთი

### ლიგის თასი

იუვიასკიულა-ინტერი 1:1 პენ. 6:5
ტამპერე-ტპს 1:0
ჰიკ-კუოპიო 4:3
ჰონკა-იარო 2:0

## საბერძნეთი

XXVII ტური

არისი-პანსერაიკოსი 3:1
ატრომიტოსი-პაოკ 2:2
ირაკლისი-პანიონიოსი 1:1
კავალა-ოლიმპიაკოსი (ვ) 0:1
ლარისა-ერგოტელისი 3:3
ოლიმპიაკოსი (პ)-აეკ 6:0
პანათინაიკოსი-კერკირა 2:1
ქსანთი-ასტერასი 1:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ოლიმპიაკ (პ) | 27 | 22 | 1 | 4 | 55-14 | 67 |
| 2. პანათინაიკოს | 27 | 17 | 6 | 4 | 44-22 | 57 |
| 3. აეკ | 27 | 13 | 4 | 10 | 42-35 | 43 |
| 4. პაოკ | 27 | 12 | 5 | 10 | 29-29 | 41 |
| 5. ოლიმპიაკ (ვ) | 27 | 10 | 11 | 6 | 33-24 | 41 |
| 6. კავალა | 27 | 10 | 8 | 9 | 27-23 | 38 |
| 7. არისი | 27 | 10 | 6 | 11 | 23-26 | 36 |
| 8. ქსანთი | 27 | 9 | 8 | 10 | 27-29 | 35 |
| 9. ირაკლისი | 27 | 7 | 12 | 8 | 22-27 | 33 |
| 10. ერგოტელისი | 27 | 9 | 6 | 12 | 27-37 | 33 |
| 11. პანიონიოსი | 27 | 7 | 10 | 10 | 22-31 | 31 |
| 12. ატრომიტოსი | 27 | 6 | 12 | 9 | 27-32 | 30 |
| 13. კერკირა | 27 | 8 | 6 | 13 | 28-36 | 30 |
| 14. ასტერასი | 27 | 6 | 10 | 11 | 17-25 | 28 |
| 15. ლარისა | 27 | 5 | 10 | 12 | 27-37 | 25 |
| 16. პანსერაიკოსი | 27 | 5 | 5 | 17 | 21-44 | 20 |

### II დივიზიონი

XXVII ტური

აგროტიკოსი-ტრიკალა 0:0; დიაგორასი-პიერიკოსი 3:0; ეთნიკოსი (პ)-ტრასივულოსი 0:0; კალითეა-ვერია 2:4; ოფი-ეთნიკოსი (ა) 1:0; პანაიტოლიკოსი-ანაგენისი 3:1; პანთრაკიკოსი-დოქსა 0:1; იონიკოსი-იანინა დღეს; ილუპოლი-ლევადია დღეს.

## ირლანდია

### II დივიზიონი

III ტური

სოლტჰილი-ეთლონი 1:1
ლონგფორდი-მერვე 2:1

## სლოვაკეთი

XXIII ტური

შენიცა-ტრნავა 4:0
დუკლა-დ. სტრედა 2:0
რუჟომბეროკი-ტატრანი 0:1
ჟილინა-მორავცე 1:0
სლოვანი-კოშიცე 4:0
ნიტრა-დუბნიცა 1:1

## ნორვეგია

I ტური

სარპსბორგი-მოლდე 3:0
ვიკინგი-ვოლერენგა 0:2
ოდ გრენლანდი-სტარტი 0:2
სტაბეკი-ლილესტრიომი 0:7
სტრიომსგოდსეტი-სოგნდალი 2:1
ტრომსიო-ჰაუგესუნდი 2:0
ბრანი-როზენბორგი 2:1
ოლესუნდი-ფრედრიკსტადი დღეს

## შვედეთი

### სუპერთასი

მალმიო-ჰელსინგბორგი 1:2

## შვეიცარია

XXV ტური

ქსამაქსი-ციურიხი 1:2
სტ. გალენი-ბელინცონა 1:0
გრასჰოპერსი-ბაზელი 1:2
სიონი-თუნი 1:0
იანგ ბოიზი-ლუცერნი 3:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბაზელი | 25 | 16 | 5 | 4 | 54-30 | 53 |
| 2. ციურიხი | 25 | 13 | 7 | 5 | 51-34 | 46 |
| 3. იანგ ბოიზი | 25 | 11 | 8 | 6 | 44-35 | 41 |
| 4. ლუცერნი | 25 | 11 | 7 | 7 | 49-36 | 40 |
| 5. სიონი | 25 | 11 | 6 | 8 | 35-22 | 39 |
| 6. თუნი | 25 | 6 | 14 | 5 | 32-29 | 32 |
| 7. ბელინცონა | 25 | 6 | 7 | 12 | 30-53 | 25 |
| 8. გრასჰოპერსი | 25 | 5 | 8 | 12 | 27-39 | 23 |
| 9. ქსამაქსი | 25 | 6 | 4 | 15 | 33-48 | 22 |
| 10. სტ. გალენი | 25 | 6 | 2 | 17 | 21-50 | 20 |

### ჩელენჯლიგა

XX ტური

ლოკარნო-ლუგანო 1:2; ვოლენი-ნიონე 1:2; კიასო-ვადუცი 0:1; კრინსი-არაუ 0:1; ვილი-ბილი 3:2; ივერდონი-შაფჰაუზენი 0:4; სერვეტი-დელემონი 4:1; ვინტერტური-ლოზანა დღეს.

## თურქეთი

### II დივიზიონი

XXVI ტური

ალთაი-ბბ გაზიანთეფი 0:0
მერსინი-გიუნგორენი 1:0
ქართალი-ორდუ 2:2
ადანა-ქარსიაკა 0:2
ახისარი-რიზე 0:2
ბოლუ-ერჩიესი 0:1
სამსუნი-გირესუნი 1:0
თავშანლი-დიარბაქირი 4:0

## უელსი

IV ტური

### საჩემპიონო ზონა

პორტ ტელბოტი-ლანელი 0:0
ტნს-ბანგორი 3:2
პრესტატინი-ნითი 1:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბანგორი | 4 | 1 | 1 | 2 | 70-33 | 60 |
| 2. ტნს | 3 | 2 | 1 | 0 | 76-27 | 57 |
| 3. ნითი | 4 | 1 | 2 | 1 | 53-29 | 50 |
| 4. ლანელი | 3 | 1 | 3 | 0 | 41-30 | 41 |
| 5. პრესტატინი | 3 | 0 | 1 | 2 | 37-36 | 32 |
| 6. პ. ტელბოტი | 3 | 0 | 3 | 0 | 29-37 | 30 |

### გასავარდნი ზონა

ებერისტვითი-ნიუთაუნი 2:2
კარმარტენი-ბალა 3:1
ეირბასი-ჰევერფორდვესტი 5:0

## ბოსნია

XIX ტური

ბუდუჩნოსტი-სლავია 0:1
ზვიეზდა-შიროკი ბრიეგი 6:1
რუდარი-ველეჟი 2:0
ტრავნიკი-ლეოტარი 1:0
ბორაცი-ჩელიკი 1:0
ოლიმპიკი-დრინა 2:1
ზრინსკი-სარაევო 4:2
ჟელეზნიჩარი-სლობოდა 0:1

## ბულგარეთი

XIX ტური

მონტანა-ბეროე 2:1
სლავია-პირინი 1:1
სლივენი-აკადემიკი 3:0
რაკოვსკი-ჩერნომორეცი 3:0
კალიაკრა-ლევსკი 0:3
ჩერნო მორე-ცსკა 1:0
ლოვეჩი-ლოკომოტივი (პ) 1:0
ლოკომოტივი (ს)-მინიორი დღეს

## ხორვატია

XXII ტური

დრაგოვოლიაცი-კარლოვაცი 1:0
ვარტეკსი-სლავენი 1:1
რიეკა-სიბალია 0:0
დინამო-ჰაიდუკი 2:0
სპლიტი-ზაგრები 2:0
ზადარი-ლოკომოტივა 1:0
ინტერი-ისტრა 3:1
შიბენიკი-ოსიეკი 2:1

## რუსეთი

II ტური

კრასნოდარი-ნალჩიკი 2:0
დინამო-როსტოვი 3:1
ტომი-კუბანი 0:1
ამკარი-ლოკომოტივი 1:0
რუბინი-ტერეკი 2:0
კრილია-ცსკა დღეს
ზენიტი-ანჟი დღეს
სპარტაკი-ვოლგა დღეს

## ჩეხეთი

XXI ტური

პლზენი-ბუდეიოვიცე 2:1
ლიბერეცი-ბოლესლავი 4:0
სლოვაცკო-იაბლონეცი 1:1
სპარტა-ბრნო 2:0
ბოჰემიანსი-უსტი 1:0
სიგმა-სლავია 0:0
ტეპლიცე-ბანიკი 4:0
პრადეცი-პრშიბრამი დღეს

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პლზენი | 21 | 16 | 3 | 2 | 50-20 | 51 |
| 2. სპარტა | 21 | 15 | 1 | 5 | 34-12 | 46 |
| 3. იაბლონეცი | 21 | 12 | 4 | 5 | 43-20 | 40 |
| 4. სიგმა | 21 | 11 | 5 | 5 | 39-16 | 38 |
| 5. ბოლესლავი | 21 | 9 | 7 | 5 | 36-26 | 34 |
| 6. ტეპლიცე | 21 | 9 | 5 | 7 | 31-30 | 32 |
| 7. ბოჰემიანსი | 21 | 8 | 5 | 8 | 24-23 | 29 |
| 8. ლიბერეცი | 21 | 7 | 5 | 9 | 28-27 | 26 |
| 9. სლავია | 21 | 5 | 9 | 7 | 25-27 | 24 |
| 10. პრშიბრამი | 20 | 5 | 7 | 8 | 12-20 | 22 |
| 11. ბანიკი | 21 | 6 | 4 | 11 | 20-31 | 22 |
| 12. სლოვაცკო | 21 | 6 | 4 | 11 | 21-35 | 22 |
| 13. პრადეცი | 20 | 5 | 6 | 9 | 15-28 | 21 |
| 14. ბუდეიოვიცე | 21 | 4 | 8 | 9 | 17-35 | 20 |
| 15. ბრნო | 21 | 6 | 1 | 14 | 25-43 | 19 |
| 16. უსტი | 21 | 3 | 6 | 12 | 16-43 | 15 |

### II დივიზიონი

XVIII ტური

სეზიმოვო-ყლინი 3:2; ვლაშიმ-ტრშინეცი 0:!; დუკლა-კარვინა 3:1; სოკოლოვი-ჩასლავი 0:2; ჰლუჩინი-მოსტი 1:2; კლადნო-სპარტა II 0:0; სლოვანი-ვიქტორია 3:3; ზნოიმო-იჰლავა 0:4.

## ესტონეთი

III ტური

ლევადია-ფლორა 1:1
კალიუ-ტრანსი 1:1
კალევი-პაიდე 2:0
ტამეკა-ვილიანდი 1:1
კურესაარე-აიაქსი 1:1

## უნგრეთი

XX ტური

კეჩკემეტი-ზალაეგერსეგი 1:0
ჰონვედი-სოლნოკი 0:0
ვიდეოტონი-დებრეცენი 2:1
დიორი-ფერენცვაროში 1:0
შიოფოკი-ვაშაში 0:0
პაკსი-ჰალადაში 2:1
ლომბარდ პაპა-კაპოშვარი 1:1
უიპეშტი-მტკ 2:1

## ისრაელი

XXVII ტური

მაკაბი (თ-ა)-მაკაბი (ნ) 0:3
მაკაბი (ფ-თ)-ირონი 0:0
ჰაპოელი (ბ-შ)-ჰაპოელი (აკ) 0:2
მაკაბი (ჰ)-ჰაპოელი (აშ) 3:0
ბეითარი-ჰაპოელი (ჰ) 1:0
ჰაპოელი (ფ-თ)-ბნეი იეჰუდა 2:1
აშდოდი-ჰაპოელი (თ-ა) 3:3
ბნეი საქნინი-ჰაპოელი (რ-გ) დღეს

## ლიტვა

II ტური

ტაურასი-კლაიპედა 2:1
მაჟეიკიაი-ჟალგირისი 2:0
კაუნასი-სუდუვა 0:3
კრუოჟა-შიაულიაი 1:2
ატლანტასი-ბანგა 1:2
დაინავა-ეკრანასი 0:3

## მოლდოვა

XXIX ტური

ოლიმპია-გაგაუზია 4:2
ისკრა-ნისტრუ 2:1
ცსკა-დინამო 2:0
აკადემია-ტირასპოლი 1:1
ზიმბრუ-კოსტულენი 2:1
ვიიტორული-დაჩა 0:0
შერიფი-სფინტული 6:0

## ჩერნოგორია

XXIII ტური

ბარი-ბუდუჩნოსტი 1:2
დეჩიჩი-მორნარი 0:1
ლოვჩენი-რუდარი 2:2
გრბალი-ზეტა 1:1
პეტროვაცი-მლადოსტი 0:0
სუტიესკა-მოგრენი 3:1

## ჩილე

IX ტური

უნ. კატოლიკა-ს. მორნინგი 2:1
ო'ჰიგინსი-უნ. დე ჩილე 1:1
ატ. ნუბლენსე-სან ფელიპე 1:0
უნ. ესპანიოლა-დეპ. იკიკე 3:0
უაჩიპატო-ლა სერენა 0:4
კოლო კოლო-კობრელოა 1:1
პალესტინო-უნ. კონსეპსიონი 3:2
უონდერერსი-კობრესალი 3:0
ლა კალერა-აუდაქსი 3:1

## კოლუმბია

VII ტური

ონსე კალდასი-დეპ. პერეირა 2:0
მილიონარიოსი-იტაგუი 2:1
დეპ. კინდიო-ინდეპენდიენტე 2:1
ატ. ნასიონალი-კუკუტა 3:0
ლა ეკვიდადი-ატ. ხუნიორი 3:0
ამერიკა-სანტა ფე 2:0
რეალ კარტახენა-დეპ. კალი 1:1
დეპ. ტოლიმა-ჩიკო 3:1
ენვიგადო-ატ. უილა გვ. დასრულდა

## პოლონეთი

XIX ტური

შლიონსკი-ლეჩია 2:1
ლეხი-იაგელონია 2:0
რუხი-გურნიკი 3:0
კრაკოვია-კორონა 3:0
არკა-ზაგლებე 1:1
პოლონია (ვ)-ვიძევი 0:1
ბელხატოვი-ლეგია 2:0
პოლონია (ბ)-ვისლა 2:2

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვისლა | 19 | 11 | 4 | 4 | 29-18 | 37 |
| 2. იაგელონია | 19 | 9 | 5 | 5 | 24-18 | 32 |
| 3. ლეგია | 19 | 10 | 1 | 8 | 24-26 | 31 |
| 4. ლეჩია | 19 | 9 | 3 | 7 | 27-21 | 30 |
| 5. ლეხი | 19 | 8 | 4 | 7 | 24-15 | 28 |
| 6. შლიონსკი | 19 | 7 | 7 | 5 | 26-23 | 28 |
| 7. ბელხატოვი | 19 | 8 | 4 | 7 | 23-21 | 28 |
| 8. გურნიკი | 19 | 8 | 3 | 8 | 22-31 | 27 |
| 9. კორონა | 19 | 7 | 6 | 6 | 25-27 | 27 |
| 10. ზაგლებე | 19 | 6 | 6 | 7 | 17-23 | 24 |
| 11. რუხი | 19 | 6 | 6 | 7 | 18-18 | 24 |
| 12. ვიძევი | 19 | 6 | 6 | 7 | 27-22 | 24 |
| 13. პოლონია (ვ) | 19 | 5 | 6 | 8 | 23-21 | 21 |
| 14. პოლონია (ბ) | 19 | 4 | 8 | 7 | 19-24 | 20 |
| 15. არკა | 19 | 4 | 7 | 8 | 12-21 | 19 |
| 16. კრაკოვია | 19 | 4 | 4 | 11 | 23-34 | 16 |

## რუმინეთი

XXII ტური

გლორია-რაპიდი 3:2
ოტელული-უნივერსიტატეა (კლ) 3:0
ვიქტორია-ტიმიშოარა 0:2
გაზ მეთანი-პანდური 2:0
სტიაუა-ვასლუი 1:1
კლუჟი-სპორტული 2:0
უნივერსიტატეა (კრ)-ასტრა 1:1
დინამო-ტარგუ 4:1
უნირეა-ბრაშოვი დღეს

## სერბეთი

XIX ტური

სპარტაკი-მეტალაკი 2:0
ოფკ-ჰაიდუკი 1:0
სმედერევო-იავორი 2:1
ბორაცი-სლობოდა 1:0
იაგოდინა-ინდიია 2:0
ვოივოდინა-ჩუკარიჩკი 3:0
რად-პარტიზანი 2:2
ცრ. ზვეზდა-ბორჩა 4:1

## სლოვენია

XXIV ტური

ნაფტა-ტრიგლავი 1:1
რუდარი-დომჟალე 3:1
გორიცა-პრიმორიე 4:1
ოლიმპია-კოპერი 4:0
მარიბორი-პუბლიკუმი 2:0

## უკრაინა

XXII ტური

ვორსკლა-მეტალურგი (დ) 1:1
ზორია-ობოლონი 1:0
სევასტოპოლი-კარპატი 3:1
კრივბასი-მეტალისტი 0:0
მეტალურგი (ზ)-ტავრია 2:2
დნიპრო-დინამო 1:0
შახტარი-ვოლინი 4:0
არსენალი-ილიჩოვეცი 3:1

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. შახტარი | 22 | 19 | 1 | 2 | 43-8 | 58 |
| 2. დინამო | 22 | 14 | 4 | 4 | 39-18 | 46 |
| 3. მეტალისტი | 22 | 12 | 5 | 5 | 40-21 | 41 |
| 4. დნიპრო | 22 | 11 | 7 | 4 | 32-15 | 40 |
| 5. კარპატი | 22 | 10 | 6 | 6 | 28-23 | 36 |
| 6. არსენალი | 22 | 8 | 6 | 8 | 27-27 | 30 |
| 7. ვოლინი | 22 | 8 | 5 | 9 | 20-28 | 29 |
| 8. ტავრია | 22 | 7 | 7 | 8 | 36-36 | 28 |
| 9. ობოლონი | 22 | 7 | 5 | 10 | 19-27 | 26 |
| 10. მეტალურ (დ) | 22 | 7 | 5 | 10 | 23-32 | 26 |
| 11. ზორია | 22 | 6 | 8 | 8 | 26-30 | 26 |
| 12. ვორსკლა | 22 | 6 | 7 | 9 | 25-25 | 25 |
| 13. ილიჩოვეცი | 22 | 5 | 7 | 10 | 33-50 | 22 |
| 14. კრივბასი | 22 | 3 | 11 | 8 | 21-31 | 20 |
| 15. სევასტოპოლი | 22 | 4 | 5 | 13 | 15-35 | 17 |
| 16. მეტალურ (ზ) | 22 | 2 | 5 | 15 | 10-31 | 11 |

## ჩრ. ირლანდია

XXXII ტური

ბალიმენა-გლენტორანი 2:3
კრუზეიდერსი-კლიფტონვილი 5:0
დონეგალი-ნიური 0:0
გლენავონი-კოლრეინი 1:2
ლინფილდი-ლისბურნი 2:0
პორტდაუნი-დუნგანონი 2:1

### პაულისტა

XIV ტური

ნოროესტე-პონტე პრეტა 1:0
პორტუგეზა-მირასოლი 4:1
ბოტაფოგო-პაულისტა 2:1
ბრაგანტინო-სანტოსი 2:1
სანტო ანდრე-ოესტე 2:1
კორინთიანსი-ამერიკანა 1:0
სან კაეტანო-პალმეირასი 1:1
გრემიო-სან პაულუ 0:1
იტუანო-მოჟი მირიმი 0:1
ლინენსე-სან ბერნანდო 0:2

## ეკვადორი

X ტური

დეპ. კიტო-იმბაბურა 3:2
დეპ. კუენკა-ელ ნასიონალი 2:2
ესპოლი-მანტა 0:0
ოლმედო-ბარსელონა 4:0
ემელეკი-ინდეპენდიენტ გვ. დასრულდა
ლიგა დე ლოხა-ლდუ გვ. დასრულდა

## პარაგვაი

X ტური

რუბიო ნუ-ინდეპენდიენტე 2:2
3 დე ფებრერო-ნასიონალი 0:2
ლიბერტადი-ოლიმპია 0:0
სერო პორტენიო-ლუკენო 1:0
ტაკუარი-ხენერალი 1:1
გუარანი-სოლ დე ამერიკ გვ. დასრულდა

## პერუ

VI ტური

სპორტი-ხუან აურიჩი 0:0
უნიონი-დ. სან მარტინი 2:1
სპორტ ბოისი-სესარ ვალიეხო 1:1
ალ. ლიმა-დ. კობრესოლი 0:0
მელგარი-უნივერსიტარიო 0:0
ლეონი-კოლეგიო 1:3
სპ. კრისტალი-სესიანო 1:0
ალ. ატლეტიკო-ინტი გასი 3:0

## ურუგვაი

VII ტური

დეფენსორი-მირამარი 2:0
რამპლა-ელ ტანკე 4:2
ტაკუარემბო-ბელა ვისტა 1:2
რასინგი-ფენიქსი 2:4
სენტრალი-ლივერპული 1:2
დანუბიო-მონტევიდეო 0:0
ნასიონალი-სერო 3:0
პენიაროლი-რივერ პლეიტი გადაიდო

## ვენესუელა

X ტური

მინეროსი-დეპ. ტაჩირა 1:0
არაგუა-მონაგასი 0:0
დეპ. ლარა-კარაბობო 0:3
დეპ. პეტარე-ესტუდიანტესი 5:1
რეალ ესპორი-კარონი 3:0
სულია-ატლეტიკო 2:1
ანსოატეგი-იარაკუიანოსი 0:1
სამორა-ტრუხილანოსი გვ. დასრულდა

## მექსიკა

XI ტური

ტეკოსი-ტიგრესი 0:0
კრუს ასული-ტოლუკა 1:0
მონტერეი-ამერიკა 2:1
ს. ლაგუნა-მორელია 0:1
გვადალახარა-კერეტარო 2:0
სან ლუისი-ატლასი 1:1
ატლანტე-ხაგუარესი 5:1
პუებლა-ნეკაქსა 1:0
პუმასი-პაჩუკა 0:0

## აშშ

I ტური

ვანკუვერი-ტორონტო 4:2
დი სი იუნაიტედი-კოლამბუსი 3:1
ნიუ იორკი-სიეტლი 1:0
დალასი-ჩიკაგო 1:1
ჰიუსტონი-ფილადელფია 0:1
კოლორადო-პორტლენდი 3:1
ჩივასი-კანზასი 2:3
სან ხოსე-სოლტ ლეიკი 0:1
ლ ანჯელეს-ნ ინგლენდ გვ. დასრულდა

---

იტალიის ნაკრები

## პრანდელიმ შემადგენლობა დაასახელა

იტალიის ნაკრების თავკაცმა **ჩეზარე პრანდელიმ** იმ ფეხბურთელების გვარები დაასახელა, რომლებსაც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის ორ უახლოეს შეხვედრაში დაეყრდნობა. „სკუადრა აძურა“ სლოვენიის და უკრაინის ნაკრებებს შეეტოქება, ჩეზარე პრანდელის სია კი ასე გამოიყურება:

მეკარეები: ბუფონი (იუვენტუსი), სირიგუ (პალერმო), ვივიანო (ბოლონია).

მცველები: ასტორი (კალიარი), ბალცარეტი (პალერმო), ბონუჩი (იუვენტუსი), კიელინი (იუვენტუსი), კრიშიტო (ჯენოა), გასტალდელო (სამპდორია), მაჯო (ნაპოლი), რანოკია (ინტერი), სანტონი (ჩეზენა).

ნახევარმცველები: აკვილანი (იუვენტუსი), მარკიზიო (იუვენტუსი), მაური (ლაციო), მონტოლივო (ფიორენტინა), ტიაგო მოტა (ინტერი), ნოჩერინო (პალერმო), პაროლო (ჩეზენა).

თავდამსხმელები: კასანო (მილანი), ჯილარდინო (ფიორენტინა), ჯოვინკო (პარმა), მატრი (იუვენტუსი), პაცინი (ინტერი), როსი (ვილიარეალი, ესპანეთი).

ლაშა წიკლაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

### სამთო-სათხილამურო სპორტი

მსოფლიოს თასი




რიშის პირველი ტრიუმფი

# ვონს ამინდმა უღალატა

დრამატულად დასრულდა მსოფლიოს თასზე **ლინდსი ვონისა** და **მარია რიშის** ხუთთვიანი მარათონული დაპირისპირება. ამერიკელს სულ რაღაც სამი ქულა არ ეყო გენერალურ კლასიფიკაციაში გასამარჯვებლად და მსოფლიოს თასის ზედიზედ მეოთხედ მოსაპოვებლად.

თანამედროვეობის ორი საუკეთესო სამთომოთხილამურის დავაში ბუნება ჩაერია და ცუდი სამსახური გაუწია ლინდსის. მოგეხსენებათ, წვიმის გამო გაუქმდა სუპერგიგანტი - ვონის ერთ-ერთი საყვარელი დისციპლინა, რომელშიც ხშირად ამარცხებს რიშს და წელს ექვსიდან ოთხი დაშვება ჰქონდა მოგებული. შესაბამისად, დიდი ალბათობით შეიძლება იმის ვარაუდი, რომ აქ ვონი გაზრდიდა სხვაობას კონკურენტთან და გაიადვილებდა საქმეს სლალომისა და გიგანტური სლალომის წინ.

შემდეგი დისციპლინა სლალომი იყო, რომელშიც ვონი ყველაზე სუსტი გახლავთ. სწორედ ამ რბოლის შემდეგ დაიბრუნა საერთო ჩათვლაში ლიდერობა რიშმა. ის ფინიშზე მეოთხე მივიდა, ვონი კი მე-13 იყო, რის შემდეგაც საერთო ჩათვლაში ამერიკელის 27-ქულიანი უპირატესობა 3-ქულიან ჩამორჩენად იქცა, მაგრამ წინ იყო გიგანტური სლალომი და ლინდსის პირველი ადგილის დაბრუნების იმედი ჰქონდა, მით უმეტეს, თანაბარი ქულების შემთხვევაში მსოფლიოს თასის მფლობელად ვონი ცხადდებოდა, რადგან ამ სეზონში რიშზე მეტი გამარჯვება ჰქონდა მოპოვებული.

მაგრამ ძლიერი წვიმისა და ნისლის გამო ეს ეტაპიც გაუქმდა და რიშმა პრაქტიკულად უბრძოლველად მოიპოვა კარიერაში პირველად „ბროლის გლობუსი". თუმცა გერმანელის ტიტულს დაუმსახურებელს ვერ ვუწოდებთ. ის მთელი სეზონის განმავლობაში უგებდა ვონს და მხოლოდ ბოლოსკენ მოუკლო, როცა მარტის დასაწყისში იტალიის კურორტ ტარვიზიოში ვონს სამი დღის განმავლობაში სამი სტარტის მოგების საშუალება მისცა და 196-ქულიანი უპირატესობა გაფლანგა.

სხვათა შორის, მსოფლიოს თასის გენერალურ კლასიფიკაციაში სამქულიანი სხვაობა მეორედ დაფიქსირდა. პირველად ეს 2005 წელს მოხდა, როცა შვედმა **ანია პერსონმა** გაუსწრო ლეგენდარულ ხორვატ **იანიცა კოსტელიჩს**.

რიში მესამე გერმანელი ქალია, ვინც „ბროლის გლობუსი" მოიპოვა. მანამდე სეზონის მოგება შეძლეს **როზი მიტერმაიერმა** (1976) და **კატია ზაიცინგერმა** (1996, 1998). მარია სტაბილურობის ხარჯზე გახდა სეზონის ტრიუმფატორი. როგორც გითხარით, მან 2010-11 წლების სეზონში ვონზე ორით ნაკლები სტარტი მოიგო, თანაც არც დისციპლინაში არ მოუპოვებია „ბროლის მცირე გლობუსი", ლინდსი კი სამ კატეგორიაში - სუპერკომბინაციაში, სწრაფდაშვებასა და სუპერგიგანტში იყო პირველი, უბრალოდ, ამერიკელს ცუდი სამსახური გაუწია სლალომში სუსტმა გამოსვლამ.

#### ლენცერჰაიდი (შვეიცარია)

##### სლალომი. ქალები

1. **ტინა მაზე** (სლოვენ) - 1:29.33 (44.08+45.25); 2. **მარლის შილდი** (ავსტრია) - 1:29.38 (43.38+46.00); 3. **ვერონიკა ზუზულოვა** (სლოვაკ) - 1:29.97 (44.92+45.05); 4. **მარია რიში** (გერ) - 1:29.99 (43.87+46.12); 5. **მარია პიეტილაე-ჰოლმნერი** (შვედ) - 1:30.00 (44.29+45.71); 6. **კატრინ ცეტელი** (ავსტრია) - 1:30.07 (44.40+45.67)...

##### საერთო ჩათვლა

1. **მარია რიში** (გერ) - 1728 ქულა; 2. **ლინდსი ვონი** (აშშ) - 1725; 3. **ტინა მაზე** (ნორ) - 1139; 4. **ელიზაბეტ გიორგლი** (ავსტრია) - 992; 5. **ჯულია მანკუზო** (აშშ) - 976; 1. **მარლის შილდი** (ავსტრია) - 756...

##### სლალომი. კაცები

1. **ჯულიანო რაცოლი** (იტა) - 1:25.72 (41.99+43.73); 2. **მარიო მატი** (ავსტრია) - 1:25.75 (41.27+44.48); 3. **ფელიქს ნოიროიტერი** (გერ) - 1:25.97 (41.46+44.51); 4. **მარკ ჯინი** (შვეიც) - 1:26.17 (42.62+43.55); 5. **მაიკლ იანიკი** (კან) - 1:26.19 (42.66+43.53); 6. **ანდრე მიურერი** (შვეიც) - 1:26.33 (41.93+44.40)...

##### საერთო ჩათვლა

1. **ივიცა კოსტელიჩი** (ხორ) - 1356; 2. **დიდიე კუში** (შვეიცარია) - 956; 3. **კარლო იანკა** (შვეიც) - 793; 4. **აქსელ ლუნდ სვინდალი** (ნორ) - 789; 5. **მიხაელ ვალჰოფერი** (ავსტრია) - 727; 5. **სილვან ცურბრიგენი** (შვეიც) - 723...

### კალათბურთი

## აივერსონი თურქეთში დაბრუნდა

NBA-ის ლეგენდარული მცველი **ალენ აივერსონი**, სავარაუდოდ, დღეიდან განაახლებს სავარჯიშო პროცესს.

სამშობლოში ორთვიანი მკურნალობის შემდეგ ვეტერანი თურქეთში დაბრუნდა, სადაც მას ადგილობრივი ექიმები შეამოწმებენ. თუ სამედიცინო შემოწმებამ წარმატებით ჩაიარა, აივერსონი ორშაბათიდან შეუერთდება „ბეშიქთაშს" და პლეი ოფის მატჩებისთვის დაიწყებს მზადებას.

შეგახსენებთ, რომ წლის დასაწყისში აივერსონს ფეხის სერიოზული პრობლემა დაუდგინეს, თუმცა ამერიკელმა მცველმა უარი თქვა ოპერაციაზე და ინიექციის კურსი გაიარა.

ბოლო კვირის განმავლობაში ალენი ამერიკაში მსუბუქი ვარჯიშებით იყო დაკავებული: მოკლე გარბენები და კალათში სროლები.

## რივერსი ერთი წელი დაისვენებს

„ბოსტონ სელტიქსის" დამრიგებელი **დოკ რივერსი** კალათბურთისგან ცოტა ხნით დასვენებას აპირებს. ეს სპეციალისტი **ფილ ჯექსონისა** და **გრეგ პოპოვიჩის** მსგავსად ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ერთ-ერთ „ხელშეუხებელ" მწვრთნელად მიიჩნევა.

ESPN-ის ინფორმაციით, რივერსი სერიოზულად ფიქრობს მიმდინარე სეზონის შემდეგ ერთწლიანი პაუზის აღებას. მას სურს ჩამოშორდეს იმ დაძაბულობას, რასაც NBA-ის ჩემპიონატი იწვევს და თავისი ვაჟის კარიერას მიხედოს, რომელიც წარმატებით გამოდის სკოლის გუნდში.

იტყობინებიან, რომ „სელტიქსის" გენერალურ მენეჯერ **დენი ეინჯს** რივერსის შესაცვლელად საიდუმლო კანდიდატი ჰყავს.

### კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ჩიკაგომ დაცვა დაივიწყა

ძალიან ხშირად მიმოხილვების დროს „მაიამის" „დიდი ტრიოს" გმირობების შესახებ გვიწევს წერა, მაგრამ ამ უქმეებზე გამორჩეული თამაში აჩვენა „სან ანტონიოს" სამეულმა. ყველაზე პრინციპული მეტოქის - „დალასის" წინააღმდეგ **ტონი პარკერმა, მანუ ჯინობილიმ** და **ტიმ დანკანმა** საერთო გუნდური 97 ქულიდან 80 ქულა (33 - პარკერი, 25 - ჯინობილი, 22 - დანკანი) დააგროვეს და საკუთარ გუნდს „მავერიქსთან" დამსახურებული გამარჯვება მოუტანეს. ამასთან, მათ შესაშური ეფექტურობა გამოავლინეს. მხოლოდ პარკერმა დაყო მოედანზე 33 წუთზე მეტი, სროლების ყველაზე უარესი პროცენტი კი ჯინობილის ჰქონდა - 16-დან შვიდი.

საფინალო სირენამდე შვიდი წუთითა და 26 წამით ადრე „სპურსის" უპირატესობა მინიმალური იყო - 73:71. ამის შემდეგ **გარი ნილმა**, ჯინობილიმ და პარკერმა თითო სამქულიანი ჩააგდეს და **რიკ კარლაილი** იძულებული გახდა ტაიმ-აუტი აეღო. მისმა სათამაშო კორექტივებმა არ გაამართლეს, „სან ანტონიომ" კი იმავე ჯინობილისა და დანკანის მონდომებით კიდევ შვიდი უპასუხო ქულა აიღო და 14-ქულიანი კომფორტული უპირატესობა მოიპოვა. დარჩენილ ორწუთნახევარში „დალასმა" ოთხ ქულამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ უფრო მეტის გასაკეთებლად დრო საკმარისი არ აღმოჩნდა.

■ ■ ■

უცნაურად წარიმართა შეხვედრა აღმოსავლეთის ლიდერ „ჩიკაგოსა" და „ინდიანას" შორის. „ხარები" ამ მატჩამდე ზედიზედ რვა მოგებით მივიდნენ და სერიის გაგრძელების იმედი ჰქონდათ, მაგრამ ვერ მოახერხეს ამის გაკეთება, პირველ რიგში, იმის გამო, რომ თავი შეირცხვინა **ტომ ტიბოდოს** გუნდის ნაკრებმა დაცვამ. მარტო პირველ ტაიმში „ინდიანამ" ლიდერს 62 (!) ქულა ჩაუგდო. ცნობისთვის, წინა ექვსი მატჩიდან ოთხში „ჩიკაგოს" მეტოქეები მთელი შეხვედრის განმავლობაში 80 ქულამდეც ვერ ადიოდნენ.

„პეისერსმა" პირველ ტაიმში კარგი თამაში არ იკმარა და მესამე მეოთხედში მისი უპირატესობა 20 ქულამდე გაიზარდა - 79:59, ბოლო მეოთხედის წინ კი მასპინძლები 16 ქულით იყვნენ წინ - 89:73.

„ხარების" გადარჩენა **დერიკ როუზმა** იტვირთა და კარგადაც გამოუვიდა. MVP-ის პრიზის მთავარმა პრეტენდენტმა ძირითადი დროის ბოლო 7 წუთში 18 ქულა დააგროვა, თანაც დროის ერთ მონაკვეთში ზედიზედ 12 ქულა მიითვალა. „ჩიკაგომ" საფინალო სირენამდე 10:2 გაქცევა მოაწყო, ანგარიში კი იმავე როუზმა გაათანაბრა.

მაგრამ დაიწყო ოვერტაიმი და დერიკის გმირობები დასრულდა. მან თავიდანვე სამი ბურთი ააცილა და ერთხელ შეცდომა დაუშვა, „ინდიანამ" კი ზედიზედ შვიდი ქულა მოიპოვა და მატჩის ბოლომდე შეცდომები აირიდა თავიდან. „ჩიკაგომ" 43 წამით ადრე სამ ქულამდე შეამცირა სხვაობა, მაგრამ როუზმა (მან ამ მატჩში 42 ქულით პირადი რეკორდი გაიმეორა) მეექვსე პერსონალური მიიღო **მაკრობერტსზე**, რომელმაც ორივე საჯარიმო გამოიყენა, „ბულზის" რიგებში აღარ იყო ისეთი კალათბურთელი, რომელიც გუნდს გადაარჩენდა.

#### 18 მარტი

**ინდიანა-ჩიკაგო 115:108 (ო)**

31:21, 31:27, 27:25, 13:29, 13:6

**ი:** ჰენსბრო (29+12 მოხსნა), გრეინჯერი (19), კოლისონი (17+8 პასი), ჰიბერტი (15+7 მოხსნა).

**ჩ:** როუზი (42), დენგი (21+10 მოხსნა), ნოა (17), გიბსონი (8+16 მოხსნა).

**ორლანდო-დენვერი 85:82**

18:21, 29:21, 17:18, 21:22

**ო:** ჰოვარდი (16+18 მოხსნა+5 დაფარება), თურქოგლუ (15+9 მოხსნა+8 პასი), ბასი (13+8 მოხსნა), რიჩარდსონი (13+5 პასი), ნელსონი (13).

**დ:** ჩენდლერი (20), გალინარი (17), ნენე (14+9 მოხსნა).

**ტორონტო-ვაშინგტონი 116:107**

33:27, 29:26, 26:24, 28:30

**ტ:** ბარნიანი (33+5 პასი), დეროზანი (30), კალდერონი (17+6 პასი), ბარბოზა (15), ევანსი (7+15 მოხსნა).

**ვ:** ბუკერი (26+13 მოხსნა), კროუფორდი (25), უოლი (21+7 პასი), ევანსი (15), მაკგი (11+12 მოხსნა).

**ატლანტა-მაიამი 85:106**

21:25, 16:25, 20:36, 28:20

**ა:** უილიამსი (15), უილკინსი (14), ტიგი (13+6 პასი), ჰორფორდი (11), სმიტი (10).

**მ:** ჯეიმსი (43), ბოში (17+10 მოხსნა), უეიდი (14+5 პასი).

**დეტროიტი-ნიუ იორკი 99:95**

26:25, 29:28, 15:25, 29:17

**დ:** პრინსი (16), ვილანუევა (14), უილკოქსი (13+12 მოხსნა), სტაკი (12), დეი (11), გორდონი (10).

**ნ-ი:** სტაუდმაიერი (20+12 მოხსნა), დუგლასი (20+11 პასი), უილიამსი (17+9 მოხსნა), ბილაპსი (12).

**ოკლაჰომა-შარლოტი 99:82**

26:18, 19:25, 29:22, 25:17

**ო:** დურანტი (25), ჰარდენი (21), უესტბრუკი (18+7 პასი), იბაკა (12+13 მოხსნა+5 დაფარება).

**შ:** ჯექსონი (18), დიაო (13+5 პასი), კანინგემი (10+7 მოხსნა).

**დალასი-სან ანტონიო 91:97**

20:30, 25:20, 21:23, 25:24

**დ:** ნოვიცკი (23+9 მოხსნა), ტერი (19+5 პასი), მერიონი (13), ბარეა (13).

**ს-ა:** პარკერი (33), ჯინობილი (25+5 პასი), დანკანი (22+8 მოხსნა).

**ჰიუსტონი-ბოსტონი 93:77**

28:22, 34:18, 19:16, 12:21

**ჰ:** მარტინი (25), ლოური (20+9 პასი), პატერსონი (18+12 მოხსნა), ჰეიესი (11+11 მოხსნა).

**ბ:** გრინი (17), დევისი (16+7 მოხსნა), გარნეტი (11), პირსი (10).

**მილუოკი-ნიუ ჯერსი 110:95**

29:26, 23:28, 28:19, 30:22

**მ:** დელფინო (26+8 მოხსნა), სალმონსი (25+7 პასი), ჯენინგსი (16+10 პასი), მბა ა მუტე (13), ბოგუტი (13+7 მოხსნა).

**ნ-ჯ:** ლოპესი(25), უილიამსი (18+9 პასი), ჰემფრიზი (10+11 მოხსნა).

**ფინიქსი-გ. სტეიტი 108:97**

27:20, 23:18, 34:27, 24:32

**ფ:** გორტატი (18+9 მოხსნა), ნეში (17+10 პასი), ფრაი (17+9 მოხსნა), ჰილი (17+7 მოხსნა), კარტერი (10).

**გ-ს:** რაიტი (30), ლი (16+10 მოხსნა), კარი (15+5 პასი).

**საკრამენტო-ფილადელფია 80:102**

23:32, 15:23, 16:25, 26:22

**ს:** კაზინსი (19+12 მოხსნა), კასპი (14), უდრიხი (13+5 პასი), დალემბერი (6+13 მოხსნა), ტომპსონი (4+10 მოხსნა).

**ფ:** ჰოლიდეი (15+9 მოხსნა+5 პასი), უილიამსი (14), იგუოდალა (13+9 პასი+7 მოხსნა), ბრენდი (10), იანგი (9+10 მოხსნა).

**ლეიკერსი-მინესოტა 106:98**

21:27, 28:24, 29:23, 28:24

**ლ:** გასოლი (25), ბრაიანტი (18+5 პასი), ბრაუნი (14), ბინუმი (10+14 მოხსნა).

**მ:** ჯონსონი (29), ბიზლი (18+7 მოხსნა), ლავი (15+13 მოხსნა), უებსტერი (10).

#### 19 მარტი

**კლიპერსი-კლივლენდი 100:92**

25:28, 29:22, 28:28, 18:14

**კლიპ:** გრიფინი (30+8 მოხსნა+8 პასი), გორდონი (29+5 პასი), სმიტი (12), უილიამსი (11+5 პასი).

**კლივ:** ჰიქსონი (28+9 მოხსნა), სეშენსი (18+7 პასი), სამუელსი (17), გიბსონი (10).

**მაიამი-დენვერი 103:98**

29:21, 27:26, 23:24, 24:27

**მ:** ჯეიმსი (33), უეიდი (32), ბოში (18+11 მოხსნა+6 პასი), ბიბი (14).

**დ:** სმიტი (27), გალინარი (23), ლოუსონი (16+7 მოხსნა+6 პასი), ჩენდლერი (12), ნენე (10).

**ნიუ ორლეანი-ბოსტონი 85:89**

28:14, 23:26, 13:27, 21:22

**ნ-ო:** უესტი (32+8 მოხსნა), ბელინელი (23), ოკაფორი (10+11 მოხსნა), არიზა (10+8 მოხსნა), პოლი (4+15 პასი+7 მოხსნა).

**ბ:** დევისი (20+8 მოხსნა), ალენი (20), გარნეტი (12+9 მოხსნა), გრინი (10).

**მემფისი-ინდიანა 99:78**

27:20, 31:21, 18:19, 23:18

**მ:** ალენი (19+11 მოხსნა+6 პასი+6 ჩაჭრა), რენდოლფი (17+10 მოხსნა), კონლი (17+9 პასი), გასოლი (10).

**ი:** გრეინჯერი (17), კოლისონი (17), ჰენსბრო (14).

**სან ანტონიო-შარლოტი 109:98**

24:13, 34:28, 32:27, 19:30

**ს-ა:** ნოვაკი (19), ნილი (15), ჰილი (12+9 პასი), ჯინობილი (11+6 პასი), ბონერი (10).

**შ:** ჰენდერსონი (19), დიაო (16), უაიტი (13), ლივინგსტონი (10+8 პასი), ტომასი (10).

**პორტლენდი-ფილადელფია 110:101**

36:27, 26:27, 25:29, 23:18

**პ:** მეტიუზი (28), უილასი (25+8 პასი), ოლდრიჯი (18+7 მოხსნა+5 პასი), ბატუმი (16).

**ფ:** უილიამსი (24), იანგი (19), მიქსი (17), ბრენდი (10+9 მოხსნა), ნოჩიონი (10), ჰოლიდეი (7+10 პასი).



შეტევაზე მანუ ჯინობილი



ჯეისონ კიდი

### ვარსკვლავების პრობლემები

# დერონი სეზონს ასრულებს, კიდი – კარიერას

„ნიუ ჯერსი ნეტსის" გამთამაშებელმა **დერონ უილიამსმა**, შესაძლოა, ვადაზე ადრე დაასრულოს რეგულარულ ჩემპიონატში გამოსვლა. NBA-ის ვარსკვლავმა „მილუოკისთან" მატჩში გაიმიზეზა საზარდულის ტრავმა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ეივერი ჯონსონმა** ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გამთამაშებლის სათადარიგოთა სკამზე დასმა უნდოდა, მაგრამ თავად დერონმა ითხოვა მატჩის ბოლომდე თამაში.

„კალათბურთს ვაღმერთებ და ვერ ვიტან სათადარიგოთა სკამზე ჯდომას ან თამაშების გამოტოვებას. ჩემთვის ეს რთული გადასატანია. შესაძლოა, ეს ყველაფერი უკეთესიც იყო - ვნახოთ, როგორ ვიგრძნობ თავს უახლოეს დღეებში. ტყორცნის შესრულება მიჭირს. ყოველთვის, როცა ბურთს ვისვრი, საკუთარ ორგანიზმს ვუსმენ. ეს ჩემთვის ფსიქოლოგიურ ზეწოლასავითაა", - მოჰყავს დერონის სიტყვები ESPN-ს.

■ ■ ■

სხვა საზრუნავი აქვს კიდევ ერთ ვარსკვლავ გამთამაშებელს **ჯეისონ კიდს**, რომელსაც ამ კვირას 38 წელი უსრულდება. მან Yahoo! Sports-თან ინტერვიუში განაცხადა, რომ ეს სეზონი, შესაძლოა, ბოლო იყოს მის კარიერაში. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, გამოცხადდება თუ არა ამ ზაფხულს ლიგაში ლოკაუტი.

„თუ 2011-12 წლების სეზონი ლოკაუტის გამო ჩაიშლება, შემდეგ ჩემთვის რთული იქნება კალათბურთში დაბრუნება, - ამბობს კიდი. - სავარაუდოდ, დავასრულებ ჩემი ცხოვრების ამ ეტაპს და სხვა საქმეს მოვნახავ, მით უმეტეს, რომ მაქვს რამდენიმე ვარიანტი. მაგალითად, კარგ დამოკიდებულებაში ვარ ცნობილ ფინანსისტ სტივ ვინთან. ის აშშ-სა და მაკაოში სასტუმროებისა და კაზინოების ბიზნესით არის დაკავებული და დიდი ხანია თავისთან მიხმობს. გარდა ამისა, შემიძლია NBA-ის კლუბის მენეჯერად ვიმუშაო. თუმცა კლავინდებურად დიდი იმედი მაქვს, რომ ლოკაუტი არ შედგება და მინიმუმ 2011-12 წლების სეზონს ვითამაშებ, რის შემდეგაც მართლა წავალ კალათბურთიდან".

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

## კრივი. სატიტულო ბრძოლა



საბედისწერო მომენტი

# არშემდგარი სანახაობა

## ვიტალი კლიჩკომ კრივის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სასაცილო ბრძოლა მოიგო

უკრაინელმა მძიმეწონოსანმა **ვიტალი კლიჩკომ** კარიერაში მეექვსედ დაიცვა WBC-ის ტიტული, თანაც ამისთვის არ დასჭირვებია ენერგიის დახარჯვა და მთელი თავისი ოსტატობის გამოვლენა. კიოლნში გამართული ბრძოლის პირველივე რაუნდში უკრაინელმა ნოკდაუნში გაგზავნა კუბელი **ოდლანიერ სოლისი**, რომელმაც რიგზე დაცემის შემდეგ მუხლი დაიზიანა და უარი თქვა ბრძოლის გაგრძელებაზე. ასე დასრულდა კრივის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სასაცილო და კურიოზული ბრძოლა.

■ ■ ■

რინგზე დაბრუნებიდან ორწლინახევრის განმავლობაში უფროსმა კლიჩკომ ექვსი ბრძოლის გამართვა მოასწრო და ყველაში გამარჯვებული გამოვიდა. ბოლო შეხვედრაში ვიტალიმ ისე გალახა **შენონ ბრიგსი**, რომ ეს უკანასკნელი საავადმყოფოში აღმოჩნდა. ბრიგსმა, რომელმაც 12 რაუნდი გაუძლო უკრაინელის დარტყმებს, კუნთი გაიწყვიტა, ტვინის შერყევა მიიღო და სახის რამდენიმე ძვალი გაიტეხა. ასე რომ, უფროსი კლიჩკოს წინააღმდეგ რინგზე გასვლა ცოტათი საშიშიც კი გახდა, რადგან შეიძლება ნებისმიერი მოწინააღმდეგე ინვალიდი გახდეს. თუმცა მისი პოტენციური მეტოქეები სხვა მიზეზითაც ამბობდნენ უარს უკრაინელის წინააღმდეგ რინგზე გასვლაზე.

კერძოდ, რუსი **ნიკოლაი ვალუევი** თითქმის ორი წელი ცდილობდა ვიტალისთან მოლაპარაკებას, მაგრამ ჰონორარის ოდენობაზე ვერ მოურიგდა. ძმები კლიჩკოები არა მარტო კარგი მოკრივეები, არამედ მოხერხებული ბიზნესმენებიც არიან - ისინი პრომოუტერულ კომპანია K2-ს ფლობენ და ფინანსურ ბრძოლებშიც ისევე სტაბილურად იმარჯვებენ, როგორც რინგზე. აქედან გამომდინარე, ბოლო დროს მათ მიერ დამარცხებულ მოწინააღმდეგეებს ექსპერტები „ტომრებს“ უწოდებდნენ. თუმცა ამ სიტყვის ხმარება **ოდლანიერ სოლისთან** მიმართებაში არ იქნებოდა მართებული. 30 წლის ოლიმპიური ჩემპიონი და სამგზის მსოფლიოს ჩემპიონი, პროფესიულ რინგზე 17 ბრძოლა და არც ერთი დამარცხება - ასეთი იყო კუბელის დოსიე ამ ბრძოლის წინ. სოლისს მართლაც გააჩნდა ძალიან ძლიერი და მოხერხებული მოკრივის რეპუტაცია, ვისაც რეალურად შეეძლო ვიტალისთვის პრობლემების შექმნა.

*„სოლისმა იცის, რომ ეს მთელი მისი ცხოვრების შანსია. კლიჩკოს ბოლო მოწინააღმდეგეებისგან განსხვავებით, მას არა ფული, არამედ ტიტული აინტერესებს. როგორ ფორმაშია ბრძოლის წინ? მოდით, ამაზე შეხვედრის შემდეგ ვილაპარაკოთ, როცა მას საჩემპიონო ქამარი ექნება, ვიტალის კი საავადმყოფოში გაგ ზავნიან“*, - ტრაბახობდა კუბელის პრომოუტერი **აჰმეთ ონერი**. ასეთ რეპლიკებს ყველა მიჩვეულია, სამაგიეროდ, კრივის მოყვარულები ჩააფიქრა ვიტალის განცხადებებმა: *„სოლისი იმაზე უკეთეს ფორმაშია, ვიდრე მეგონა“*, ან *„ნოკაუტს ვერ გპირდებით“*... ბევრს სჯეროდა, რომ უკრაინელს როგორც იქნა ღირსეული მეტოქე გამოუჩნდა.

■ ■ ■

ბრძოლის წინ გერმანულმა გაზეთმა „ბილდმა“ ძმები კლიჩკოების კარიერის საწყისი ეტაპიდან სახალისო დეტალები გაიხსენა. როგორც გაირკვა, მათ სერიოზულად სთავაზობდნენ ფსევდონიმების აღებას: **ვალტერ** და **ვილი კლიჩმანები**. ასე უფრო იოლი იქნებოდა უკრაინელთა „გაპიარება“ გერმანული პუბლიკის წინაშე. ძმებმა უარი თქვეს და სწორადაც მოიქცნენ - გერმანიაში მათ ადგილობრივ მოკრივეებზე მეტ პატივს სცემენ.

გასაკვირი არ არის, რომ კიოლნის Lanxess-Arena-ზე ანშლაგი იყო. მაყურებელი დიდ ბრძოლასა და კლიჩკოს მორიგ გამარჯვებას ელოდა. უკრაინელმა მართლაც მოიგო, მაგრამ განრისხებული პუბლიკა აღშფოთებული ტოვებდა სტადიონს - მათ პრაქტიკულად არაფერში გადაიხადეს სოლიდური თანხა.

კლიჩკო მძიმე მუსიკის თანხლებით გავიდა კორტზე. მის სახეზე ვერანაირ ემოციას ვერ ამოიკითხავდით, სამაგიეროდ, იღიმებდა მისი ძმა - IBF-სა და WBO-ის ჩემპიონი **ვლადიმირ კლიჩკო**, რომელიც თითქოს წინასწარ გრძნობდა ვიტალის ტრიუმფს. ამ დროს სოლისი რინგზე თავის კუთხეში უცნაურ ცეკვას ასრულებდა, სეკუნდანტები კი მხარზე ხელის დარტყმით ამხნევებდნენ პრეტენდენტს.

პირველი რაუნდი სოლისმა ცოცხლად დაიწყო. მან რამდენჯერმე მოარტყა კლიჩკოს, უკრაინელის შეტევას კარგი კონტრშეტევით უპასუხა. სერიოზული არაფერი, მაგრამ კუბელმა თითქოს მიგვანიშნა, რომ წინ დაძაბული და თანაბარი ბრძოლა გველოდა.

შესაძლოა, ასეც ყოფილიყო, რომ არა სასტარტო რაუნდის ბოლოს უსიამოვნო მომენტი, რომელიც სოლისს შეემთხვა. კუბელი იმ დროისთვის ძალიან გათამამდა პირველ ნომრად მოქმედება გადაწყვიტა და რაუნდიც თითქოს მას უნდა მოეგო, მაგრამ ბოლო წამებზე თავში მოხვდა ვიტალის ჯები. დარტყმა არც თუ ისე ძლიერი იყო, თუმცა სოლისი მოულოდნელად რინგზე დაეცა. რეფერიმ ათი წამის ათვლა დაიწყო, კუბელი ბოლოსკენ წამოდგა, რინგზე არამყარად იდგა და სახეზე ტკივილი ჰქონდა აღბეჭდილი. სწორედ ეს გახდა ბრძოლის გაჩერების მიზეზი. ჩემპიონი კუბელს მივარდა და რაღაცის ახსნა დაუწყო.

როგორც ჩანს, ვიტალი მაყურებელზე ფიქრობდა, რომელმაც გამაყრუებელი სტვენა ატეხა. ბილეთებში გადახდილი ფულის სანაცვლოდ მას უფრო მეტის ნახვა სურდა, ვიდრე სამწუთიანი დაზვერვისა და ერთი ორი დარტყმისა. მაგრამ გამეორებაზე გამოჩნდა, რომ სოლისის მხრიდან სიმულაციას არ ჰქონია ადგილი - მას მართლაც გადაუბრუნდა ფეხი და ამას ტრავმა მოჰყვა.

ცოტა ხანში სოლისმა ბოდიში მოუხადა მაყურებელს, მისი პრომოუტერი აჰმეთ ონერი კი მიღებული შოკისგან ხმას ვერ იღებდა. კლიჩკოც არ იყო გახარებული ასეთი სცენარით და დიდი ხანი უხდიდა ბოდიშს თავის ერთგულ პუბლიკას.

ახლა, სავარაუდოდ, უფროს კლიჩკოს მორიგი ბრძოლა სექტემბერში ექნება პოლონელ **ტომაშ ადამეკთან**, რომელთანაც წინასწარი კონტრაქტი ორი თვის წინ გააფორმა, მის ძმას კი სადღაც ივნისში ან ივლისში ტიტულების გამაერთიანებელი შეხვედრა ელის WBA-ის ჩემპიონ **დევიდ ჰეის** წინააღმდეგ.

■ ■ ■

ბრძოლის შემდეგ ვიტალი კლიჩკომ მცირე ინტერვიუ მისცა ტელეარხ Sky Sport-ს: *„მზად ვიყავი კარგი ბრძოლის ჩასატარებლად და იმედი მქონდა, რომ ბრძოლა ერთ რაუნდზე მეტხანს გაგრძელდებოდა. მაგრამ ეს კრივია: ერთი დარტყმა და ყველაფერი დასრულდა“*.

რამდენიმე თვის შემდეგ ვიტალის 40 წელი შეუსრულდება და რინგიდან სავარაუდო წასვლის შესახებ მან ასე უპასუხა: *„თავს შესანიშნავად ვგრნობ, დიდი გამოცდილება გამაჩნია, ჩემი სხეული მემორჩილება. ისეთი შეგრძნება მაქვს, რომ მსოფლიოში ვერავინ დამამარცხებს“*.

ამ სიტყვების შემდეგ ვიტალის ვლადიმირ კლიჩკო მიუახლოვდა და უფროსმა ძმამ დაამატა: *„არ მინდა ვლადიმირთან ჩხუბი, რადგან ის ერთადერთია, ვინც შეიძლება დამამარცხოს“*.

დევიდ ჰეისთან დაკავშირებით ვიტალიმ ასეთი კომენტარი გააკეთა: *„დევიდ ჰეის გაუმართლა, რომ ჩემს ძმასთან უწევს შეხვედრა, რადგან მე უფრო მტკივნეულად და სწრაფად დავასრულებდი საქმეს. ვლადიმირის წინააღმდეგ ბრძოლა 12 რაუნდი გაგრძელდება და ბოლო რაუნდში ჩემი ძმა მას ნოკაუტში გაგ ზავნის“*.

*„დევიდ ჰეიმ უფრო სუსტთან, ანუ ჩემთან ბრძოლა აირჩია. დღევანდელი შეხვედრის შემდეგ ის იტყოდა: „ვიტალი ჯერ არა, შემდეგი ვლადიმირი იყოს, რადგან ის უმცროსი და სუსტია“. ასე რომ, ჰეი მე მერგება“*, - ეს უკვე ვლადიმირ კლიჩკოს სიტყვებია.

## ცხელი ხაზი

| კალათბურთი | |
|---|---|
| **NBA** | |
| ვაშინგტონი-ნიუ ჯერსი | 98:92 |
| ატლანტა-დეტროიტი | 104:96 |
| მილუოკი-ნიუ იორკი | 100:95 |
| კლიპერსი-ფინიქსი | 99:108 |
| მინესოტა-საკრამენტო | 95:127 |
| **გერმანია** | |
| ბრემერჰავენი-გისენი | 79:65 |
| ულმი-ტრირი | 90:85 (ო) |
| ბამბერგი-მიტლდოიჩე | 79:53 |
| სკაილაინერსი-ალბა | 70:79 |
| ბაიროიტი-ლუდვიგსბურგი | 90:79 |
| გოტინგენი-ჰაგენი | 99:90 |
| ოლდენბურგი-ტელეკომ ბონი | 75:73 |
| **საბერძნეთი** | |
| მარუსი-ირაკლისი | 74:66 |
| პანიონიოსი-კოლოსოსი | 74:83 |
| **ესპანეთი** | |
| სარაგოსა-მენორკა | 76:65 |
| ალიკანტე-ვალიადოლიდი | 65:72 |
| ხირონა-ხუვენტუდი | 74:76 |
| გრან კანარია-ბილბაო | 90:82 (ო) |
| **იტალია** | |
| ვანოლი-რომა | 83:70 |
| მილანი-მონტეგრანარო | 87:68 |
| ბოლონია-ვარეზე | 69:71 |
| აველინო-ბიელა | 83:76 |
| ბრინდიზი-სასარი | 102:85 |
| **[illegible]** | |
| ოლინი-ფენერბაჰჩე | 78:83 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **NHL** | |
| პიტსბურგი-რეინჯერსი | 2:5 |
| **კჰლ** | |
| სკა-ატლანტი | 2:3 (ო) |
| **ავსტრია** | |
| ზალცბურგი-ვენა | 2:1 (ო) |
| კლაგენფიურტი-ვილახი | 2:1 |
| **სლოვაკეთი** | |
| ბისტრიცა-პოპრადი | 2:3 |
| **ნორვეგია** | |
| სპარტა-ლილეჰამერი | 4:2 |
| სტავანგერი-ლორენსკოგი | 2:3 |
| **ჩეხეთი** | |
| ბრნო-სპარტა | 3:2 |
| ბოლესლავი-კლადნო | 1:2 |
| ვიტკოვიცე-პარდუბიცე | 2:3 |
| **შვედეთი** | |
| ლულეა-იურგორდენი | 4:3 (ო) |
| შელეფტეო-ლინჩოპინგი | 3:2 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. ინდიან უელსი** | |
| ჯოკოვიჩი-ნადალი | 4:6, 6:3, 6:2 |
| **WTA. ინდიან უელსი** | |
| ვოზნიაცკი-ბარტოლი | 6:1, 2:6, 6:3 |

## TV პროგრამა

**21 მარტი. ორშაბათი**

**НТВ-პლუსი (სპორტი)**

**03:30** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-პიტსბურგი (LIVE).

**НТВ-პლუსი (ჩვენი ფეხბურთი)**

**19:10** ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. კრილია-ცსკა (LIVE).
**21:30** ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. სპარტაკი-ვოლგა (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**04:00** NBA. რეგულარული ჩემპიონატი. მემფისი-იუტა (LIVE).

**SPORT+**

**20:10** ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ზენიტი-ანჟი (LIVE).
**03:30** ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. დეტროიტი-პიტსბურგი (LIVE).

**EUROSPORT**

**12:30** ქიორლინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. კანადა-შოტლანდია. დანია (LIVE).
**18:00** ქიორლინგი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ქალები. გერმანია-შოტლანდია. დანია (LIVE).

**EUROSPORT-2**

**23:15** ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა. ბოხუმი-კოტბუსი (LIVE).
**02:00** ფეხბურთი. სამხრეთ ამერიკის თასი (იუნიორები). ეკვადორი-ურუგვაი. ეკვადორი (LIVE).

## ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

**18 მარტი**

**კაროლინა-აილენდერსი 3:2 (ო)**

1:1, 0:1, 1:0, 1:0

**გოლები:** 1:0 სკინერი-25 (ი. იოკინენი-31, ტ. რუუტუ-31), 1:1 ნილსენი-10 (გრაბნერი-15, მარტინეკი-11), 1:2 გრაბნერი- 29 (ჰამონიკი-18, ნილსენი-30), 2:2 კოული-20 (სტილმანი-21), 3:2 პიტკანენი-3 (სკინერი-27, ე. სტაალი-35).

**ნიუ ჯერსი-ვაშინგტონი 0:3**

0:1, 0:1, 0:1

**გოლები:** 0:1 შულცი-1 (ნუბლი-14, ვიდემანი-30), 0:2 ნუბლი-18 (ჯ. კარლსონი-25, ოვეჩკინი-47), 0:3 ნუბლი-19 (ოვეჩკინი-48, ჯ. კარლსონი-26).

**რეინჯერსი-მონრეალი 6:3**

5:1, 0:1, 1:1

**გოლები:** 1:0 ანისიმოვი-17, 1:1 სუბანი-8 (პუიო-14, დეშარნე-11), 2:1 ჟირარდი-4 (კრისტენსენი-13, (ცუკარელო-15), 3:1 კელეჰანი-22 (ანისიმოვი-22, დუბინსკი-27), 4:1 გაბორიკი-21 (კრისტენსენი-14, პროსპალი-11), 5:1 ბ. ბოილი-21 (მ. სტაალი-18, პრუსტი-15), 5:2 ვიშნიევსკი-9 (ჰამრლიკი-27, ჯონტა-14), 5:3 ჯონტა-26 (ვიშნიევსკი-36, კამალერი-23), 6:3 პროსპალი-5 (ჟირარდი-26, მ. სტაალი-19),

**ვანკუვერი-ფინიქსი 1:3**

0:0, 0:0, 1:3

**გოლები:** 0:1 ვრბატა-18 (ბელანჟე-22, დოუნი-37), 0:2 დოუნი-18 (ვრბატა-26, შლემკო-8), 1:2 ერჰოფი-11 (სამუელსონი-32, დ. სედინი-55), 1:3 სტემპნიაკი-17 (ბელანჟე-23).

**19 მარტი**

**მინესოტა-კოლამბუსი 4:5 (ო)**

1:1, 1:1, 2:2, 0:1

**გოლები:** 0:1 ნეში-30 (დორსეტი-11, პალსონი-11), 1:1 შტაუბიცი-1 (მადენი-11, სტოუნერი-5), 2:1 კლატერბეკი-19 (მ. კოივუ-36, მადენი-12), 2:2 რასელი-5 (ლეპისტო-8, ნეში-33), 2:3 ჰეიდა-5 (ნეში-34, ლეპისტო-9), 2:4 ნეში-31 (ბრასარი-27, ლეპისტო-10), 3:4 მიეტინენი-12 (შულცი-14, მ. კოივუ-37), 4:4 ბუშარი-9 (სპარჯონი-8, კულენი-26), 4:5 ვერმეტი-17.

**ბაფალო-ატლანტა 8:2**

3:1, 2:1, 3:0

**გოლები:** 1:0 პომინვილი-18 (ტიმ კონოლი-23, მიერსი-21), 1:1 ტორნბურნი-9, 2:1 მანკარი-1 (მიერსი-22, გერბე-13), 3:1 რ. ნიდერმაიერი-3 (ბატლერი-6, მ. უებერი-11), 3:2 ბურმისტროვი-6 (ე. სტიუარტი-24, ჰეინსი-13), 4:2 გერბე-10 (მანკარი-3, მ. უებერი-12), 5:2 ენისი-18, 6:2 ბოიესი-17 (მანკარი-4, სეკერა-23), 7:2 რ. ნიდერმაიერი-4 (მიერსი-23, გრირი-11), 8:2 ტიმ კონოლი-10 (პომინვილი-24, ვანეკი-36).

**ფლორიდა-აილენდერსი 3:4 (ბ)**

0:0, 2:1, 1:2, 0:0

**გოლები:** 0:1 გრაბნერი- 30 (ნილსენი-31), 1:1 დადონოვი-5 (კლეი უილსონი-1, ბუტი-17), 1:2 დადონოვი-6 (სამსონოვი-22, კულიკოვი-19), 2:2 პარენტო-18 (ჰილენი-15), 2:3 ჰეილი-2 (გრაბნერი-16), 3:3 უეისი-21 (სამსონოვი-23, ბერგფორსი-23).

**ბულიტები გაიტანეს:** ნილსენი (აილენდერსი), პარენტო (აილენდერსი).

**ოტავა-ტამპა ბეი 3:2 (ო)**

0:1, 0:1, 2:0, 1:0

**გოლები:** 0:1 ლეკავალიე-19 (ნ. ტომპსონი-13), 0:2 ტირელი-6 (ბერგენჰაიმი-14), 1:2 შენონი-9 (კონდრა-3, ე. კარლსონი-30), 2:2 ფოლინო-12 (ზ. სმიტი-4, კ. ნილი-10), 3:2 სპეცა-16 (ე. კარლსონი-31).

**ტორონტო-ბოსტონი 5:2**

2:1, 3:0, 0:1

**გოლები:** 1:0 შენი-4 (კრები-9), 1:1 მაკუეიდი-2, 2:1 კადრი-1 (კრები-10, გუნარსონი-11), 3:1 კრები-3 (ბოისი-8, კადრი-7), 4:1 მ. ბრაუნი-3 (ბრენტი-12, ლებდა-3), 5:1 ოლი-2 (ბოჟაკი-15, კესელი-26), 5:2 პეი-3 (შ. ტორნტონი-9, გ. კემპბელი-13).

**დალასი-ფილადელფია 2:3 (ბ)**

0:1, 1:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 ჯ. კარტერი-33 (მეზაროში-17, მ. კარლი-32), 0:2 მ. რიჩარდსი-20 (მეზაროში-18, მ. კარლი-33), 1:2 გოლგოსკი-11 (მოროუ-21, ბენი-27), 2:2 რობიდასი-5 (ოტი-18).

**ბულიტები გაიტანეს:** ჟირუ (ფილადელფია), რიბეირო (დალასი), ლეინო (ფილადელფია).

**ნეშვილი-დეტროიტი 3:1**

0:1, 1:0, 2:0

**გოლები:** 0:1 ქლირი-23 (ზეტერბერგი-52, ბერტუცი-25), 1:1 ჯოფრიონი-3 (ჰორნკვისტი-17, ჰალიშჩუკი-5), 2:1 ბლუმი-3 (ჰორნკვისტი-18, ს. კოსტიცინი-21), 3:1 ლეგვანდი-13 (რ. სუტერი-30, სპალინგი-5).

**ედმონტონი-კოლორადო 2:3 (ბ)**

0:1, 1:1, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 დუშენი-23 (ვინიკი-11), 1:1 ებერლე-16 (კოლიანო-19, ფოსტერი-12), 1:2 პორტერი-13 (რ. უილსონი-12, დუშენი-33), 2:2 ფოსტერი-6 (უმარკი-17, პააიარვი-17).

**ბულიტები გაიტანეს:** სტოე (კოლორადო).

**ლოს ანჯელესი-ანაჰაიმი 1:2 (ო)**

0:1, 0:0, 1:0: 0:1

**გოლები:** 0:1 მაკმილანი-10 (სექსტონი-9, ბოშემენი-12), 1:1 დ. ბრაუნი-23 (ჰანძუში-17, პონიკაროვსკი-9), 1:2 პერი-37 (ფაულერი-25).

**სან ხოსე-სტ. ლუისი 5:3**

3:0, 2:1, 0:2

**გოლები:** 1:0 ტ. მიტჩელი-7 (პაველსკი-41, ი. უაიტი-20), 2:0 პაველსკი-15 (მარლო-30, სეტოგუჩი-13), 3:0 პაველსკი-16 (დ. ბოილი-36, ჯ. ტორნტონი-41), 3:1 ჰენსიკი-1 (დ'აგოსტინი-20, ი. კოული-2), 4:1 სეტოგუჩი-20 (მარლო-31, ჯ. ტორნტონი-42), 5:1 პაველსკი-17 (დ. ბოილი-37, ტ. მიტჩელი-10), 5:2 ბეკსი-26 (კოლაიაკოვო-18, პიეტრნაჯელო-29), 5:3 ენდი მაკდონალდი-18 (ბეკსი-28, დ'აგოსტინი-21).

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი. ტურნირების მიმოხილვა

# ორი მატჩი, ორი განადგურება

ინდიან უელსის ტურნირის ქალთა ფინალში დანიელი **კაროლინ ვოზნიაცკი** და ფრანგი **მარიონ ბარტოლი** ითამაშებენ.

შაბათს განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებდა მსოფლიოს პირველი ჩოგნის ვოზნიაცკისა და **მარია შარაპოვას** შეხვედრა. აქამდე მათ მხოლოდ სამი მატჩი ჩაატარეს ერთმანეთში და უპირატესობა რუსს ჰქონდა, თუმცა ბოლო შეხვედრა ორი წლის წინ ამერიკის ღია პირველობაზე დანიელის გამარჯვებით დასრულდა.

ამ მატჩშიც მარიას აუტსაიდერის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული. საქმე მხოლოდ იმაში არ არის, რომ ვოზნიაცკი პირველი ჩოგანია, მარია კი მეორე ათეულში იმყოფება. დანიელმა შესანიშნავი ფორმა აკრიფა - ავსტრალიის ღიას ნახევარფინალი, ფინალი დოჰაში, გამარჯვება დუბაიში... ინდიან უელსშიც კაროლინმა ძალიან დამაჯერებლად მიაღწია ნახევარფინალამდე.

შარაპოვასთვის ეს იყო პირველი ნახევარფინალი შარშანდელი აგვისტოს შემდეგ. ინდიან უელსში საუკეთესო ოთხეულში შესვლამ მას რეიტინგში მე-13 ადგილი მოუტანა, მაგრამ თუ ვოზნიაცკის დაამარცხებდა, საუკეთესო ათეულში შევიდოდა.

საინტერესო იყო ორი განსხვავებული სტილის მოთამაშის დაპირისპირება - შარაპოვას შეტევა ვოზნიაცკის დაცვის წინააღმდეგ. პირველივე გეიმში რუსმა გამოაჩინა თავისი სერიოზული განწყობა და მაშინვე ბრეიკი გააკეთა, შემდეგ კი ბრძოლაში წააგო საკუთარი მოწოდება. ამის შემდეგ კი მატჩის მსვლელობა მთლიანად გამოვიდა მისი კონტროლიდან. ვოზნიაცკი მარტივად მოქმედებდა და თამაშის უფრო გართულება არც იყო საჭირო, რადგან შარაპოვა უამრავი შეცდომით დიდ დახმარებას უწევდა მეტოქეს. საკმარისია აღინიშნოს, რომ პირველ სეტში დანიელს მხოლოდ ერთი „ვინერსი" ჰქონდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქულათა უმეტესი ნაწილი მან მეტოქის უზუსტობების ხარჯზე მოიპოვა.

მეორე სეტში რუსს იმედი გაუჩნდა - შეწყვიტა შვიდი წაგებული გეიმისგან შემდგარი სერია და წინ გასვლაც მოახერხა. თუმცა ეს დროებითი „გამონათება" იყო, რომელიც ძალიან მალე ჩაქრა. გათამაშებების დროს შეცდომებს ორმაგი შეცდომებიც დაემატა. მაგალითად, ორჯერ შარაპოვამ ორმაგი შეცდომა ბრეიკ-პოინტის დროს დაუშვა და შესაბამისად, ორი საკუთარი გეიმი აჩუქა ვოზნიაცკის. საბოლოოდ, საათსა და 20 წუთში შარაპოვას 41 უნებლიე შეცდომა დაუგროვდა. მართალია, მას შეეძლო უფრო ღირსეული ანგარიშით წაგება, მაგრამ ამდენი შეცდომით მსოფლიოს პირველი ჩოგნის ძლევა არარეალურია - 1:6, 2:6.


კარო კარგ ფორმაშია

მეორე ნახევარფინალური წყვილის შემადგენლობა მოულოდნელი აღმოჩნდა. ფინალის საგზურისთვის **მარიონ ბარტოლი** და **იანინა ვიკმაიერი** ეცილებოდნენ ერთმანეთს. თუ ბარტოლის ჰქონდა ასეთ დონეზე თამაშის გარკვეული გამოცდილება, ვიკმაიერი (2009 წელს აშშ-ის ღიას ნახევარფინალში გასვლას თუ არ ჩავთვლით) ასე კარგად დიდ ტურნირებზე, როგორც წესი, არ თამაშობს ხოლმე.

ეტყობა ამ ფაქტორმა ითამაშა გარკვეული როლი იმაში, რომ ბელგიელმა დაძაბულობას ვერ გაუძლო და ძალიან შორს იყო თავისი საუკეთესო თამაშისგან. პირველი სეტის თითქმის უბრძოლველად წაგების შემდეგ, იანინამ ოდნავ გამოასწორა თამაში, მაგრამ ფრანგი გადამწყვეტ მომენტებში უფრო ძლიერი იყო. გარდა ამისა, შეიძლება გამოვყოთ ბარტოლის 10 ეისი. გუშინ მას თავისი მეექვსე ტიტულისთვის უნდა ებრძოლა ვოზნიაცკის წინააღმდეგ.

**WTA**
**BNP Paribas Open**
ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 4 500 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**მარიონ ბარტოლი (საფ, 15)**-იანინა ვიკმაიერი (ბელ, 23) 6:1, 6:3; **კაროლინ ვოზნიაცკი (დან, 1)**-მარია შარაპოვა (რუს, 16) 6:1, 6:2.

ფორმულა 1

# ფეტელი გაფიცვით იმუქრება

მსოფლიოს მოქმედმა ჩემპიონმა **სებასტიან ფეტელმა** გააფრთხილა ფორმულა 1-ის ხელმძღვანელობა - თუ გაირკვევა, რომ 2011 წლისთვის შემოღებული სიახლეები ნეგატიურად იმოქმედებს უსაფრთხოების ნორმებზე, პილოტები გაფიცვას გამოაცხადებენ.

როგორც ლონდონური The Mirror წერს, „რედ ბულის" ლიდერი შიშობს იმის თაობაზე, რომ მართვადი უკანა ფრთები, რომელიც გასწრების გაიოლებისთვის არის შემოღებული, სერიოზული ავარიების მიზეზი გახდება. ამ მხრივ ფეტელი იხსენებს შარშან ვალენსიაში მომხდარ ავარიას, როცა მისი თანაგუნდელი **მარკ უებერი** ჰაერში აფრინდა და სასწაულებრივ გადაურჩა დაზიანებას.

*„პილოტების უმრავლესობას მიაჩნია, რომ ამან შეიძლება უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები წარმოშვას,* - მოჰყავს ფეტელის სიტყვები ბრიტანულ გაზეთს. - *ყველაზე მნიშვნელოვანია - პილოტები ერთად დადგნენ და საერთო აზრი გამოხატონ.*

*თუ სხვადასხვა საკითხზე ერთ აზრს ჩამოვაყალიბებთ, მაშინ ავტომრბოლების პოზიცია ყოველთვის ძლიერი იქნება. თუ შევთანხმდებით, მაშინ სტარტზე არც ერთი ჩვენგანი არ გავა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ აუცილებლად გაფიცვას გამოვაცხადებთ. თავდაპირველად ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციასთან ერთად შევეცდებით რაიმე გადაწყვეტილების მიღებას".*



სებასტიან ფეტელი ტესტებზე

# ჯოკოვიჩის კომპლექსი ფედერერისთვის

მამაკაცების ფინალში ამ მომენტისთვის, ალბათ, ტურის ორი საუკეთესო ჩოგბურთელი შეხვდება ერთმანეთს - **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და **რაფაელ ნადალი**. ნახევარფინალური ეტაპი ძალიან საინტერესო იყო, რადგან იქ „დიდი ოთხეულის" სამმა წევრმა და **ხუან მარტინ დელ პოტრომ** გააღწიეს. არგენტინელი ერთწლიანი ტრავმის შემდეგ დაუბრუნდა ტურს და უკვე მოიგო დელრეი ბიჩის ტურნირი, ინდიან უელსში ნახევარფინალში გასვლის შემდეგ კი რეიტინგის 51-ე პოზიციაზე გადავიდა. უფრო მეტიც - ხუან მარტინი ნადალის დამარცხების შემთხვევაში მომავალ კვირას მაიამის მასტერსზე განთესილებს შორის მოხვდებოდა.

მიუხედავად ამისა, საუკეთესო ფორმამდე არგენტინელს ჯერ ბევრი უკლია. დელ პოტრო დამაჯერებლად უსწორდება საშუალო დონის მოთამაშეებს, ტოპათეულის წევრებს ჯერ ვერ ამარცხებს. ავსტრალიის ღიას შემდეგ, სადაც მან ოთხ სეტში წააგო 22-ე ნომერ **მარკოს ბაღდატისთან**, ათეულის ქვემოთ მყოფ მოთამაშეებთან მხოლოდ ერთი სეტი დათმო, სამაგიეროდ ორ სეტში წააგო **ფერნანდო ვერდასკოსთან** (მე-9 ნომერი) და **ენდი როდიკთან** (8). ახლა კი მას მსოფლიოს პირველ ჩოგანთან უწევდა შეხვედრა. სხვათა შორის, წინა სამი მატჩი დელ პოტროს მოგებული ჰქონდა ესპანელისთვის, თუმცა ეს ტრავმამდე იყო.

ნადალმა პირველი სეტი შეცდომებით დაიწყო და არგენტინელი მალე 3:0 დაწინაურდა. ამის შემდეგ ესპანელმა თანდათან დაალაგა თამაში, კორტზე უკეთ ამოძრავდა და ბურთსაც საჭირო მიმართულება მოუნახა. ამან დელ პოტრო აანერვიულა და არგენტინელის მოქმედებაში ბევრი არასწორი გადაწყვეტილება გაჩნდა. ესპანელმა უპრობლემოდ გაათანაბრა ანგარიში და შემდეგ სეტიც მოიგო - 6:4.

მეორე სეტში არგენტინელმა მეტნაკლებად მოუნახა გასაღები მეტოქის თამაშს, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. რაფაელი ძირითადად კონტრშეტევაზე აგებდა თამაშს, თუმცა მხოლოდ დაცვით არ იფარგლებოდა და საჭირო დროს იერიშზე გადადიოდა. შედეგად, ნადალს მეტოქეზე ორჯერ მეტი „ვინერსი" დაუგროვდა, შეცდომა კი გაცილებით ნაკლები ჰქონდა. დელ პოტროს შეეძლო მეოთხე გეიმში ბრეიკის გაკეთება, მაგრამ ორმაგი ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა, ნადალმა კი პარტიაში ერთადერთი ასეთი შანსი ბრეიკში გარდასახა და მეორე სეტშიც 6:4 გაიმარჯვა.

მეორე ნახევარფინალში ნოვაკ ჯოკოვიჩმა ამ სეზონში მესამედ დაამარცხა **როჯერ ფედერერი**. უფრო შთამბეჭდავია წელს სერბის შემდეგი სერია - დევისის თასის მატჩების ჩათვლით 19-დან 19 მოგება! აქედან ATP-ის ეგიდით გამართულ მატჩებში ზედიზედ 17 მოგება დაუგროვდა - სეზონის სტარტზე ასეთი შედეგი ბოლოს ლეგენდარულ **პიტ სამპრასს** ჰქონდა 1997 წელს.

ორივე ჩოგბურთელმა მაღალი დონის ჩოგბურთი აჩვენა. ტემპი ორივე მხრიდან სწრაფი იყო და თამაშიც მრავალფეროვანი. პირველ სეტში ორივეს ჰქონდა შანსი, მაგრამ სერბი უკეთესად თამაშობდა გადამწყვეტ ბურთებზე და საბოლოოდ, ორი ბრეიკით მოიგო პარტია - 6:3.

მეორე პარტიაში შვეიცარიელმა გააძლიერა თამაში საკუთარ მოწოდებაზე და ამასთან, სწრაფად გააკეთა ბრეიკი. ნოვაკს აშკარა ჩავარდნა ეტყობოდა და მან ერთი ბრეიკ-პოინტის მოპოვებაც ვერ შეძლო. ფედერერმა კი მეორე სეტში (ისევე როგორც ნოვაკმა პირველში) მეორე ბრეიკიც გააკეთა - 6:3.

მესამე სეტის სტარტზე ჩოგბურთელებმა ბრეიკები გაცვალეს, ამასთან, ფედერერმა მეტოქის გეიმი ნულზე მოიგო. მაგრამ ბოლოსკენ მსოფლიოს მეორე ჩოგანს ძალა აღარ ეყო. მან ბრეიკ-პოინტზე ორმაგი შეცდომა დაუშვა, შემდეგ კიდევ ერთი მოწოდება წააგო და ჯოკოვიჩმა მეორე მატჩბოლით მოიპოვა ფინალის საგზური.

ამ მოგებით სერბი ორშაბათიდან დაიბრუნებს რეიტინგში მეორე ადგილს, მაგრამ თუ ფინალში წააგებს, მისი უპირატესობა ფედერერთან მხოლოდ 30 ქულა იქნება, ასე რომ, მაიამის მასტერსის შემდეგ ისევ შესაძლებელია ამ ჩოგბურთელებს შორის როქი.

**ATP**
**BNP Paribas Open**
ინდიან უელსი (აშშ). ჰარდი
**საპრიზო ფონდი**: 2 645 000 დოლარი

**1/4 ფინალი**

**ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-რიშარ გასკე (საფ, 18) 6:2, 6:4; **როჯერ ფედერერი (შვეიც, 2)**-სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 12) 6:3, 6:4.

**1/2 ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ) 6:4, 6:4; **ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 3)**-როჯერ ფედერერი (შვეიც, 2) 6:3, 3:6, 6:2.


როჯერი ჯოკოვიჩის ლუკმაა

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა